ეროვნული
ბიბლიოთეკა



ISSN 0130—1624

# დროშა

აპრილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი

ნახატი საქართველოს სსრ
სახალხო მხატვარ
კოკი მახარაძისა

სსრკ 60



ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ნატროშვილი

# მარად უკვდავი სახელი

პოეტური და პროზაული ლენინიანა, ანუ ის ლექსები და მოთხრობები, რომლებიც ვ. ი. ლენინის დიდი ცხოვრებისა და მოღვაწეობის თემაზე იწერება — განეკუთვნება თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურის ყველაზე უფრო საჭირო და საუკეთესო ნაწარმოებთა რიცხვს; მხატვრული ლენინიანას კიდევ ერთი თავისებურება ის არის, რომ მას საერთაშორისო ხასიათი აქვს — იგი იქმნება მსოფლიოს ყველა ხალხის ენაზე, ვინაიდან „დედამიწის ზურგზე არ არის ისეთი კუთხე, სადაც ლენინის სახელი ჩაგვრის, უუფლებობის, ექსპლოატაციის წინააღმდეგ ბრძოლის მგზნებარე მოწოდებად, საბრძოლო ერთიანობის სიმბოლოდ, კომუნისტური იდეალებისათვის ისტორიულ ბრძოლაში გამარჯვების საწინდრად არ ჟღერდეს“ (ლ. ი. ბრეჟნევი).

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თავის საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XXVI ყრილობაზე აღნიშნა, რომ „ჩვენი ოსტატების შემოქმედებაში კვლავინდებურად ჟღერს ამაღლებული რევოლუციური მოტივები. მარქსის, ენგელსის, ლენინის, მრავალი მგზნებარე რევოლუციონერის სახე, ჩვენი სამშობლოს ჰეროიკული ისტორია შთააგონებს მათ შექმნან ახალი საინტერესო ნამუშევრები ხელოვნების სულ სხვადასხვა დარგში“.

ამ პატარა წერილს, ცხადია, არ შეიძლება ჰქონდეს პრეტენზია ამ ციკლის ნაწარმოებების მიმოხილვისა; ამ ზღვა მასალიდან ჩვენ შევჩერდებით მხოლოდ ერთ მოთხრობაზე, რომელშიც ასახულია ლენინის ცხოვრების ცალკეული ეპიზოდები.

ამ რამდენიმე წლის წინ ჟურნალ „მოსკვას“ ფურცლებზე დაიბეჭდა სერგეი ალექსეევის „მოთხრობები ლენინზე“, რომელშიც შედიოდა შემდეგი ნაწარმოებები: „ენაჭარტალა დეპეშა“, „ერთი და ხუთასი“, „პიჯაკი“, „ლამაზად“, „კატეგორიული პირობა“ და „მზიან მხარეზე“. მოთხრობებში ასახულია საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველი წლებისა და სამოქალაქო ომის ამბები. აქ გადმოგცემთ მხოლოდ ერთი ნოველის — „პიჯაკის“ მოკლე შინაარსს:

ვლადიმერ ილიჩი და მოხუცი გლეხი კოსიჩკინი ტყის ბილიკზე მიაბიჯებდნენ. ნელ-ნელა, აუჩქარებლად მიდიოდნენ. ცხელი დღე იყო. ტყეში, ფიჭვების ჩრდილშიც კი შეეხუთებოდა კაცს სული.

ლენინმა პიჯაკი გაიძრო.

— ნება მომეცით, ვლადიმერ ილიჩ, პიჯაკი წამოგიღოთ, — მიმართა კოსიჩკინმა ლენინს.

— არა, არა, გმადლობთ. მე თვითონ წამოვიღებ.

გადაიკიდა მკლავზე პიჯაკი ლენინმა, გაიარეს ასიოდე მეტრი, ლენინის პიჯაკი არა და არ აძლევს მოსვენებას მოხუცს.

— ვლადიმერ ილიჩ, თუ შეიძლება, წამოგიღებთ პიჯაკს!

„ჰო-ჰო, რა გამძლეა ეს ძველებური მაამებლობა გლეხის ბუნებაში“, — ჯავრიანად გაიღიმა ლენინმა.

— გმადლობთ, პაველ ფომიჩ, გმადლობთ!

სულ ოცდაათი წუთის წინ შეხვდა ლენინი კოსიჩკინს. ჩამოვიდა მოსკოვიდან ვლადიმერ ილიჩი, ცოტას დავისვენებ და გავისეირნებ ტყეშიო. ჰოდა, წააწყდა კოსიჩკინს. ეს მოხუცი ძველად ბატონთან მუშაობდა ეგერად. სწორედ ეს წარსული გაიხსენეს საუბარში ლენინმა და მოხუცმა გლეხკაცმა.

— მაშასადამე, ბატონთან ეგერად იყავი? — ხელმეორედ შეეკითხა ილიჩი.

— დიახ, ბატონთან, — უპასუხა მოხუცმა, — ეს იყო მისი ბრწყინვალება თავადი პირიატინი.

— მისი ბრწყინვალება? ჰო, კარგი, კარგი!

ჩაფიქრდა ლენინი. უცებ ისევ ესმის:

— ვლადიმერ ილიჩ, ნება მომეცით, პიჯაკი წამოგიღოთ.

ლენინი შეჩერდა და კოსიჩკინს მიუბრუნდა:

— ნებას არ მოგცემ, დიახ, ნებას არ მოგცემ! — და მყისვე გადაჭრით და მკაცრად, — გაიგე, რომ პირიატინები აღარ არიან, აღარც კოსიჩკინები არიან. — ლენინი წამით შეყოვნდა, — სიტყვის ძველი მნიშვნელობით. დაიმახსოვრეთ, აღარ არიან. ახლა სხვა დროა, პაველ ფომიჩ. დიახ, ძმობილო, სხვა დროა!

მოხუცი შეიჭმუხნა, რაღაცნაირად მძიმედ და უხერხულად მოინაცვლა ფეხი, შეკრული წარბების ქვემოდან შეხედა ლენინს:

— მე, ვლადიმერ ილიჩ, ცოტაოდენი მესმის, ამდენი კი ვიცი. თქვენ თუ, რა ჰქვია იმას, ეჭვი გაგიჩნდათ...

კოსიჩკინს ენა დაება, გულმოსულმა ქუდი მიწას დაახეთქა, სული მოითქვა და ხალათი აიწია. მთელი ზურგი დასერილი ჰქონდა შეხორცებული იარებით.

— თქვენ თუ იმას, — გაიმეორა მოხუცმა, — მე, ვლადიმერ ილიჩ, ცოტაოდენი მესმის.

ლენინი შეცბუნდა.

— მაპატიეთ, ნუ გამიწყრებით, არ მინდოდა თქვენი წყენინება.

„ვერ გამომივიდა კარგად“, — გულისტკივილით გაიფიქრა ლენინმა.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ კოსიჩკინმა მაშინვე სხვა საგანზე გადააგდო სიტყვა:

— ჩამოსულიყავით ჩვენთან სანადიროდ, ვლადიმერ ილიჩ, აქ ხომ მშვენიერი ადგილებია. კაკაბიც არის და როჭოც... მელიები ისე მომრავლდა! კურდღლებს კი, კურდღლებს — ცელით მოთიბავ.

მიუხვდა ლენინი გლეხურ ზრდილობას, გაეღიმა.

— ცელით?

— ცელით, — დაუდასტურა მოხუცმა.

მალე ტყეც გათავდა და სოფლის ბოლოს მიადგნენ.

— ნუ გამიწყრებით, — გაიმეორა ვლადიმერ ილიჩმა, — მშვიდობით ბრძანდებოდეთ, წარმატებებს გისურვებთ ახალ ცხოვრებაში!

კოსიჩკინმა ქუდი მოიხადა, დიდხანს და მდაბლად უკრავდა თავს ლენინს.

— აბა ეს რა არის, ისევ დაიწყეთ! — ხელები გაშალა ლენინმა, — პაველ ფომიჩ!

კოსიჩკინმა ვითომ ვერ გაიგონა.

— პაველ ფომიჩ!

— ნუ მეურჩები, — უცებ აფეთქდა მოხუცი და ისევ და ისევ დაუკრა მდაბლად თავი, — ჩემად ნუ მიიჩნევ, — წარმოთქვა ღირსეულად და ამაყად,—მთელი ქვეყნიერების მშრომელი გლეხობის სახელით მდაბლად გიკრავ თავს!

ასე უთხრა გლეხკაცმა ლენინს, მიბრუნდა და გაჰყვა სოფლის ქუჩას.

* * *

ერთი შეხედვით, თითქოს უბრალო, თითქოს უმნიშვნელო, მაგრამ არსებითად დიდი და ღრმა აზრის მატარებელი ეპიზოდია. აქ ისტორიის დიდი სიმართლეა გადმოცემული; მოთხრობის ქვეტექსტი ამბობს: არა მარტო მოხუცი გლეხკაცი, არა მარტო მისი სოფლის გლეხობა, არა მარტო ჩვენი ხალხი, არამედ მთელი მოწინავე კაცობრიობა, ყველა მშრომელი ჩვენს პლანეტაზე მუდამ მოწიწებით, მუდამ ქუდმოხდით უხდის უღრმეს მადლობას იმ ადამიანს, რომელმაც დაიწყო ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში.

მეცნიერული აზროვნების ბუმბერაზმა და ჭეშმარიტად სახალხო ბელადმა, მგზნებარე რევოლუციონერმა, კომუნისტური პარტიისა და მსოფლიოს პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელმა, ლენინმა მთელი თავისი შესანიშნავი გმირული სიცოცხლე უძღვნა დიდსა და კეთილშობილურ საქმეს — პროლეტარიატისა და მთელი ჩაგრული მასების სოციალური განთავისუფლებისათვის, მშრომელი ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლას.

გამოვიდა რა კლასობრივი ბრძოლის მსოფლიო ასპარეზზე, როგორც მარქსისა და ენგელსის ერთგული და მტკიცე მიმდევარი, ლენინმა ყოველმხრივ განავითარა მათი რევოლუციური მოძღვრება. მეცნიერული განჭვრეტის უბადლო ნიჭის, მიმდინარე მოვლენებისა და ამბების დედაარსში უღრმესი წვდომის, ახალი ისტორიული პირობების ანალიზისადმი დიალექტიკურ-მატერიალისტური მეთოდის შემოქმედებითი მისადაგების მეოხებით მან პრინციპულად დიდმნიშვნელოვანი დებულებებით გაამდიდრა მარქსიზმის ყველა შემადგენელი ნაწილი, დასახა და შექმნა მისი განვითარების ახალი ეტაპი.

ლენინის აზრი წინ მიგვიძღვის კომუნიზმის მშენებლობის გზაზე. ლენინის იდეების შუქი დიდი ხანია, მოეფინა მთელ პლანეტას. ლენინის დროშა კვლავ წინ მიუძღვის კაცობრიობას მშვიდობისათვის ბრძოლის გზაზე, იგი კვლავ რაზმავს მშრომელთა მილიონებს მთელ დედამიწაზე, რათა გზა გადაუღობოს იმპერიალიზმის მესვეურებს, რომლებიც ახალი ომის გაჩაღებაზე ოცნებობენ.

* * *

ლენინის სახელთან არის დაკავშირებული ახალი ეტაპი ხელოვნების თეორიის, ესთეტიკის, ლიტერატურის, მეცნიერების სფეროში. როგორც ყველგან, აქაც, ლიტერატურისა და ხელოვნების ფრონტზე, გენიალური სიცხადით გამოვლინდა ლენინური აზრის დიდი სიმართლე და ძლევამოსილება. განუზომელი ამაგი დასდო ლენინმა არა მარტო კაცობრიობის ფილოსოფიურ აზროვნებას, არამედ მის ესთეტიკურ შემეცნებასაც. ამ მხრივ ისტორიული როლი შეასრულა ვ. ი. ლენინის მრავალმა ნაშრომმა და განსაკუთრებით გენიალურმა წიგნმა „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“. ლენინური ასახვის თეორია ახალი ნაბიჯია მატერიალისტური გნოსეოლოგიის შემდგომი განვითარების გზაზე, როგორც საზოგადოებრივ მეცნიერებათა, ისე ბუნებისმეტყველების ახალ წარმატებათა გათვალისწინებით.

მოსკოვის სახელმწიფო გამომცემლობამ ხუთ ტომად გამოსცა მოგონებები ლენინზე. მოგონებების ავტორები არიან მწერლები, ხელოვნების ოსტატები, პარტიული პუბლიცისტები, პროფესიული რევოლუციონერები. ისინი მოგვითხრობენ, თუ რაოდენ ფართო და დიდი იყო ლენინის ინტერესი ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებისადმი. ლენინის თვალი და აზრი სწვდებოდა მთელი საკაცობრიო კულტურის ისტორიას, მოიცავდა უზარმაზარ ჰორიზონტებს — აქ იყო გოეთეც, რომლის ლირიკული ლექსების კრებული თან დაჰქონდა ლენინს გადასახლებაშიც და საზღვარგარეთ, ემიგრაციაში წასვლის დროსაც, აქ არის ლევ ტოლსტოის „ანა კარენინა“, მეასედ რომ იწყებდა მის კითხვას ილიჩი; აქ არის ლეონარდო და ვინჩი, რომლის სურათს ბრიტანეთის მუზეუმში თვალს ვერ აშორებს ლენინი და აღტაცებით ამბობს — „აი მხატვარი, რომელიც ხატავს აზრს“. ლენინის ეს ინტერესი ხელოვნებისადმი წარმოათქმევინებს შესანიშნავ მსახიობ ქალს მ. ფ. ანდრეევას — „ვლადიმერ ილიჩი ისე გვიჩვენებს ბრიტანეთის მუზეუმს, როგორც ამ მუზეუმის პატრონი“. ასევე შინაურულად გრძნობდა თავს ვლადიმერ ილიჩი შვეიცარიაში, ქალაქ ბაზელის მუზეუმში, სადაც მთელი საათობით იდგა ჰოლბეინისა და ბიოკლინის სურათების წინ, ან ავსტრიაში — ვენის მხატვრულ-ისტორიულ მუზეუმში, სადაც იგი დაძაბული ყურადღებით ათვალიერებდა რუბენსის ტილოებს. შვეციაში, მატარებელში ვ. ი. ლენინი და ვ. ა. დესნიცკი ათვალიერებენ გერმანულ მონოგრაფიას, მიძღვნილს ალბრეხტ დიურერისადმი. კუპეში მათთან ერთად მგზავრობენ გერმანელები და ირკვევა, რომ მათ არ გაუგონიათ თავიანთი გენიალური მხატვრის სახელი, და ილიჩი სიამაყით ეუბნება დესნიცკის: „ხედავ, მათ თავისები არ იციან, ჩვენში კი დიურერს იცნობენ“.

და კიდევ ვინ მოსთვლის! რაც ჩამოვთვალეთ, ეს მართლაც ზღვაში წვეთია!

ზემოთ აღნიშნული მოგონებები წაგვიყვანენ ლენინის მარშრუტებით იმ ძვირფასი საგანძურების დასათვალიერებლად, რომელსაც მსოფლიო ლიტერატურისა და მსოფლიო ხელოვნების ისტორია ეწოდება.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№4 (544) აპრილი, 1982

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

მთავარი რედაქტორი

ხუტა ბერულავა

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა“, 1982 წ.

სარედაქციო კოლეგია:

გულნარა ბახტაძე (პ/მგ. მდივანი), ნათელა გიორგობიანი, თენგიზ გოგოლაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ოთარ დემეტრაშვილი, გურამ დოჩანაშვილი, სერგო დურმიშიძე, ოთარ თურქია, რევაზ მარგიანი, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი), ლადო სულაბერიძე, ილია ტაბაღუა, უჩა ჯაფარიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამანქანო გზიდან არხოტისკენ ცხენით ან საცალფეხო ბილიკებით უნდა იარო; იქ მხოლოდ ორი გზით შეიძლება მისვლა: ერთი გორშელმის ხეობით, ღულის, ჩხუბა-აყნელისა და წინხადუს გადავლით, მეორე კი — წყალსიქითის ხეობით — ღელის ვაკის, ქმოსტ-როშკისა და ბლოს გავლით. მე, ბუნებრივია, გორშელმის ხეობით წასვლა ვარჩიე (წინხადუს, ჩემი სოფლის, მონახულებაც მინდოდა)... მივუყვები ხევსურთა ნასახლარ-ნასოფლარებს, თვალით ვსინჯავ ნაშუკუნარ-ნანიშარნახატარებს, რომელთაც ოდესღაც მტერი უკუუქცევიათ, მდგარან ამა მთათა შუა მოქცეულნი, ამაყნი, მხნენი, გაუტეხელნი, ისე, როგორც მამა-პაპათა ანდერძს ეკადრებოდა, იმ ხალხს შეეფერებოდა, მთას, მთის ადათ-წესებს არავითარ სიმდიდრეზე რომ არ ცვლიდა...

მივუყვები ღულის, ჩხუბა-აყნელისა და ბაცალიგოს ვიწროებს... ეჰ, რამდენი ფიქრის ამშლელია ამ ბილიკების მცირე მონაკვეთიც კი!.. ყოველ ნაბიჯზე ციხის ნაშალი რომ შემოგეყრება — ჩვენთა წინაპართა წყლულებსა და ნაჭრევებზე ამოზრდილი უკვდავების ძეგლი; ყოველ ფეხის გადადგმაზე ნაკოშკარები რომ ჩამწკრივდებიან — ჩვენთა მამათა ცად აღვლენილი ლურჯი ლოცვები; ხავსმოდებული ნახატარი ნიშ-სამლოცველონი, პატარპატარა შუკუნებით — საუკუნეთა სიღრმიდან მომზირალი თვალებით... მივდივარ და... მეხსიერებაში კვლავ ამოტივტივდება „ნა-ციხ-არ-ი“, „ნა-კოშკ-არ-ი“, „ნახატ-არ-ი“, „ნა-ნიშ-არ-ი“, „ნა-ხოლ-არ-ი“ (ნასახლარი) და კიდევ რამდენი რამ, რაც იყო და აღარ არის, ანდა ნაშთის სახითღაა შემორჩენილი. რა თქმა უნდა, ძირითადი როლი აქ ჟამთამკაცრობამ ითამაშა, ხოლო რაც გადარჩა, ჩვენც შემდგომ ხელი „წავაშველეთ“, — მოვდექით და ვანგრიეთ!.. მაგრამ კმარა, ამას არა ეშველება რა, ახლა მთავარია, მობრუნებულ ხალხს, ამ მიწა-წყლის მკვიდრთ, მოვუაროთ, კვლავ თავის კერაზე რომ დაანთონ ცეცხლი... ჰოდა, მეც სწორედ არხვატს გადავდივარ, დაბრუნებულთა მოსანახულებლად, სიტყვის შესაშველებლად. აქეთ დარჩა ღული, ჩხუბა, აყნელი, ბაცალიგო... ჩემი მამა-პაპის ნავალ-ნაკვალი თოვლის, ხეობაში ჩარჩენილ ზვავთა ფაცერზე თითქოს ახლაც ატყვია ჯღნის საბანდის ანაბეჭდი, ამ დევკაცთ რომ უბიჯებიათ...

უკვე თვალს ვუსწორებ სიყრმის აკვანს — წინხადუს. ფიქრი უფრო და უფრო მამძიმებს, უკან მეწევა, ჩემი ნასოფლარის ასგზის დალახულ ბილიკთან მაბრუნებს; შეჭალარავებული და უფრო მოლღილი მოვუყვები იმ გზაწვრილებს, თვალის დახამხამებაში რომ ამირბენია ქვეითად თუ ცხენით, სოფლის ნახირი არხოტის გადასასვლელამდის რომ ამირეკავს, ამ ამაღლებული სამყაროსათვის ღრუბლებს ზემოდან გადმომიხედავს...

უნებურად ნაბიჯს ისე ავუჩქარე, თითქოს სიყრმის ცხენ-ჯოხა შემომაგებეს ჩემი ქალამნით დაცვეთილმა ადგილებმა — „გუნდილმა“, „კორხელთკარმა“, „ხოლკარმა“, „ფეთელის ღელემ“, „ქვის სასრევამ“, „გამასაზიდამ“, „ყუათგორმა“, „ბარისსანებამ“, „ჯვარძირმა“ და „ჯვართავმა“, „გორის ანგელოზმა“... მადლობა ღმერთს, ეს სახელები მაინც შემოგვრჩა, თორემ სოფელი?! სოფელს ნუღარ იკითხავთ! — ორიოდე კაციღა ებრძვის ამ ძნელად მისადგომ, უგზო და „ღვთისგან მიტოვებული“ სოფლის აღმართ-დაღმართებს, წყალ-ჭალას, სათიბ-სამკალს, სახნავ-სათესს, — ორადორი ბინადარი — თაველექათ გიგია (გიგია არაბული) და ყუდიათ მიხეილი (მიხეილ არაბული)... რას იზამ! სინამდვილე ასეა, მაგრამ... მაგრამ ვნახოთ, არხვატელთა შემობრუნებამ ეგებ საზღვარი დაუდოს (და კიდეც უნდა დაუდოს!) ჩვენი მთის გაუკაცურებასა და უხვასტაგობას, სადაც „არღა ჰლალვიდეს მემროწლენი მროწლესა თუისსა, არღა ვლიდეს არვენი ფრიადნი ძოვად ბალახთა“...

ღმერთმა ქნას, არხოტს მოსული ვაჟების ყიჟინა სხვებმაც ისმინონ, სხვებმაც მხარი აუბან, გორშელმიონ-წყალსიქითელთა, შატილიონ-მილმახეველთა ერთობლივმა „მთიბლურმა“, მათმა შეძახილმა და შეკივლებამ კვლავაც ის ყრუანტელი აგრძნობინოს პირაქეთ-პირიქითს, ადრე რომ ყოფილა, მაგრამ უკაცურობის გამო ტყეში გასროლილ თოფის ხმასავით ჩაუნთქავს კაცის ფეხდაუკარებ, მდუმარე წყალ-ჭალას...

ეს ფიქრი უთუოდ დაგეუფლება კაცს, კაი ყმათა ამ პატარა სამყაროს — პირიქით-პირაქეთის მიჯნაზე — არხოტის გადასახედზე რომ შესდგამ ფეხს, საძელესა და ჭიუხის ორ კინჭუხს ზემოდან რომ დაჰყურებ, უცაბედად ხალხური ლექსიც წამოგეწევა, წამოგეწევა და შეგაბარბაცებს: „ვინ შაჰხე საძელეზედა, ვინ შასძარ ჩოხის სახელი? — იქნების ბაბურაული, — ხირჩლას უყვარდა სახელი!..“

„ინატრის არხოტიონი: „სამს დღესამც გამამთელაო, დამალახვივა ქისტეთი, მემრ მამკლა, დამასვენაო!“ თითქოს ბესარიონ გაბუურის, აქაური კაი ყმისა და მოლექსის, ეს სტრიქონები საარხვატოს ცაზე ფარივით ჰკიდია, როცა წყაროთგორიდან დახედავ სოფელთა სამებას — ამღა-ჭიმღა-ახიელს. წყაროთგორი! — საარხვატოს მზის ამოსახედი. ხელისგულივით მოჩანს აქედან სამივე სოფლის კიდეგანი. აქედან თურმე ჩვენი კარგი გაბრიელი ლექსით ლოცულობდა „არხოტ შესვლას“, აკი ამიტომაც ამბობდა გულდაწყვეტილი პოეტი:

„არხოტ რო წყაროთგორია, აიმ გორზედამც ჩამამსვა, შაჭურვილს, აბჯართორიანს ერთი ძმა — შინშიმც თან მამცა!..“

სწორედ წყაროთგორთან შევიმუხლე, სული მოვითქვი პირაქეთიდან გადასულმა, თანაც მასპინძელი უნდა შემეგულვებინა, — ასე ალალბედზე ხომ ვერ მივადგებოდი ყველას!

ისევ გაბრიელ ჯაბუშანურის ლექსმა მიხსნა, — შებინდებისას უტყუარი გუმანით ისე წამიძღვა სოფლისკენ, პირდაპირ უნცრუათ ციცქას — გაბრიელის უმრწემეს ძმას — შემახვედრა. მოულოდნელობისა და გაოცების რაღაც ამოუცნობმა ღიმილმა ერთდროულად გადაუარა ბუნებით მშვიდ ციცქას სახეს.

„დიდება შენდა, ღმერთო, შენ საითაღ მახვე აქ!“ — ეს იყო ციცქას პირველი სიტყვით „გაკაფიავება“ ჩემთან, პირველი



# არხოტიონები

**ირაკლი არაბული,**

„დროშის“ სპეციალური კორესპონდენტი

გაოცების ფრაზა. ერთმანეთს ამბავი რომ გამოვკითხეთ, ჩვენსა და თქვენს გვარში „მოდგმით ნათესაობა“ მოდისო, მითხრა ციცქამ. ეს არც გამკვირვებია, რადგანაც სიზმარივით მახსოვს, მამაჩემი მიხეილი, და ციცქას მამა, უნცრუა, გრძელი ზამთრის დღეებში არაყიანი ქინთებით როგორ მოინახულებდნენ ერთმანეთს, ყვერფ-კერასთან, ცეცხლის პირას, ხევსურული ლექს-სიმღერები და ძველისძველი „ანდრეზები“ — ლეგენდა-გადმოცემები — ცოცხლდებოდნენ მათი მდიდარი მეხსიერების წყალობით...

დუმილი ისევ ციცქამ დაარღვია. — „ჩემო ერეკლევ, — მეუბნება იგი, — გაბრიელის სიკვდილმ გამტეხ, გამაბეჩავ, გამანახევრ კაცი, ყველაის ფილფოი, ხალიზ დამიკარგ!..“ მართალი იყო ციცქა, — კარგი ძმის დაკარგვა არც ისე ადვილი საქმეა! მე გავამხნევე და ამ დროს ფეხის ხმაც მოგვესმა, — ციცქას სახლს მეზობლები უახლოვდებოდნენ: სულაც არ გამკვირვებია, საარხვატოს ახალ დაბრუნებულთაც და იქ დამხვდურთაც ასე სახელდახელოდ ერთად რომ მოიყარეს თავი. მათს სახეებზე კმაყოფილებაც და უკმაყოფილებაც ბევრი ამოვიკითხე.

ამ გაზაფხულს დაბრუნებული არხოტიონნი დიდის ხალისით შესდგომიან მამაპაპურ საქმიანობას. აქ ივნისში ამოვიდნენ ისინი, ამიტომ დიდი დრო არ დარჩათ, ფართოდ გაეშალათ მხრები სათიბ-სამკალად და სახნავ-სათესად. ადამიანისა და საქონლის „სარჩო-საბადებლის“ გვარიანად მოსამზადებლად და დასაბინავებლად. და მაინც რამდენი რამე მოუსწრიათ და გაუკეთებიათ! ერთმა ხევსურმა მითხრა: „განა არ იცი, ჩვენებურს ზამთარს რამსიდიდე მუცელი აქვ, ხელის გაუჩუჩუნებლად რა ამახყორავს იმასო!“ ამიტომაც არის, გრძელი ზამთარი ფრთებს ორბივით პირიქითა ხევსურეთის მთებზე რომ დაკეცავს, არხოტიონთ ფიქრი აღარ ექნებათ, ან საქონლის საჭმელი შემოგვაკლდება, ან ადამიანის სარჩოო. სხვა რომ არაფერი, მომავლისათვის მაინც საფუძველი ჩაეყრება, მთელი სიგრძე-სიგანით „დაამუშაონ“ წლობით ნაყამირალი მიწები, გაბალახებულ-გაშამბებული სათიბები, ნაყამირალი ხოდაბუნები...

ეს იმის საწინდარია, რომ ისინი ყველაფრის გაკეთებას შეძლებენ, მითუმეტეს, რომ მოსახლეობას მხარში უდგანან დუშეთის რაიონის თავკაცნი — პარტიის დუშეთის რაიკომის პირველი მდივანი ჰამლეტ კერესელიძე და დუშეთის რაიაღმასკომის თავმჯდომარე გიორგი წიკლაური, აი, რა გვიამბეს მათ:

— „რესპუბლიკის ხელმძღვანელობა არავითარ მატერიალურ და სხვა სახის დახმარებას არ იშურებს საიმისოდ, რომ საკეთილოდ შემობრუნდეს ეს საშვილიშვილო და თანაც მეტად პატრიოტული საქმე — კვლავ ხევსურეთს დავუბრუნოთ ხევსურები. რომელთაც თავისი ყოფითი კულტურით, ისტორიული წარსულით, ერთგულებითა და გმირობით, ტრადიციულად მდიდარი პოეზიით თავისებური ელფერი შემატეს ამ ისედაც წარმტაც კუთხეს; ყოველივე ეს იმდენს ნიშნავს ჩვენი მცირერიცხოვანი ერისათვის, რომ აქ ყოველგვარი ყოყმანი და უკანდახევა მიუტევებელია, ვინც უნდა იყოს იგი, ამიტომ საქმეს პირი ყველამ ერთობლივად უნდა ავართვათ, გულთან მივიტანოთ, შევიყვაროთ.

ჩვენ, კვირა არ გავა, აქ არ ამოვიდეთ, არ გავიგოთ ხალხის ავი და კარგი. რა დასამალია, სიძნელეებიც ხშირად იჩენს ხოლმე თავს, განსაკუთრებით ტრანსპორტის მხრივ: ყოველთვის დროულად ვერ ხერხდება დუშეთსა და ბარისახოში შემოტანილი სურსათისა თუ საშენი მასალის ადგილზე მიზიდვა. მაგალითად, ახლაც ბარისახოში დიდი რაოდენობით შევზიდეთ (ბევრი რამ ადრევე შევიტანეთ, ამაზე აღარას ვამბობთ) ასაწყობი სახლების მასალა, სხვა საყოფაცხოვრებო თუ კულტურული მომსახურების საშუალებანი, იქიდან კი მათი გადატანა ფერხდება, რადგანაც ერთადერთი მოსახერხებელი ტრანსპორტი ვერტმფრენია. ვფიქრობთ, ამასაც მოკლე ხანში დავძლევთ. წელს ამ ზამთრისათვის არხოტის სამივე სოფლის — ამღა-ჭიმღა-ახიელის — მკვიდრთ უკვე მოვუწყეთ საცხოვრებელი — ზოგს დროებითი ასაწყობი სახლები, ზოგს კიდევ ძველი მამაპაპური ნასახლარები აღვუდგინეთ. ორიოდე ოჯახი დაგვრჩა და იმათაც ამ დღეებში მივუჩენთ კუთხეს. ჯერჯერობით ეს საამჟამოდ, სახელდახელოდ კეთდება, შემდგომი წლებისთვის კი უფრო ბევრი რამ გვაქვს გამიზნული. აქ, სამსავე სოფელში, ყველა იმ ნასახლარს აღვადგენთ, აქამდის მიტოვებული რომ იყო, ოღონდ ისე, რომ ხევსურული სახლის ოდინდელი გარეგნული იერი არ დაიკარგოს, მისი საერთო კოლორიტი არ წაიშალოს; ეს იმ მხრივაც არის საინტერესო და სასარგებლო, რომ ნასახლარი ქვის მასალას გამოვიყენებთ ახალი სახლების ასაშენებლად (ესენი ძირითადად ყორისკედლიანი საცხოვრებლები იქნება), ასე რომ სამშენებლო მასალის შორს ძებნა აღარ გვინდა, სახლები კი (და მთლიანად სოფელი) ხევსურეთისათვის დამახასიათებელ იერს შეინარჩუნებს და საერთო კოლორიტიდანაც აღარ ამოვარდება...“

როცა უყურებ ამ წარმოსადეგ ვაჟკაცებს, საარხვატოს რომ შემობრუნდნენ— ბადა თეთრაულს, ზურაბ წიკლაურს, შოთა ოჩიაურს, გიგლა ოჩიაურს, ციცქა ჯაბუშანურს და ქორძო წიკლაურს — გული იმედით გევსება და გჯერა, რომ ისინი, მართლაც, სახელოვნად გააგრძელებენ წინაპართა ტრადიციას, არ წაშლიან მათს ნაკვალევს. ამიტომაა, იმ სიძნელეებსა და გაჭირვებაზეც ასე გულისტკივილითა და პირდაპირ ლაპარაკობენ, რაც ჯერჯერობით არის და მოკლე ხანში ალბათ ვერც აღმოიფხვრება; ეს, უპირველესად, უგზოობა, უსინათლობა და უტელევიზორობააო, — მეუბნებიან ერთხმად ყველანი.

აბა წარმოიდგინეთ ამ თვალშეუვლებ მთებზე მარტოოდენ ფეხით ან ცხენით (ცხენითაც ყველგან ვერ მიხვალ!) სიარული და ადვილად მიხვდება კაცი სხვა ფიზიკურ შრომასთან ერთად (ხვნა-თესვა, თიბვა-მკა, შეშა, წისქვილი, საქონლის მოვლა...), რა მძიმე პირობებში აყენებს ადგილობრივ მცხოვრებთ უგზოობა. ახლა კი ერთადერთი საშუალება ვერტმფრენია, რითაც უშუალოდ უკავშირდები არხოტს, მაგრამ რა გინდა! — ისიც ხშირად თავის დროზე არ არისო, შემომჩივლეს. როგორც პრესამაც აღნიშნა, ვერტმფრენი თვეში ერთხელ მაინც უნდა ყოფილიყო (განა ეს კი საკმარისია?), მაგრამ, სამწუხაროდ, ირღვევა ეს ვადებიც და, თუ ამასაც ვერ მოვაგვარებთ, სავალალო მდგომარეობაში ჩავაყენებთ იმ ხალხს, თავისი სურვილით რომ წავიდნენ გაუკაცრიელებულ და გაპარტახებულ მთებში...

როგორც ითქვა, არხოტიონთა ამჟამინდელი მთავარი სატკივარი მაინც უგზოობაა. „საქსოფლტექნიკის“ მესამე სამმართველოს თანამშრომლებს, რომელთაც ჯემალ ჭოლოშვილი ხელმძღვანელობს, ძველი სამანქანო გზიდან, როშკის ხიდთან, ახალი გზის გაყვანა უკვე დაუწყიათ. ჯერჯერობით მხოლოდ. ასე ვთქვათ, „შავი სამუშაო“ შესრულებული, რვაკილომეტრიანი გზა როშკამდის არის მიყვანილი, აქედან არხოტამდის 12-15 კილომეტრი მაინც რჩება, ასე რომ, კიდევ რამდენიმე წელს გასტანს არხოტიონთა უგზოობა, მაგრამ აღნიშნული სამმართველო, რომელიც ძირითადად ახალგაზრდულია, ალბათ ყველაფერს იღონებს ამ საშვილიშვილო საქმის დასაჩქარებლად, სამინისტროც, თავის მხრივ კონკრეტულ დახმარებას გაუწევს გზის მშენებლობას, ახლა პირველი რიგის სამუშაოდ რომ ითვლება. საერთოდ კი „სახტყეტრანსპორტის“ საქართველოს ფილიალს (ინსტიტუტის დირექტორი შოთა თითბერიძე, პროექტის მთავარი ინჟინერი და სატრანსპორტო განყოფილების გამგე ვლადიმერ ქავთარაძე) წელს პირაქეთ ხევსურეთში 20 კილომეტრის სიგრძის გზის გაყვანა აქვს დაგეგმილი.

ახლა, არხოტიონთა ახალ ოჯახებს რომ ვემშვიდობები, ერთი ფიქრი მომყვება, მომყვება კი არა, იმედიანი ხმით ჩამძახის: „ესენი დაარღვევენ არხოტის გაუთავებელი ზამთრის სიმყუდროვეს; ესენი იქნებიან გაზაფხულზე პირველი კვალის გამტანნი ნაყამირალ ხოდაბუნებზე; ესენი ჩაუდგებიან სათიბის ნამხრევსა და ყანის სვრელს სათავეში და ბოლოს გაიტანენ; ესენი გარეკავენ მროწლესა და ხვასტაგს მწყემსდანატრებულ იალაღებზე; ესენი შეინახავენ კვლავაც წმინდად ჩვენთან წინაპართა სამემკვიდრო ადგილს...“

კიდევ, კიდევ ბევრმა ფიქრმა გამიელვა... იმათაც მრავალი რამ დარჩათ საფიქრალ-სადარდელი, მაგრამ ერთმანეთს უნდა გამოვმშვიდობებოდით... ყველანი რომ წავიდ-წამოვიდნენ, ციცქამ „სამამაცოს“ მხარეს (სადაც მხოლოდ მამაკაცები სხდებიან) ფანდურს დახედა, — ეს გაბრიელის ნაქონიაო, მითხრა ნაღვლიანად, ჩამოიღო, მომართა და მამაპაპურად ჩამოჰკრა „გაჟეკაურს“ (ფანდურს).

მღეროდა და მეჩვენებოდა, აქ, ციცქას სამყოფელის ყოველ კუთხე-კუნჭულში, გაბრიელის სული დადიოდა, ლექსების ბურუსში გვახვევდა, ჩვენც მისი ლექსების ნახმევს ვიჭერდით თავდავიწყებით, იმ იდუმალ ხმებს ვისმენდით, ხევსურული სახლის ყორენი რომ გამოსცემდნენ ციცქას ფანდურის ხმაზე...

სიმღერა რომ ჩაათავა, ციცქამ ფანდური ისევ „სამამაცოს“ დაჰკიდა, მე კი წამოსასვლელად წამოვდექი. სახლის აქეთ, შამბიან ბილიკამდის მომყვა... გამოვემშვიდობე და „ხელ მაგიმართას, ჯვარ გეწერასავ“ რომ მითხრა, საგზალივით გამომყვა ეს სიტყვები საარხვატოდან. წყაროთგორს ამოვუყევი და აქედან ერთხელ კიდევ დავხედე განუყოფელ სამებას — ამღა-ჭიმღა-ახიელს. მე იგი ახლა რატომღაც დიდი ხნის დადუმებულ ფანდურს მაგონებდა, სიმები რომ აღუდგინეს და ახალი ხმების გამოსაცემად მომართეს...

ეს ხმები მაიმედებდა და ეს ხმებივე მომაცილებდა საარხვატოდან ცნობილი ხევსური მელექსის მერცხალას სტრიქონებთან ერთად: „გამაგრდით, არხოტივნებო! გატეხით რა იქნებისა?“.

# აპრილის მზიანი დღეები...

დღეები მიჰქრიან, როგორც „ნაბდით დაჭედილი ბედაურები“. დიახ, მიჰქრიან და თან მიაქვთ ბევრი რამის ხსოვნა. მაგრამ არიან ისეთი დღეებიც, რომლებსაც ვერა და ვერ „გარდავცემთ დავიწყებათა“. ეს გამორჩეული დღეები ელვარებენ ჩვენს მეხსიერებაში თავისი შინაარსით, განწყობით, ხმებით, ფერებით, ადამიანებით...

საქართველოს კომკავშირის XXXII ყრილობის დელეგატებისათვის დაუვიწყარ დღეებად იქცა 1982 წლის 2 და 3 აპრილი.

ტრიბუნაზეა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ი. ორჯონიკიძე. რესპუბლიკის კომკავშირელთა წინამძღოლი ლაპარაკობს X წითელდროშოვან ხუთწლედში ახალგაზრდობის თავდადებულ შრომაზე, რისთვისაც საქართველოს კომკავშირს ხუთჯერ ზედიზედ მიენიჭა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი დროშა, ხოლო დღეს კვლავ ჩაიბარებს გამარჯვების მაუწყებელ დროშას, როგორც სამშობლოს, პარტიის, ხალხის ინტერესების ერთგულების სიმბოლოს.

ახალგაზრდის ბუნება მეტად ემოციურია, ფაქიზად და ზუსტად აღიქვამს ყოველგვარ ამამაღლებელ სანახაობას.

დარბაზს ჟრუანტელმა დაუარა, როცა ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებს — საბჭოთა არმიის ოფიცრებსა და ჯარისკაცებს, რომლებმაც სამსახურის დროს გმირობა გამოიჩინეს, ყრილობის სახელით მადლობის სიგელები გადასცეს რესპუბლიკის უთვალსაჩინოესმა და უსაყვარლესმა ადამიანებმა: პოეტმა-აკადემიკოსმა ირაკლი აბაშიძემ, უნივერსიტეტის პროფესორმა, საბჭოთა კავშირის გმირმა დავით ჯაბიძემ, შალვა თათარაშვილმა, ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის წიგნით „მცირე მიწა“ ქვეყანამ რომ გაიცნო და შეიყვარა, კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა არსენ კობაიძემ, საკოლმეურნეო მოძრაობის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა და ცოცხალმა მატიანემ, სოციალისტური შრომის გმირმა მიხაკო ორაგველიძემ, სახელმოხვეჭილმა მუშამ, სოციალისტური შრომის გმირმა გიორგი კურტანიძემ.

ამაღელვებელი სანახაობა იყო, როგორი მოწიწებით ილებდნენ ეს ახალწვერულვაშაშლილი ჭაბუკები — დღეს რომ ვაჟკაცურად იცავენ ჩვენს სიმშვიდეს, საიმედო დარაჯად უდგანან მის წმიდათაწმიდა საზღვრებს, სასიქადულო მამულიშვილთა ხელიდან ამ ჯილდოს და სახეზე ალმური ასდიოდათ.

როგორ ღელავდა ნინო ჟვანია, სანამ ტრიბუნაზე ავიდოდა და რა ფოლადივით გაუბზარავად ჟღერდა მისი ომახიანი ხმა, როცა 80-იანი წლების ახალგაზრდებს დედა-შვილურად არიგებდა, მამათა სახელოვანი საქმეების განგრძობისაკენ, ახალი სიმაღლეების დაპყრობისაკენ მოუწოდებდა და როგორ ყაყაჩოსავით დააჩნდა მის ლაწვებს სიწითლე, როცა ამხანაგმა ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძემ კომკავშირელებს ურჩია, ისევ მიეღოთ ნინო ჟვანია კომკავშირში. ეს იყო თაობათა ერთიანობის, ურთიერთ სიყვარულისა და პატივისცემის, ურთიერთის წინაშე მოვალეობის ნამდვილი დემონსტრაცია, იმ თაობათა ერთიანობა, რომელთა ღვაწლმა, ბრძოლამ, შრომამ, წარმატებებმა საქართველოს კომკავშირის დროშაზე ლენინის ორდენი მზესავით გააბრწყინეს, მაღლა ასწიეს რესპუბლიკის, მისი კომკავშირის ავტორიტეტი.

„ავტორიტეტს, ამხანაგებო, უნდა ვუფრთხილდებოდეთ ყოველთვის, რაგინდ რთული ამოცანების გადაწყვეტაც უნდა მოგვიხდეს მომავალში, რა რთულ სიტუაციაშიც უნდა აღმოვჩნდეთ“, უთხრა ახალგაზრდებს ამხანაგმა ედუარდ შევარდნაძემ. და ეს აზრი ზუსტად ეხმიანებოდა ყრილობის დელეგატთა გულისთქმას.

იდგა აპრილის მზიანი დღეები.

ასეთი დღეები ადამიანებს არ ავიწყდებათ.

**ნარგიზა მგელაძე,**

საქართველოს კომკავშირის XXXII ყრილობის დელეგატი.



## სამშობლოს უმაღლესი ჯილდო

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით ლენინის ორდენით დაჯილდოვდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ამხანაგი **მიხეილ პორფილეს ძე გიორგაძე.**

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები დიდი სიყვარულით, პატივისცემით, გულითადად ულოცავენ მიხეილ პორფილეს ძე გიორგაძეს მისი ცხოვრების შესანიშნავ თარიღს და სამშობლოს უმაღლეს ჯილდოს, უსურვებენ მას დიდი ხნის ჯანმრთელ სიცოცხლეს და ახალ წარმატებებს საზოგადოებრივ სარბიელზე.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### ამხ. გ. დ. მგელაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ამხ. **გურამ დავითის ძე მგელაძე** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 2 აპრილი.

# მარაბდა—ახალქალაქი

**სოლომონ დემურხანაშვილი,**
„დროშის" სპეციალური კორესპონდენტი

ვინ იცის, იქნებ იმ დიდ და სახელოვან ქალაქებსაც, დღეს რომ მთელი კაცობრიობა იცნობს, ასე ჩაეყარა საფუძველი, იქნებ, იქაც რაღაც რომანტიკამ, ანდა გმირული სულის მაძიებლობამ მიიყვანა ადამიანები, დაჰკრეს პირველი ბარი, ააშენეს პირველი ქოხი და შემდგომ ამისა, დროთა განმავლობაში, თაობათა წყებამ აქცია ესოდენ ლამაზ და უკვდავ ქალაქებად.

ამ კომკავშირულმა ქალაქმაც, რომელზეც ჩვენ ვლაპარაკობთ, ასე უბრალოდ დაიწყო ცხოვრება თრიალეთის მიდამოებში, თეთრი წყაროს მახლობლად. ეს ქალაქი ჯერჯერობით არც ერთ რუკაზე არ აღუნიშნავთ, მაგრამ მას უკვე ახსენებენ სიამაყით და სიყვარულით. სიამაყით, რადგან მისმა არსებობამ ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ ჩვენი ახალგაზრდობა სასახელოდ აგრძელებს იმ ტრადიციას, რაც თავის დროზე დაამკვიდრეს კორჩაგინებმა, მატროსოვებმა, ძნელაძეებმა, რომ ჩვენს ახალგაზრდობას კვლავაც აქვს დიდი პატრიოტული გატაცება და მზად არის, ყველა სიძნელე გადალახოს, თუკი ამას სამშობლო მოითხოვს.

განა დიდმა პატრიოტულმა გრძნობამ და რომანტიკულმა გატაცებამ არ მიიყვანა ჩვენი ახალგაზრდობა ესოდენ მნიშვნელოვან მშენებლობაზე, რომელსაც მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის ხაზი ჰქვია? განა მათ არ დასცეს კარვები მშენებლობის ოცდამეათე კილომეტრზე თეთრი წყაროს მახლობლად და პირველი მცხოვრებლები არ იყვნენ ამ ადგილისა, რომელიც მომავალში, მართლაც, ქალაქად იქცევა? დიახ, მათ გადალახეს ბევრი სიძნელე და ეს ყველაფერი იმ პატრიოტული გრძნობით დასძლიეს, რამაც თავიდან მოიყვანა ისინი აქ.

მარაბდა-ახალქალაქი, ასე ჰქვია ამ რკინიგზის მშენებლობას, რომელმაც სარკინიგზო ტრანსპორტით უნდა დააკავშიროს ერთმანეთთან თეთრი წყაროს, წალკის, ახალქალაქის სოფლები, რაც ამ რაიონების ეკონომიკას მნიშვნელოვნად გაზრდის.

რკინიგზის ხაზი თანდათან გრძელდება: ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევს წინ — თრიალეთის ქედისკენ; მალე გადაივლის წალკას და გეზს აიღებს თაფარავნის ტბისკენ. ერთი სიტყვით, მდინარე ქციის ხეობას აჰყვება, იმ ქციისა, რომელზეც ვახუშტი თავის გეოგრაფიაში წერს: „ხოლო ამ თრიალეთის საშუალსა დის მდინარე ქციად წოდებული ანუ ლახის გამო ანუ ვინაითგან აქცევს ხიდთა, როგორც არ უნდა მტკიცე ქვიტკირისა თავისო"... როგორც ვხედავთ, ქვიტკირის მტკიცე ხიდებიც ვერ უძლებდა მდინარე ქციას, ახლა კი თრიალეთის მთელ ქედზე ბევრი ხიდიც გაიდება, ბევრი გვირაბიც გაიჭრება და მატარებელიც გადაივლის. თრიალეთზე იგივე ვახუშტი ამბობდა: „თრიალეთი არის ზაფხულ ფრიად შვენიერი, ბალახოვანი, ყვავილოვანი, წყაროიანი, სანადირონი მრავალნი დიდთა ნადირთა, მფრინველთა და თევზთა. არა არს აქა ტყე, რამეთუ მაღალ ადგილ არისო".

დიახ, ასეთ მაღალ ქედზე, რომელსაც დღეს საძოვრებად იყენებენ ქართლისა და კახეთის მეცხვარეები, ვერავინ იოცნებებდა, რომ რკინიგზის ხაზი გადაივლიდა. ეს საშვილიშვილო საქმე კარგა ხანია, დაიწყო, ამ საქმეში ყველაზე დიდი წვლილი ჩვენს ახალგაზრდობას შეაქვს, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან კომკავშირული საგზურებით მოსულ იმ ახალგაზრდობას, ვინც რკინიგზის ოცდამეათე კილომეტრზე საფუძველი ჩაუყარა კომკავშირულ ქალაქს.

ჩვენ ახლა ამ „ქალაქში" ვართ. გაშლილ ველზე თეთრად ბრწყინავს ახალდაგებული ლიანდაგი: იქვე, ლიანდაგთან სახელდახელოდ მოასფალტებულ მოედანზე, მწვანედ შეღებილი ოცდაათიოდე ვაგონია ჩამწკრივებული. ეს არის ჯერჯერობით ამ „ქალაქის" მთავარი ღირსშესანიშნაობა. ვაგონებში ცხოვრობენ ახალგაზრდები, რომლებმაც პირველად კარვები დასცეს აქ. ცოტა მოშორებით კი უკვე შენდება ორი მრავალსართულიანი შენობა; ერთი იქნება საცხოვრებელი სახლი, ხოლო მეორე რკინიგზის სადგური. დიახ, აქ დამკვიდრდება ბევრი ოჯახი, საგზურებით მოსული ახალგაზრდები მალე დაწყვილდებიან, გადაიხდიან კომკავშირულ ქორწილებს და დაიდებენ ბინას.

პირველი კაცი, ვისაც ჩვენ გავესაუბრეთ, გახლდათ მეორე კომკავშირული ბრიგადის ხელმძღვანელი გულივერ დავითულიანი. მას 1976 წელს დაუმთავრებია საშუალო სკოლა ბოლნისში. წარმოშობით ლეჩხუმელია, ახლა ბოლნისში ცხოვრობს. ხუთი სიყრმის მეგობარი ერთად წამოსულა კომკავშირული საგზურით რკინიგზის მშენებლობაზე. ბავშვობიდანვე ერთად დაზრდილები, ერთად ჯარმოვლილები — ნოდარ უგრეხელიძე, ვარლამ ყურაშვილი, თემურ მუშკუდიანი, ბადრი ჯაფარიძე და თვითონ დავითულიანი. როცა ამ ხუთეულს კიდევ შეემატნენ თბილისიდან, ხარაგაულიდან, მცხეთიდან ჩამოსული ახალგაზრდები, თორმეტკაციანი კომკავშირული ბრიგადა შეიქმნა. თორმეტკაციახია აგრეთვე პირველი კომკავშირული ბრიგადა, რომელსაც ვიქტორ ჩურინი ხელმძღვანელობს. სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა ვიქტორმა. იგი გორში დაბადებული და გაზრდილი ბიჭია. თურმე ვიქტორი იყო კომკავშირული ქალაქის პირველი მკვიდრი, პირველი კარავი იმას დაუდგამს, პირველი კომენდატიც ის ყოფილა. აგერ ჩურინის ბრიგადის წევრები, მცხეთიდან, საგარეჯოდან, გორიდან ჩამოსულები: ლექსო ყარალაშვილი, ზურაბ ჯორაძე, ლადო ზაკარაშვილი, გურამ მირზიაშვილი, ჩვიდმეტი წლის ბიძინა დემეტრაშვილი...

დიახ, ჯერჯერობით ეს ორი კომკავშირული ბრიგადაა, ესენი არიან პირველი მერცხლები. გავა ცოტა ხანიც, სულ ერთი-ორი წელი, და გამოცოცხლდება ცხოვრება კომკავშირულ ქალაქში, დამკვიდრდებიან პირველი ბინადარნი, გაიმართება ქორწილები, ახმაურდება საბავშვო ბაღი, რომელიც, ალბათ, მალე აშენდება. მანამდე კი ბევრ სიძნელეს გადალახავენ პირველი კომკავშირელები, მუშები, ბრიგადირები, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის წარგზავნილები პეტრე ქოჩაკიძე და ამირან გუნცაძე.

ყველა კომკავშირელი, ვინც ქვეყნის სიყვარულმა მოიყვანა აქ, ვინც საკუთარ მხრებზე გადაიტანს პირველ სიძნელეებს და ვინც რამდენიმე ხნის შემდეგ ლეგენდასავით დარჩება, — ტკბილად გაიხსენებს იმ დროს, როგორ დაიწყო ცხოვრება კომკავშირულმა ქალაქმა.

## ზუმრუდ გოდერძიშვილი

### ამ სიყვარულს...

ო, ნუ დაარქმევ ამ სიყვარულს
მხოლოდ სიგიჟეს,
ჩემთვის ყველა დღე მხოლოდ შენი
სუნთქვით ილვიძებს.

სავსე ვარ შენით, შენი მზით და
წვიმებით შენით,
მახურავს თეთრი სიმყუდროვის
მაღალი ჭერი.

ნუ გამითელავ გვირილების
მწვანე ხავერდებს
და უშენობის ყიამეთში
ნუ გამახედებ.

ო, ნუ დაარქმევ ამ სიყვარულს
მხოლოდ სიგიჟეს...

## ლია ჯაყელი

მე სხვა ვარ, მე ის არა ვარ,
რაღაც გამომყვა იმისი.
იქნებ ხმა, იქნებ თვალები,
იქნებ... კიდევ რა, ვინ იცის...
მაგრამ მე სხვა ვარ, მის თვალებს
შემოსეოდნენ ჭინკები...
ის სხვაა, ასე ლამაზი
აბა მე როგორ ვიქნები.
მას ფეხზე მინა ემოსა,
თავზე გვირგვინი გვირილის,
იმას ქვეყანას ერჩია
გოგო-ბიჭების ყვირილი.
ის იყო ისე გულლია,
მე გულზე მაწევს ლოდები.
მე სულს ვუბერავ მის სახეს,
მას კი არ მოვაგონდები.

*

თავი კუსავით გამოყო
ღრუბლის ღამეულ ჯავშნიდან,
ხან მიყურებდა, ხან მზერას
ისევ ღრუბლებით ნაშლიდა.
თვალნი დამაწყდა ცისაკენ,
ნეტავი ბეჩავს რა მრჯიდა...
ბოლოს გამოჩნდა ლამაზი
მოოქროვილის ფარჩითა.
ის მიყურებდა ღრუბლიდან,
მე ვუყურებდი ფანჯრიდან...
ავდექ და თვალნი ავიბი
ღრუბლებისფერი თავშლითა.
დე, ახლა იმან მეძიოს,
ხვალ ორნივ ჯავშნებს დავშლითა.

## ნანა არსენაშვილი

### წვიმას ჩამოვყევ...

წვიმას ჩამოვყევ ციდან
წვიმის პატარა წვეთი.
ცრემლი ვარ მზისა წმინდა
და არაფერი მეტი.
გარდასულ დღეებს ვნატრობ
ზღვის მარილიან სურნელს.
რომ დავრჩენილვარ მარტო,
გვიან შევნიშნე თურმე.
წვიმას ჩამოვყევ ციდან
წვიმის პატარა წვეთი,
კვლავ სიყვარული მინდა
და არაფერი მეტი.



# ორი ქალაქის ქრონიკა

## ზამთრის ტბა

რევაზ ინანიშვილი

ილუსტრაციები ავტორისა

ზამთრის ტბა (ქალაქის მახლობლად) მიტოვებულ სამლოცველოს ჰგავს.

ზამთრის დღეებში ქალაქელთა უმეტესობა გარეთ აღარ დადის. ისინი ფიქრობენ, რომ ბუნება ლამაზია მხოლოდ მაშინ, როცა ის სიცოცხლით არის სავსე. სიცოცხლეს კი ეძახიან სიმწვანეს: მწვანე ბალახებს, მწვანე ბუჩქებს, მწვანე ხეებს, და კიდევ — თბილ წყალს, რომელშიც ბანაობა შეიძლება. ზამთრის ცრიატ, თითქოს უძრავ დღეებში დიდი მორწმუნენილა დადიან ტბაზე. ქალაქელთა უმეტესობა, თუ კი სამსახურში არ არიან, ტელევიზორთან სხედან, გვერდით უწყვიათ სასუსნავები. გადასწვდებიან იმ სასუსნავებს, წამითაც კი არ მოაცილებენ თვალს ტელევიზორის ეკრანს, და გამუდმებით ატოკებენ ტუჩებსა და ყბებს.

ზამთრის ცრიატ, მოღუშულ დღეებში ტბის წყალი გამდნარ ტყვიას ჰგავს, უძრავი, უძრავი. ავა, სულ ბოლოს მისი ზედაპირიდან აიკრიფება ბინდი და ბურუსი, ახლოს მოიწევენ მთები. უტყეო მთები ამ დროს სულ რუხებია, რუხები და გაფითრებულნი, გაშტერებულნი. ის მთები ძლეული ლაშქრის დროშებივით ჩაკიდებულან ტბაში. თავდაყირა ჩაკიდებულან ტბაში თეთრი ხეებიც. თეთრ ხეებზე შავი ნაღვლიანი ჩიტები სხედან და აბუზული მხრებით ელაპარაკებიან ცას. ცა უფრო ნაღვლიანია და ჯერ არ იცის, რას იზამს.

ჩაცუცქულან კლდიან ნაპირზე ყველაზე დიდი მორწმუნენი, მეანკესენი, ჩაუშვიათ ანკესები ტბაში და მავედრებელთა თვალებით ჩასცქერიან წყალს. წყალი სულ ოდნავ, სულ ოდნავ კრთის, მაგრამ ესეც საკმარისია მორწმუნეთათვის, რომ სჯეროდეთ — მისგან სასურველ პასუხს მიიღებენ.

ქალაქიდან მოსასვლელში გულაღმა ყრია ცისფერი, თეთრად დანომრილი ნავები. ისინი მოგაგონებენ უსიცოცხლო, დაბერილ... არა. ფიცრის ნავმისადგომის პირას დამდგარა პალტოს ჯიბეებში ხელებჩაწყობილი, დაფიქრებული შუა ხნის კაცი. ძველ დროში ასე მდგარ კაცზე იფიქრებდით, რომ თავის დასახრჩობად იყო მოსული. ძლივს გაათენა ღამე, თვითონ კი არ მოვიდა, ვიღაცამ თუ რაღაცამ მოიყვანა, ახლა თავის დასახრჩობად იდგა და უკანასკნელად ტკბებოდა სამყაროს სილამაზით, წყალში ჩაკიდებული მთებისა და ხეების სილამაზით, უბრალო, გაურანდავი ფიცრების სილამაზით. ჩაიხრება, აიღებს ფიცრებზე დაგდებულ გადატეხილ ნოტიო ლერწამს, ცხვირთან მიაქვს და სუნავს. სანამ ის იმ გადატეხილ ლერწამს სუნავს, სასპორტო მოედანთან სირბილით გამოდიან ორნი — დაბლები, ფეხებმოკლეები, დიდმუცლიანები. ისინი, მთლად აშკარაა, გაურბიან სიბერეს, სიძაბუნეს. შუა ხნის დაფიქრებული კაცი გახედავს, ხელში ისევ ის გადატეხილი ლერწამი უჭირავს, თან კაცებს უყურებს და თან, რატომღაც, ასე ფიქრობს: „ეგენი ამ მხარეს არ უნდა გაქცეულიყვნენ“. აბა? შუა ხნის დაფიქრებული კაცი სულ ოდნავ აიჩეჩავს მხრებს. არ იცის, რომელ მხარეს უნდა გაქცეულიყვნენ, მაგრამ ეს იცის, რომ ამ მხარეს გაქცევით კაცებს არაფერი გამოუვათ.

მოდის სხვა კაციც. აღლუმზე გამოყვანილი ცხენივით მოადგამს ნაბიჯებს, თითქმის მუცლამდე აქვს მუხლები და მერე ისე უშვებს ძირს. შუა ხნის დაფიქრებული კაცი ამაზეც თავის საფიქრალს ფიქრობს. ის ფიქრობს, რომ აქ ცირკი არ არის და არავის სჭირდება სიარულის დროს მუხლების თითქმის მუცლამდე ატანა, სულერთია, არავინ დაგიკრავს ტაშს.

რაკი შუა ხნის კაცი ასე ფიქრობს, არა, ის თავს არ დაიხრჩობს. არცა ღირს თავის დახრჩობა. საკმარისია, აქეთ-იქით მიმოხედვა შესძლო და უამრავ რამეს დაინახავ ისეთს, რომელთა გულისათვის მაინც უნდა დარჩე ქვეყანაზე.

დაღლილი გამომეტყველების გამხდარი ბეღურა ჩინურ ვაზაში წყალს სვამს. ირგვლივ ამოდენა წყალია, ის მაინც აქ სვამს, თანაც წვალებით, წაყირავდება წინ და კინაღამ ვარდება შიგ. დალევს, შეატოკ-შემოატოკებს მხრებს და გაფრინდება. საითაც ის გაფრინდება, იქიდან სკვინჩების პატარა გუნდი მოფრინავს. ბეღურა დაბლა დაიწევს და სკვინჩებს მაღლა გადაატარებს. ბეღურას ძირს კი ხმელი, უძრავი ლერწმებიდან ნელ-ნელი ცურვით გამოდიან იხვები. შორიდან ისე ჩანან, თითქოს შავები იყვნენ. შავ ელფერს, ალბათ, წყალი და ცა აძლევენ. სინამდვილეში — მამალ ამაყ იხვებს სოსანისფრად უბრწყინავთ მკერდი, ყვითელი ფეხები აქვთ, ჭრელი, ჭრელი ფრთები. მამლებიც და დედლებიც მოცურავენ ერთად, ერთი მიმართულებით, თითქოს მთლად გაურჯელად, თავისით. ყოველი მათგანი უკან მოიყოლებს წყლის მქრქალ, გრძელ სამკუთხედს. მათ უკან, თითქოს მათ გამოსაჯავრებლად, ამოხტება ლაპლაპით გადაღუნული თევზი და მძიმედ მოადენს წყალზე ტყაპანს. შუა ხნის დაფიქრებული კაცი ფიქრობს: „იხვებმა ძალიან კარგად იციან, საით უნდა გაცურდნენ. თევზმაც კარგად იცის, როდის უნდა ამოხტეს და ვის დაანახოს თავისი ბრჭყვიალა ფერდები. ჩვენ, ადამიანებმა, არ ვიცით“.

მოდიან ქალი და კაციც. ჯერ ისევ ახალგაზრდები, თითქოს თეატრში წასასვლელად გამოწყობილები. ისინი იმ მანქანიდან არიან გადმოსულნი, ტბის ბარიერთან რომ გაჩერებულა. ამათსას ვერ გაიგებ ვერაფერს, ქალიც დაღონებულია, კაციც, ხელი ხელს კი აქვთ ჩაკიდებული, მივლენ, ცოტა ხანს გაჩერდებიან ტბის ნაპირზე, იყურებიან წყალში, თუ ეუბნებიან კიდეც რაღაცეებს?! კაცს ხელი თითებიდან ქალის მკლავზე აქვს, ქალი მხრით მიეკვრება მხარზე. არ კი ცივა. ნავმისადგომზე მდგარი კაცი შეწუხებული გამომეტყველებით უყურებს. ახლა მას ეჩვენება, რომ სულაც არ არის საჭირო მხრების ასეთი სიახლოვე ქალსა და კაცს შორის.



ახალგაზრდა კაცი და ქალი თითქოს ნაბიჯების თვლით მიუყვებიან ტბის ნაპირს, იქით, იქით.

რა მოხდა, საიდან გაჩნდა ტბაში სამი ხმელი ფოთოლი? ნიავი არ არის, ტბაც არ მოძრაობს. მაშ რატომ მიიწევენ ნელ-ნელა, მაგრამ ჯიუტად ტბის სიღრმისაკენ? მაინც გსურთ? წადით, იარეთ ეგრე, მშვენიერო ფოთლებო!

მოდიან ბიჭები, შეძახილებით, შეკივლებებით დააგორებენ ბურთს. მოდიან მშობლები და პატარა ბავშვებიც. დედა, მამა და სამი წლის ჩაბუდნული ბიჭი. დედა, მამა და სამი წლისავე ლამაზი გოგონა. ბავშვები ქანაობენ საქანელაზე, ცხენებზე, აქლემებზე. ბრუნავენ რკინის დოლაბით. მშობლები უყურებენ ღიმილითა და სიამაყით — სხვების ბავშვები ამას ვერ შესძლებენ! მერე ბავშვები მირბიან ტბასთან, გაფაციცებულნი იყურებიან წყალში, თითქოსდა გაბრაზებულნი ისვრიან შიგ ქვებს. სიამოვნების ყიჟინა ამოხდებათ, თუკი წყალი ღრმად ამოიხვნეშებს და მაღლა აისვრის შხეფებს. ბავშვები ახლა მუჭა-მუჭა აყრიან ხრეშს. წყალი შეთახთახდება და მშვიდდება მალევე.

თეთრი ხეების უკან დაღონებული დგას საცოდავი შავი პატარა პონი. თვალები დახუჭული აქვს. მიდიან ბავშვები, იხრებიან და ცდილობენ ქვემოდან შეხედონ თვალებში. უთუოდ პონის ნაღველის დანახვა უნდათ პატარებს.

ფეხბურთის მოთამაშენიც მოდიან წყალთან. ილებენ პეშვებით, ისხამენ გაშიშვლებულ მკლავებზე.

მოდის ნიავიც, მერე — ქარიც. ტბის ზედაპირი დაიმტვრევა მრავალ, მრავალ ნამსხვრევად. ნერვიულად ატოკებენ სანაპიროს კენჭებს ტალღები.

სწრაფად წავლენ ყველანი: ფეხბურთელებიც, ბავშვიანი მშობლებიც, სათეატროდ გამოწყობილი ახალგაზრდა კაცი და ქალიც, მეანკესენიც. წავა ნავმისადგომის წვეროდან შუა ხნის დაფიქრებული კაციც, აფრიალებული პალტოს კალთების დაფარებას ცდილობს მუხლებზე. მივა საბილეთო სალაროს გვერდით გამართულ გრძელ სკამთან, დაჯდება, მიიწევს ჯიხურის ფიცრებისკენ, მიეკრობა მხრით.

მოდის და მოდის ტყვისფერი ქარი. მოდიან ფოთლებიც. ტრიალ-ტრიალით, ტკაპა-ტკუპით, ფხოჭიალ-ფხოჭიალით ცვივიან ტბაშიც, მაგრამ იქ დამსხვრეულ აჩოჩქოლებულ წყალში აღარ ჩანან. აღარ ჩანან, ალბათ, იმის გამოც, რომ რაღაც მოულოდნელად ბნელდება, ბნელდება.

ტბა ახლა ნამდვილად მთლად მიტოვებულ, ავდრით მიწაჩეჩილ სამლოცველოს ჰგავს.

ამ სამლოცველოს სდარაჯობს ფიცრული ჯიხურის კედელთან მიყუნჭული შუახნის სახეფიქრიანი კაცი.

# მ ე დ ე ა

— ყველაფერი მაღალ დონეზე! ყველაფერი დახვეწილად!
ერთი დიდი ქელეხის სამზადისში გაგონილი.

— ჩვენ იმ წყლებით ვართ მონათლულნი, კავკასიონიდან რომ ჩამოედინებიან და ამირანის სისხლი ჩამოაქვთ ზარად. — მჭერმეტყველებდა თამადა.

ქალმა საათს დახედა და თქვა:

— პირველი დაიწყო. მე მივდივარ. შენც წამოდი.

ოდნავ წახრილი გაუყვა გრძლად წასულ სუფრას. თხელი, ჩამოხვეწილი თეძოები ჰქონდა. ლამაზად, მტკიცედ მიდიოდა წახრილიც კი. გაიოზიც მიჰყვა. გარეთ რომ გავიდნენ, ქალი გასწორდა და. თავისუფლად ამოისუნთქა. ორივეს უკვირდა, რომ არვინ გამოედევნა. ქალი მანქანასთან მივიდა, ჩაჯდა, გადმოიწია და გაიოზისთვისაც გააღო კარი. გაიოზი გაღიმებული ჩაუჯდა.

ქალმა მანქანა აამუშავა და უცებ დაძრა. წელში გამართულს, გრძელი შიშველი მკლავებით ღონივრად ეჭირა საჭე.



ისეთი სისწრაფით მიდიოდა, მოსახვევში ბორბლები წიოდნენ. გაიოზი ღიმილით შეჰყურებდა თითქოს ფოსფორით განათებულ მის სახეს და ფიქრობდა: „ამას ნამდვილად რაღაც აქვს მედეასი. ეს თხელი, პატარა ცხვირი, ეს მკვეთრი ტუჩები... ამას კი ნამდვილად რაღაცა აქვს კოლხი მედეასი".

ვაკის გადასახვევში მილიციის მოტოციკლი იდგა. იქვე იყო გაჩერებული ორი „ჟიგული" და რამდენიმე კაცი. მილიციელმა სასტვენი დაუსტვინა. ქალმა ბიჭურად თქვა: „წადი შენი"... გაიოზმა მაინც გაიხედა გარეთ. მილიციელი მოტოციკლს გადააჯდა.

— გამოგვეკიდა.

ქალმა სიჩქარეს მოუმატა.

— კიდევ მოგვდევს?

— კი.

— ცოტაც დაინაყოს.

ცოტაზეც ასე იარეს. მერე მოტოციკლი გაუპირდაპირათ.

ქალს გაეღიმა.

— ეყოფა, ხნიერი ყოფილა.

მანქანა დაამუხრუჭა, გააჩერა. გაჩერდა მოტოციკლიც. მილიციელმა ქუდი შუბლიდან აიწია. გაიოზმა კარი გააღო. ქალმა ხელი მოჰკიდა, — შენ იყავი, — გადავიდა, ჩქარი, მკვეთრი ნაბიჯით მივიდა მილიციელთან. იქ ისე გაჩერდა, გაიოზს არ დაენახა, რაღაც რომ აჩვენა. მილიციელმა უმწეოდ ახედა, ხელი აუწია. ქალი გამოიქცა, საჭეს მიუჯდა და ისევ სწრაფად წავიდა. ოდნავ გაღიმებულმა მოხედა გაიოზს.

— ჩემთან ამოხვალ.

გაიოზს არაფერი უთქვამს.

მანქანა მაღალი ვერხვებით ჩამობნელებულ ეზოში გაჩერდა. გადმოვიდნენ. ქალმა კარი ჩაკეტა და მშვიდად წავიდა სადარბაზოსკენ. გაიოზი როგორიღაც უსწორმასწორო ნაბიჯით მიჰყვა. სანამ ლიფტი ჩამოვიდოდა, მოუსვენრად იდგა. ქალი ქვედა ტუჩს იკვნეტდა და პირდაპირ იყურებოდა. ლიფტში რომ შევიდნენ, გაიოზმა აშკარად ათრთოლებული ხელები სახეზე შემოაწყო და ტუჩებში აკოცა. ქალი წამით მიჰყვა, მერე თავი გაითავისუფლა და თქვა:

— მოიცადე.

ქალის ბინას ორმაგი კარი ჰქონდა. ერთი ჩვეულებრივი, ხის, მეორე, შიგნითა, რკინის. უხმაუროდ გაიღო ერთიც და მეორეც. ჰოლში შესულმა გაიოზმა ფრთხილად მიმოიხედა. რაღაც უჩვეულოდ მქრქალი ცისფერი შუქი იფრქვეოდა კედლებიდან. „ეს თუა ის რემონტი, ასი ათასი რომ ჯდება." ქალი ჩაიხარა:

— ამ საზიზღარ ფეხსაცმელს გავიხდი.

გაიოზი მთელი მკლავებით დასწვდა, ქალი გასწორდა, ტუჩები არ დაანება.

— მოიცა, მოიცა. ჩაუშვი ხელები!

გაიოზი დაემორჩილა, ქალმა ფეხსაცმელი გამოიცვალა და ერთიც უთხრა:

— ქაჯური არაფერი იყოს, კარგი?

— როგორც შენ მიბრძანებ, ლამაზო. — გაიოზმა ვაჭრული წახუმრებით გაშალა ხელები.

— არც ეგეთი რამეები.

— როგორი?

— ძალიან კარგად მიხვდი, რასაც გეუბნები.

გაიოზი მიხვდა, რასაც ქალი ეუბნებოდა, მაგრამ მაინც იუარა.

— ვერ მივხვდი.

— ვერა?

ქალი განჯინასთან მივიდა, ღილაკს თითი დააჭირა. კარი თავისით გაიღო. შიგნით უამრავი სხვადასხვანაირი ბოთლი იდგა. უცებ მობრუნდა.

— სიგნალიზაცია ჩაურთავი დამრჩა.

— აუჰ!

— ჩამომყევი.

— რა ჩამყოლი გინდა?

— მეშინია.

— რისა გეშინია?

ქალმა მხრები აიჩეჩა და კარისკენ წავიდა. კარები გამოაღო, გაიოზს ელოდა. გაიოზს გაეღიმა, ქალს წინ გაუარა და გარეთ გავიდა. ქალმა კარი სწრაფად მიხურა და გადარაზა. გაიოზი კარს მხრით მიაწვა. ძვრა ვერ უყო. იდგა დაფიქრებული. მერე ზარს თითი ფრთხილად დააჭირა. ყრუდ, მაგრამ მაინც შემაშფოთებლად გაისმა ზარის ხმა მიყუჩებულ სახლში. ერთ ხანს კიდევ იდგა, აქეთ-იქით იყურებოდა, მერე გაეცინა და ნელ-ნელა დაუყვა კიბეს.

# თბილისის 166-ე სკოლაში

ამ ფოტომოთხრობაში **ბონდო დვალიშვილმა** აღბეჭდა თბილისის 166-ე ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის ერთი ჩვეულებრივი დღე.

გახანგრძლივებული რეჟიმის ამ სკოლაში 1200-ზე მეტი ბავშვი სწავლობს. პედაგოგიური კოლექტივი ყოველმხრივ ცდილობს სრულყოს სასწავლო პროცესი, ამაღლოს აკადემიური მოსწრება, გაამდიდროს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სკოლის კაბინეტები და ლაბორატორიები თანამედროვე სასწავლო ხელსაწყოებით არის აღჭურვილი.


ეროვნული ბიბლიოთეკა









- მეცადინეობა უცხო ენების კაბინეტში.
- ლენინის ოთახი. მოსწავლეები კედლის გაზეთის ნომერს ამზადებენ.
- გაკვეთილი ცის ქვეშ. დიდუბის პანთეონი. პოეტ ლადო ასათიანის საფლავთან.
- შესვენება.
- სკოლასთან არსებული მუსიკალური სტუდიის პედაგოგი მარინე ჯაბადარი, მოსწავლე ნიკოლოზ ნუცუბიძე.

# მშობლიური მიწის მეხოტბე

წყნარი, მორიდებული, უწყინარი, ფიქრიანი. ასეთი იყო პოეტი გიორგი კაჭახიძე, მაგრამ თუ უსამართლობას შენიშნავდა, თოფის წამალივით აფეთქდებოდა...

ქართველ პოეტთა შორის გიორგი კაჭახიძე გამოირჩევა იმით, რომ მან ჩვენი სოფელი ქართულ პოეზიაში წარმოაჩინა მრავალფეროვნად, ლამაზად, კოლორიტულად.

მთელი მისი შემოქმედება გამთბარია დიდი პატრიოტული სულისკვეთებით. სამშობლოსადმი მიძღვნილი მისი სტრიქონები გულიდან ამოსული სიმართლეა. პოეტი წარსულის ძეგლს ნახავდა თუ აყვავებულ სოფელში შევიდოდა, გულგრილად ვერ გაივლიდა, ვერ ძღებოდა მათი მზერით.

გიორგი კაჭახიძე ნახევარი საუკუნე შთაგონებით უმღეროდა თავის ქვეყანას. საკუთარი უბანიც ჰქონდა ქართულ პოეზიაში და მისი ხანგრძლივი ჭიდილი ქართულ სიტყვასთან დიდად ნაყოფიერიც იყო. პოეტმა მიაღწია ხანდაზმულობას, უკანასკნელი ლექსები კი ისევ ახალგაზრდული მგზნებარებით ჟღერდნენ. იგი გატაცებით იმეორებდა ხოლმე: „ახალ ბალისთვის ვგეგმავ ნაკვეთებს, სულ რომ დღე იყოს, მინდა ძალიან. ჯერ რა ვიცხოვრე, რა გავაკეთე! — მე სიბერისთვის ჯერ არ მცალია!" მართლაც ბევრი რამ ჰქონდა სათქმელი...

გიორგი კაჭახიძე იტყოდა ხოლმე: მე ორი პოეტი ვარო. ასეც იყო. წერდა დიდებისთვისაც და პატარებისთვისაც. პოეზიის ორივე უბანზე მან ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა.

მადლიერი სამშობლო მუდამ დიდი სიყვარულით მოიგონებს თავის სახელოვან შვილსა და მგზნებარე მომღერალს.

**ლავრენტი ჭიჭინაძე**

## სამშობლოს გარდა

**გიორგი კაჭახიძე**

**ხან სერს ვამწვანებ, ხან სიტყვას ვრანდავ,**
**ხან მომატარებს ცხრა ცას ოცნება, —**
**მაინც ამქვეყნად, სამშობლოს გარდა,**
**ჯერ არ მინახავს სხვა საოცრება.**

**ჯერ ვარსკვლავების ასე შემკრები**
**სხვა ცაფირუზი მე არ მინახავს;**
**არ მომივლია უცხო ქვეყნები,**
**არც ოკეანე გადამილახავს.**

**თითქოს ბავშვი ვარ, თმათეთრი ბავშვი,**
**თითქოს ვაზი ვარ ჭიგოს ჩაკრული,**
**წინანდლის ზვარში, ვარციხის ზვარში**
**ხელმადლიანი კაცის ჩარგული.**

**ხან სერს ვამწვანებ, ხან სიტყვას ვრანდავ,**
**ხან მომატარებს ცხრა ცას ოცნება, —**
**მაინც ამქვეყნად, სამშობლოს გარდა,**
**ჯერ არ მინახავს სხვა საოცრება.**

მეც ქვეყანაზე ვცხოვრობ, ვტრიალებ,
მეც მაქვს საჩემო ყანა, ბოსტანი,
დიდი ცხოვრება თავს დამგრიალებს —
ჩემი აღმზრდელი, ჩემი ოსტატი.

მიჩანს სიცოცხლე ბედნიერებად,
ხვნა და რთველია ჩემთვის ქვეყანა.
მზე მეც მინათებს, მეც მემღერება,
შრომამ სიკეთე მეც შემაყვარა.

მინდა ხალხს გულის ღონე ვაჩვენო,
არ ვეცილები გმირს და გოლიათს.
ქვეყნად ულუფა მეც მაქვს საჩემო,
ბედად მგლის მადა არ დამყოლია.

მიყვარს სიტყვაში შუქის ჩაფენა,
ჩემი თვალი მაქვს, ჩემი სათქმელი.
დედასამშობლო მყოფნის საფრენად
და სიხარულად — მისი ნათელი.

# მესხეთის საუნჯე

საკვირველს, მედიდურს სანახაობას წარმოადგენს მესხეთი საქართველოს ისტორიაში, — ჩვენი ყოფილი ცხოვრება იქ აკაფებულა, ჩვენს სიცოცხლეს იქ უჩქეფია, ჩვენი სულის ძლიერება იქ აღუმართავს თავისი სახელგანთქმული დროშა.

ილია ჭავჭავაძე.

ვინც ახალციხეს ეწვევა, უთუოდ ყურადღებას მიაპყრობს რკინიგზიდან ხელმარჯვნივ, კლდის თავზე აღმართული ციხის გალავანს.

ვინ იცის, რამდენი დამქანცველი დღე გაილია რაბათის ციხე-სიმაგრის კედლებში, სანამ აქ დაარსებულ მუზეუმის დარბაზებში, გაცოცხლდებოდა ძველი მესხეთის, ამ ოდესღაც აყვავებული, შემდეგ კი განადგურებული კუთხის ისტორია. მუზეუმის თითოეული ექსპონატი ხომ შეირჩა და განლაგდა ისე, რომ სრულად წარმოდგენილიყო ამ უჩვეულო და სულით ძლიერი მხარის წარსული და დღევანდელობა. ყველაფერი კი ასე დაიწყო...

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი ქალაქის ცენტრიდან ძველ ნაწილში, რაბათში, გადასახლდა. 1976 წლიდან იგი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შევიდა.

ხანგრძლივი და დაძაბული შრომის შედეგად, პროფესორების ლევან ჭილაშვილისა და ალექსანდრე ჯავახიშვილის უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით მაღალ მეცნიერულ დონეზე მოეწყო ორი არქეოლოგიური საგამოფენო დარბაზი.

ამის შემდეგ ჯერ ციხის სამ გალავანს შიგნით მოქცეული ორი მოპირდაპირე შენობის (საგამოფენო და ადმინისტრაციული) შუა მდებარე ეზოს გასუფთავება დაიწყო: ქვა-ღორღიან ადგილზე 800 ძირი ვარდი ახარეს მუზეუმის თანამშრომლებმა. კეთილმოეწყო ადმინისტრაციული შენობა.

მუზეუმის თანამშრომლებისათვის დაუვიწყარია 1979 წლის 19 ივნისი, როდესაც გაიხსნა ახალი საგამოფენო დარბაზები. ეს იყო ნამდვილი დღესასწაული, მესხეთისა, ამ აღორძინებული, ბედნიერი მხარისა.

დაარსების დღიდან უამრავი სტუმარი ჰყავს ამ სამეცნიერო კერას.

ციხის გალავნები ზოგან დანგრეულია, ზოგან კი სრულად შემონახულა. სამი შესასვლელი ზღუდე-კარი ახლაც კარგადაა შენარჩუნებული. ერთ-ერთი კარის შესასვლელთან, ხელმარცხნივ, აღმართულია აგურით ნაშენი ისლამის მქადაგებელი მოლას მაღალი სამლოცველო კოშკი. მისგან სულ რამდენიმე მეტრზე ციხის მთავარი ზღუდე-კარია. დამთვალიერებელი გადააბიჯებს თუ არა ამ ზღუდე-კარს, თვალწინ გადაეშლება ისტორიულ ნაგებობათა კომპლექსი: ხელმარჯვნივ XVIII საუკუნის 50-იან წლებში აგებული ახმედის სახელობის მაჰმადიანური მეჩეთი დგას, რომლის მაღალ გუმბათზე აღმართული იყო თურქების ემბლემა — ნახევარმთვარე (იგი ზარბაზნის ერთი სროლით ჩამოაგდო ახალგაზრდა ოფიცერმა — პოეტმა გრიგოლ ორბელიანმა). მეჩეთის უკან ამავე საუკუნეში აშენებული სვეტებიანი მედრესეა (მოლების სპეციალური სასულიერო სასწავლებელი), სადაც არსებობდა მთელ მუსულმანურ კავკასიაში ცნობილი ბიბლიოთეკა.

ციხის ტერიტორიაზე დღემდეა შემორჩენილი აქ ოდესღაც არსებული სხვადასხვა დანიშნულების შენობათა ნაშთები, ნაწილის კვალი კი სრულიად წაშლილა.

ახალციხის მაღალკლდოვან ბორცვზე, ციხის უმაღლეს ნაწილში, ციტადელში, რომელიც თავზე დაჰყურებს ბევრი სისხლისღვრის მომსწრე რა-



რუსეთ-საქართველოს შორის მეგობრობისა და მფარველობის ხელშეკრულებას ხელს აწერს ერეკლე II. 1783 წ.

ზათის ციხეს (კედლების სისქე 2,5 მეტრია), იჯდა ქალაქის მფლობელი — მხარის მმართველი, იგივე ათაბაგ-ჯაყელი (იქვე იყო მისი საკუთარი ეკლესია-მონასტერი). შემდეგში კი ამ პირქუშ, მიუვალ კედლებში ცხოვრობდნენ ახალციხის ფაშები, გამაჰმადიანებული ჯაყელები, რომლებმაც 250 წლის განმავლობაში ათაბაგთა რეზიდენცია მაჰმადიანურ ჰარამხანად აქციეს. ჰარამხანის უკან დილეგია — მრავალი ასეულობით ქრისტიანის სასიკვდილო და დასასჯელი ნაგებობა.

ახლა კი ეს შენობები ჩვენი წინაპრების წარსული ტკივილიანი დღეების მოგონებადღა შემორჩნენ და მხოლოდ სამუზეუმო სანახაობას წარმოადგენენ.

მუზეუმის დღის შუქით განათებული შესასვლელის სიღრმეში ყურადღებას იპყრობს ტილოზე ნახატი (მხატვარი რ. სტურუა) ხელებაღმართული თამარი „შიში და ზარი ყოველთა სულტანთა ზედა“, რომელსაც ცალ ხელში ხმალი უჭირავს. იგი ვარძიაშია, ლოცავს და ბასიანის ომში ისტუმრებს ლაშქარს. იქვე ჩანან დავით სოსლანი, ზაქარია მხარგრძელი, შალვა და ივანე ახალციხელები... ტილოს დაბლა, ხალიჩაზე, დგას შოთა რუსთაველის ბიუსტი.

შესასვლელის მარცხენა კედელზე კი ასპინძის ომის (1770 წ.) სურათია (მხატვარი ა. მაისაშვილი), ერეკლე მეფისა და კოხტა ბელადის ვაჟკაცური შერკინების სცენა...

არქეოლოგიურ დარბაზებში წარმოდგენილია პირველყოფილი ადამიანის ჩვენამდე მოღწეული ქვისა და ძვლის, ობსიდიანის პრიმიტიული იარაღები, უძველესი თიხის ჭურჭელი, სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის ჩანასახისა და მომდევნო პერიოდში მისი განვითარების მანიშნებელი ქვის, ბრინჯაოსა და ძვლის იარაღები.

## გეორგიევსკის ტრაქტატი 200

დიდი ადგილი ეთმობა ტ. ჩუბინაშვილის მიერ ახალციხის „ამირანის გორაზე“ არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულ უმნიშვნელოვანეს მასალებს (ჩ. წ. ა. III ათასწლეულის სამოსახლოებში აღმოჩენილი).

დამთვალიერებელთა დიდ ინტერესს იწვევს შუა ბრინჯაოს ხანის (თრიალეთური კულტურის) ყორღანული მასალა (აღმოჩენილი ო. ღამბაშიძისა და ო. ჯაფარიძის მიერ).

არქეოლოგიური განყოფილების ბოლო ვიტრინა მიეკუთვნება ანტიკური ხანის ნივთებს. აქ დამთვალიერებელს თვალწინ წარმოუდგება ძველი ანტიკური ქალაქები: ოძრხე და წუნდა. შეუძლია, იხილოს ქალაქური ყოფისათვის დამახასიათებელი ნივთები. მცირე ზომის თიხის ჭურჭელი, ქალის სამკაულები. აქ იხილავთ მცირე ზომის კოლბას ანტიკური ხანის ხელსაცხებლით და ვენახის სასხლავ რკინის დანას, რომელიც ანტიკური ხანის მესხეთში მევენახეობის არსებობაზე მიუთითებს.

რუკით „საქართველო IV-VI საუკუნეებში“ იწყება სამუზეუმო შენობის გამოფენები მეორე სართულზე. იქვეა VIII საუკუნის ასომთავრული წარწერიანი ქვა ნასოფლარ წყისედან, ადრეფეოდალური ხანისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭელი, აღბეჭდილია ქრისტიანული რელიგიისა და ძველი ქართული კულტურის ძეგლები: აწყურის საეპისკოპოსო კათედრალი, სამცხის განათლების ცენტრი VIII-X საუკუნეებში, რომლის ფართობი თვით სვეტიცხოვლის ფართობსაც კი სჭარბობდა, კუმურდოს ტაძარი (X ს.), ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზე მყოფი ქართული მონასტრები ოშკი და ოპიზა (XI საუკუ.), ციხე-სიმაგრეები: აწყური (X საუკ.). და სლესი (XI საუკ.).

ფოტოებიდან ამაყად გადმოგვყურებს ზარზმის მონასტერი (IX-XIV სს.) და ხერთვისის ციხე (XIV საუკ.). მათ დაბლა კი ზარზმის მონასტრის კედლის ფრაგმენტია (ასლი) ასომთავრული წარწერით, რომელიც გვიამბობს ბარდა სკლიაროსის დამარცხების შესახებ თორნიკე ერისთავის ლაშქრისაგან. ზარზმის მონასტრისავე ფრესკაზე ბაგრატ იმერთა მეფეა გამოსახული (XVI საუკ.)...

გამოფენას ამშვენებს გივი გაფრინდაშვილის მიერ ვანის ქვაბებში (VIII-XII საუკ. კომპლექსი) აღმოჩენილი ნივთიერი მასალა: XII საუკუნის ფერადი მინისა და ჭურჭლის ფრაგმენტები, მიწისძვრის შედეგად დანგრეული ქრისტიანული ეკლესიის იშვიათი ორნამენტით შემკული ქვები (მასთან ერთად აღმოჩენილია ამ ეკლესიაში დღესასწაულის დროს დაღუპულთა ძვლებიც), წყალგაყვანილობიდან შემორჩენილი თიხის მილები და ვანის ქვაბების „დედათა მონასტრის“ (VIII საუკ.) კედელზე არსებული საყურადღებო წარწერების ასლები: ორი სტროფი „ვეფხისტყაოსნიდან“, XV საუკუნის მინაწერი, ერთ-ერთი ყველაზე უძველესი ხელნაწერი რუსთაველის გენიალური პოემისა.

ყურადღებას იქცევს XIII საუკუნის დამდეგის საქართველოს რუკა (ფართობი 34.520 კვ. კმ).

თვალს იტაცებს ულამაზეს ხეობაში მდგარი საფარის (X-XIV საუკ.) მონასტერი, სამცხის მმართველ ჯაყელთა საგვარეულო საძვალე და სა-

გაგრძელება მე-16 და მე-17 გვერდებზე.






წარწერა ობელისკზე.

ახალციხის აღებისათვის დაღუპულ ჯარისკაცთა პატივსაცემად აღმართული ობელისკი.



## ოთარ შალამბერიძე



ცნობილ ქართველ პოეტს ოთარ შალამბერიძეს დაბადების 50 წელი შეუსრულდა. სამი ათეული წელია, მკითხველი თვალყურს ადევნებს მის პოეზიას, მისი ლირიკული გმირის სიხარულსა და ტკივილს, გულთან მიაქვს უაღრესად სათუთი ადამიანური განცდების პოეტის მოქალაქეობრივი შემართებით ნათქვამი სიტყვა.

მუდამ ცხოვრების შუაგულში მყოფ პოეტს დიდ შთაგონებას აძლევს თანამედროვეობა და ისიც გულმხურვალედ უმღერის გმირული შრომით აღსავსე დღევანდელ დღეს.

ოთარ შალამბერიძის პირველი ლექსი „წყარო“ დაიბეჭდა 1950 წელს, გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“. 1957 წელს გამოვიდა ლექსების კრებული „ლირიკული აპრილი“. ამჟამად ოთარ შალამბერიძე ოცი პოეტური კრებულის ავტორია. მისი ლექსები თარგმნილია საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებზე.

ჟურნალ „დროშის“ სარედაქციო კოლეგია თავის მრავალრიცხოვან მკითხველთან ერთად გულითადად ულოცავს პოეტს დაბადების 50-ე წლისთავს, უსურვებს შემოქმედებით გზაზე დიდ წარმატებებს და ნათელ სიტყვას.

### ორმოცდაათი

გამიჟამწრულდა შუაწელი საუკუნისა,
შუადღე! — თუმცა, არა ცხელი, არა თაკარა;
ჟამი ჩადგომის, ჩაფიქრების, ჩამიჩუმისა
ქარმა მწუხრივით მომახვეტა და მომაყარა!

და მაინც მოსწყდა ჩემს ბედაურს სიამის ცრემლი
და ქროლვის ჟინიც ჟრიალივით უვლის უზანგებს...
ეს — ჩუმად ჩავლილ ჩემს სტრიქონებს დაუდგათ ჯერი
და ცა ნობათად სააპრილო ქუხილს უმზადებს!

მამულო ჩემო, ამ იმედის შენ ხარ სათავე,
მადლს ვწირავ გამჩენს — მცირე ღვაწლის შევძელ მოსწრება;
შენზე ოცნება სიკვდილამდის თუ მოვათავე,
მერე... ხელახლა შევუდგები შენზე ოცნებას!

როგორც შემეძლო, შენს ეპოქას ისე მოვერგე,
დარი — ვიდარე და ავდარიც გულით ვიავდრე;
ისევ მინთია კარის კვარი, ისევ ყოველდღე
მკარნახობს ლექსებს შენეული, ბრძნული სიმართლე!

მამულო ჩემო, ალსარება, რასაც აქ ისმენ,
რწმენის ცეცხლია, მოთმინების ცეცხლი ფარული;
მიხმე, მიბრძანე, დამავალე და დამაკისრე,
რომ ღირსეულად დაგიმტკიცო ეს სიყვარული.

ვიცი, არაა საკმარისი ეს ყოველივე,
რადგან ცხოვრების ყველა ზვირთში უნდა ერიო;
და თუ აქამდე დიდ საზრუნავს ვერ მოვერიე,
მამულო ჩემო, შენ მიშველე, რომ მოვერიო.

განვლილი წლები გავუმწკრივე ცას წეროებად,
დავემშვიდობე და შორეთის გზა დავულოცე;
იმ წეროებზე მე უთუოდ დავწერ პოემას,
ყველა მათგანი მიბმული მყავს ფიქრის შულოზე...

„კაფე-თესეო“, — კვლავ ნაცნობი ძახილი მესმის
და შთაგონებაც ძველებურად მინთებს კერიას;
რაა შუადღე!— დრო მეწყება მეორე თესვის
და ხნულებს შორის საფუსფუსო კიდევ ბევრია.

მამულო ჩემო, დიდ საქმეთა შენ ხარ სათავე,
მადლს ვწირავ გამჩენს — მცირე ღვაწლის შევძელ მოსწრება;
შენზე ოცნება სიკვდილამდის თუ მოვათავე,
მერე... ხელახლა შევუდგები შენზე ოცნებას!

### უსახელო ოსტატი

ჰე, რუსთაველის აკვნის ოსტატო,
თევდორე გერქვა, ანთუ — ესტატე, —
ხეს რომელს ჭრიდი საკვნე ფიცრად,
რომ გაგვხდომოდა მერე საფიცრად?!

ბევრია ჩვენში აკვნის გამთლელი,
მაგრამ შენ სულ სხვა გმოსავს ნათელი;
ნათელი გმოსავს, ვით — თავგანწირვას,
ან — ოხშივარი მინას ნანვიმარს.

ჰე, რუსთაველის აკვნის ოსტატო,
აკვანს რომ თლიდი, რასა მღეროდი?
საუკუნეებს როგორ მოვსტაცო
ის საიდუმლო შენი ხელობის?!.

რად აგენენა მაინც გზა-კვალი,
ნუთუ, არავინ შეგრჩა შემწედა?
ცაცხვის თუ იყო იგი აკვანი,
მერე... სტრიქონში თაფლს რომ
ეწვეთა?!.

შენი სახელი რომ ამოვწვადო
საუკუნეთა ცივ ქარქაშიდან,
ხომ გადაინვი, წამში, ოსტატო,
ბნელს ასხლეტილი სიკაშკაშითა?!.

ჰე, რუსთაველის აკვნის ოსტატო,
ხარ პოეზიის აკვნის დამრწევიც;
მაშ, რაღად გინდა მეტი სახელი,
თუ უსახელოდ დღემდი გასძელი?!.

### ჩემთვის მაშინ დაიკარგე...

ვაი, შენი დავიწყება, სერაფიტა,
ვერ შევძელი, ვერ შევძელი ვერაფრითა.

ყველა ფიქრი ქარმა ტანზე შემაფლითა,
განძარცული არმაზს მივქრი,
სერაფიტა.
მწვანე თვალი ოდეს ბინდმა შე-რა-ბინდა,
ჟამთა სრბოლას რა ჩაუთქვი,
სერაფიტა?!

სამარხებში რომ გიპოვეს წერაქვითა,
ჩემთვის მაშინ დაიკარგე, სერაფიტა...

### მოგონება

შოთა ივანიაძეს — ბავშვობის მეგობარს, ამჟამად ბათუმის საზღვაო ვაგზლის უფროსს.

ჰე, მეგობარო, გახსოვს, ჩიბათი,
როცა ვიყავით ქოჩრიანები?
ნაპარავ თხილით სავსე ჯიბეთი
ყანა-ყანა რომ მოვჩხრიალებდით?!

გახსოვს, პაწია სოფლის ღელეში
გადაღლეტილი ფეხისგულები?!.
ზოგჯერ ათასგვარს ვქსოვდით ოცნებას
წვიმის დროს ზვინში შეხიზნულები...

მერე იმგვარად ქარმა იძალა
მძიმე კარების მოღიავებით,
ის ციცქნა ღელე ზღვად შეგიცვალა,
ის ლიფსიტებიც გახდნენ ღლავები...

მირაჟებისგან არა დარჩა-რა,
ის მშვენიერი ჟამიც დაგვშორდა;
მე თბილისს შევრჩი, შენ კი — აჭარას,
სოფელს კი — ჩვენი ლაღი ბავშვობა...

ახლა პირისპირ ვდგავართ კაცები
და მოგონება გვათოვს ღიმილად;
შენ ზღვის ტალღები გაბარპაცებენ,
მე პოეზია მომეტკივილა...

ჰე, მეგობარო, რაც გვიშფოთია,
ვით ჩამოვთვალო, რა გაიხსენებს?!
შენ ჩემთვის დარჩი ისევ შოთიად,
მეც ოთია ვარ შენთვის ისევე!

### სიმაღლე

სადაც მე ვდგავარ ახლა ამაყად
და მთელ სამყაროს მაღლით გავცქერი,
სასაცილოა იმ სიმაღლესთან
შხარაც, თეთნულდიც და მყინვარწვერიც.

ქარი, ქარშეთი თუ ქარაშოტი
ჩემს დამონებას ამაოდ ლამობს, —
მე ხომ შენს ფეხთით ვარ დაჩოქილი,
უმაღლეს ფეხთით... ლამაზო ქალო?!

* * *

ბილიკები დაუფარავთ ლიანებს,
მე ეს ძველი მერხი მაინც მეცნობა...
ო, რა ხშირად, ხშირად გვასევდიანებს
დიდი ხნის წინ ჩადენილი შეცდომა!

ეროვნული ბიბლიოთეკა



გიორგი გაბარაევი

შეპირაპირება.

# ახალგაზრდა მხატვართა რესპუბლიკური გამოფენიდან



ჯემალ ზენაიშვილი მოგონება ზღვაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა




ჯონი ოქუჯავა — კომკავშირული ბრიგადის ხელმძღვანელი ი. ოქუჯავა

# ახალგაზრდა მხატვართა რესპუბლიკური გამოფენიდან



თეიმურაზ რუბაშვილი — ენგურჰესის მშენებლები.

ვახტანგ ქანთარია — მეტეხი.





ტარიელ ქასაბური — ძველი სოფელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ახალგაზრდა მხატვართა რესპუბლიკური გამოფენიდან



ანზორ ჩხაიძე

ზღვა და ახალგაზრდობა.



ვირა კაკინაშვილი

ბერიკაობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გრიბოედოვის უკანასკნელი დღე

ვლადიმერ ალფენიძე

მწერალმა ვლადიმერ ალფენიძემ დაამთავრა რომანი-ქრონიკა „სიყვარული და უკვდავება“, რომელიც ეძღვნება ალექსანდრე გრიბოედოვისა და ნინო ჭავჭავაძის ლეგენდარულ ცხოვრებასა და სიყვარულს.

ჩვენი ჟურნალის მკითხველები უკვე გაეცნენ ფრაგმენტებს რომან-ქრონიკის პირველი და მეორე წიგნიდან; ამჯერად გთავაზობთ ფრაგმენტს მესამე, ბოლო წიგნიდან „სიკვდილი ქრისტეს ასაკში“.

თეირანში თოვდა. თოვდა ხვავრიელად.

ათოვდა მეჩეთებს და მინარეთებს, ათოვდა შაჰინშაჰის ჰარამხანას... ათოვდა კებლე-ელემს...,

რუსეთის იმპერიის მინისტრ-რეზიდენტი ალექსანდრე გრიბოედოვი თავის თეირანულ რეზიდენციაში, შაჰზადეს სასახლეში, საელჩოს პირველ მდივანს მალცოვს ესაუბრებოდა სპარსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში გასაგზავნი საპროტესტო ნოტის თაობაზე. შაჰის კარი უკან მოითხოვდა ლტოლვილებს, იმათ, ვინც თავი შეაფარა იმპერიის საელჩოს სამშობლოში დაბრუნების იმედით.

— ბატონო მინისტრ-რეზიდენტო, იქნებ სჯობდეს, შაჰინშაჰს დავუბრუნოთ მისი კარისკაცი მირზა-იაკუბი, ხოლო შაჰის სიძეს ალაჰ-იარიხანს მისი ცოლები, ის ქართველი და სომეხი მზეთუნახავები, რომლებმაც პოლიტიკური თავშესაფარი ითხოვეს ჩვენს საელჩოში და ტფილისში დაბრუნებას რომ მოითხოვენ... მაშინ დამშვიდდება შაჰინშაჰიც, მისი მინისტრებიც, ალაჰიც, მუჰამედიც და თეირანის მუშტეიდი მირზა-მესეხიც, ყველა მათი შაითანი და ანგელოზი!

გრიბოედოვმა თავი აილო და გამჭოლავი მზერა ესროლა საელჩოს პირველ მდივანს.

— არა, მალცოვ, ეს პრინციპის საქმეა. ადამიანი და ადამიანის უფლება ყველაფერზე მაღლა! არ შეიძლება თურქმენჩაის ტრაქტატის დარღვევა. შაჰმა შიში არ უნდა ამოიკითხოს ჩვენს სახეებზე. დაე, დამარცხებულებს ეშინოდეთ. ჩვენ რამ უნდა შეგვაშინოს?!

მალცოვი ჯერ გაჩუმდა, მერე წასვლის ნება სთხოვა მინისტრ-რეზიდენტს და შაჰზადეს სასახლის გრძელ დერეფნებში გაუჩინარდა.

ჯუმა დღე გათენდა თეირანში.

პარასკევს, 26 იანვარს ფეტვა იყო ყველა მეჩეთში. თეირანის მუშტეიდი ჰაჯი-მირზა-მესეხი ხოტბას ალავლენდა ალაჰის სადიდებლად.

მაჰმადიანებს ყურანული კითხვა-პასუხი უყვართ საღვთო თემებზე და ამას ფეტვას ეძახიან.

ცბიერ მუშტეიდს მუჰარამის იმ შავ დღეს ფეტვა ისე მიჰყავდა, რომ ბრბო ვაზირ-მუხტარის წინააღმდეგ აემხედრებინა.

— ჯიჰადი! — მოითხოვდა თეირანის მუშტეიდი.

— ჯიჰადი! საღვთო ომი! — უპასუხებდა ბრბო.

იგივე გამეორდა 29 იანვარს, ორშაბათს, დუშამბა დღეს.

1829 წლის 30 იანვარს, სამშაბათს, სეშამბა დღეს, თეირანის მეჩეთებში დილაადრიან კვლავ გაისმა მუეძინთა საგანგაშო ხმა. კვლავ ჯიჰადი, კვლავ საღვთო ომისკენ მოწოდება გაისმოდა მეჩეთებში.

დილის ნამაზი დამთავრდა.

მლოცველებმა პირი მექადან ჯერ შაჰინშაჰის სასახლისაკენ ქნეს, შემდეგ კი რუსეთის საელჩოს შენობისაკენ...

— აშხედუ ენლო ელოგა ელ-ალლაჰ![1] — გამყინავად იკივლა მუეძინმა მინარეთიდან. მას სხვა მუეძინებმა მისცეს ბანი და თეირანში აღმოსავლური ღვთაებრივი მისტერია დაიწყო.

ეს მისტერია მუდამ გულს უწყალებდა გრიბოედოვს. მით უმეტეს ამ დილით.

ავბედითად მოღუშული სპარსი მხედრები უნაგირს ადგამენ ცხენებს, ძუას და ფაფარს უვარცხნიან. ცხენზე შესხდომის წინ ალ-ყურანის მისტიკური ლოცვები გამოჰყავთ თითებით ცხენის კისერზე... ყველას, იმათაც, ვის უნაგირს და მოსართავს ყურანის ფრაზები შვენის, და იმათაც ვინც ვერ მოასწრო ყურანის ლექსებით, ალაჰის სიტყვებით ცხენის კაზმულობის შემკობა, ბოლმა ახრჩობთ.

რაღაც დიდი, საბედისწერო საქმისათვის ემზადებიან შავ ცხენებზე შემჯდარი შავგვრემანი მხედრები.

ბრბოში თეთრმოსასხამიანი სპარსელები გამოჩნდნენ. ვეება ხანჯლები მოაქვთ და თავში ირტყამენ, სისხლი ჩამოსდით სახეზე. ყვირიან ალაჰის სიტყვებს და ალ-ყურანს კოცნიან.

ეს სპარსული შახსეი-ვახსეია!

ესენი ველური აღთქმის ხალხია, აზიელი ფანატიკოსები!

მოდიან ეს ველურები, ხანჯლებს ირტყამენ თავში და ბრბოს ვაზირ-მუხტარის სასახლის დასარბევად მოუწოდებენ:

საკუთარ სისხლს ანთხევენ, სწვისი უფრო სწყურიათ!

ესენი თავს არ ინდობენ, შენ დაგინდობენ?!

სასახლის ახლოს დილაადრიან გამოჩნდა ვიღაც დერვიში. კამეჩის ტყავი აცვია. ხარის რქა უჭირავს ხელში საყვირად და ირგვლივ ყველაფერს აყრუებს.

[1] არა არს ღმერთი გარდა ალაჰისა და მუჰამედია ღმერთის წინასწარმეტყველი (ფრაზა ყურანიდან).

— ია ჰაკ! — ჭეშმარიტებას მოითხოვს ეს კამეჩისტყაოსანი რაინდი, ქალივით გრძელ თმებზე ნაცარტუტას იყრის, სახეს „ალაჰის წმინდა ტალახით“ ითხუპნის, ხმის ჩახლეჩამდე „ია ჰაკს“ გაჰკივის.

მას უკან სხვა მაწანწალა დერვიშები მოჰყვებიან... ბოლო არ უჩანთ მათ...

ამდენი ხალხი არასოდეს უნახავს თეირანს მეჩეთებში...

— აქ რაღაც საეჭვო ამბავი ხდება! — აშბობდნენ ქარვასლებში ადრე გალვიძებული თურქი, ჰინდო და არაბი დიდვაჭრები...

ბრბო ბრბოს მისდევს.

ყველა ქუჩაზე და მოედანზე საეჭვოდ იკრიბებიან მუსლიმანები...

მაღალია შაჰ-აბდულ-აზიმის მეჩეთი თეირანში. ცაში ღრუბლებს ხევს იმამ-ზუმეს მეჩეთის მინარეთი.

იმ მინარეთებში არ სუფევს მშვიდობა დღეს. იქ იარაღს ისხამს ალაჰის მრევლი. ვაზირ-მუხტარი უნდა მოკლან! მან თურმე მუჰამედის წვერს დააფურთხა.

— მუჰამედის წვერს დააფურთხა ვაზირ-მუხტარმა! ის უნდა მოკვდეს! — ყვიროდა ვიღაც სპარსი სარბაზი, — დამოკლდეს მისი ლანდი! მჭლე გახდეს მისი ცხვირი![1]

იმ დილით სულეიმან-ხან-მელიქოვმა გრიბოედოვს მალემსრბოლი აახლა.

— ვაზირ-მუხტარ! შეთქმულებაა თქვენს წინააღმდეგ! ეს სულ ასაფ-ედ-დოულე, ალაჰ-იარხანის ოინებია! — ამბობდა შიკრიკი.

გრიბოედოვმა თავი ამაყად ასწია მაღლა.

— ჩემს უკან დგას იმპერია, რომელიც დედამიწის ერთ მეშვიდედს აზანზარებს. მე აქედან ფეხს არ გავდგამ. გაქცევა არ ეკადრება იმპერიის ელჩს!

სულეიმან-ხანის შიკრიკმა სასწრაფოდ დატოვა საელჩო.

გრიბოედოვს ეგონა, რომ შაჰი მისი ნერვების სიმტკიცეს ცდიდა.

სულეიმან-ხანის შიკრიკის შესახებ შაჰის კარმა არაფერი იცოდა, თორემ სულეიმან-ხანის თავს მარგილზე წამოაცვამდნენ კებლე-ელემის წინ.

— ჰაზავათ! — თქვა ჰაჯი-მირზა მესეხმა ძლივს გასაგონად.

— ჰაზავათ! — გაიმეორა ალაჰ-იარ-ხანმა.

— ჯიჰადი![2] — გაისმა ისევ ის საგანგაშო ხმა რომელიღაც მეჩეთში თუ ქუჩაში.

[1] სპარსული წყევლის მისტიკური ფორმულებია (ავტ.).

[2] ჯიჰადი — რწმენისათვის ბრძოლა.

ეს იყო პირველი ნაპერწკალი თივაში.

— ჯიჰადი! — ახლა უფრო ხმამაღლა თქვა ვილაცამ. თივას ცეცხლი წაეკიდა.

— ჯიჰადი! — გაისმა მესამედ და სადღაც მაღლა აღიმართა მუსლიმანთა მწვანე დროშა...

— ჯიჰადი! — კვლავ გაისმა რომელიღაც მინარეთიდან.

— ჰაზავათ! — შეეპასუხა მას სხვა ხმა მეჩეთიდან.

— ჯიჰადი! — ისევ იყვირა ვილაცამ და ამ ხმას გულღვიძლიც თან ამოატანა.

და დაიძრა ბრბო...

წმინდა ომი იწყება თეირანში!

„ჯიჰად“ და „ჰაზავათ“ წმინდა ომისკენ მოწოდებაა...

რუსეთის იმპერიის საელჩოში ჯერჯერობით სრული სიმშვიდე სუფევდა. შორიდან აღწევდა ყრუ ხმები. უცნაურად გუგუნებდა თეირანი. ავბედითად, საბედისწეროდ ხმაურობდნენ მეჩეთები, ქუჩები, მოედნები. თითქოს ამოძრავდნენ ბანიანი სახლები, სასახლეები, ქარვასლები.

„აქ, ეტყობა, უბედურება დატრიალდება“, — გაიფიქრა მალცოვმა. პირველმა მან იგრძნო მოახლოებული საშიშროება. ის დიდი ხანია, ელოდა ამ საბედისწერო ხმებს. და აი, ეს ხმები უკვე აზანზარებენ თეირანს.

მალცოვი თავქუდმოგლეჯით გარბის. თვითონაც არ იცის, საით.

არც გრიბოედოვისაგან აულია ნებართვა, არც მეგობრები გახსენებია, არც სამშობლო.

საკუთარი ტყავის გადასარჩენად გარბის.

— გესმის, გრიბოედოვ, მიქელ-გაბრიელის საშინელი საყვირის ხმები რომ გვაუწყებს ჟამსა მას, მეორედ მოსვლისას?!

ნუთუ ეს დასასრულის დასაწყისია?!

ხმაური გრიბოედოვს ჩაესმოდა, როგორც ამბოხებული ბრბოს ყვირილი ქრისტეს ჯვარცმის წინ:

— Распять его!

უცნაურია. ესენი სპარსულად ყვიროდნენ, მას კი რუსულ ენაზე ესმოდა მათი ხმა.

უმზერდა შაჰის სარბაზებს გრიბოედოვი და მათი ფიცის ტექსტი ჩაესმოდა ყურში.

„ვფიცავარ ალაჰს და მის წინასწარმეტყველს მუჰამედს, ვფიცავარ ფატმას და ალის, ვფიცავარ ალ-ყურანს და შაჰინშაჰის მზეს, უმოწყალოდ ვხოცო ისლამის დროშის ქვეშ ქაფირები, გიაურები, ყველა, ვინც არ აღიარებს ისლამის რჯულს, მოხუცები, ჩვილი ბავშვები! ტყვედ წამოვასხა ლამაზი ქალები! თუ მე ეს ფიცი და აღთქმა გავტეხო, თავს დამატყდეს ავი ბედი, ჰარამხანის კარი დამეხშოს, კარავი დამექცეს... მწყურვალს წყალი არავინ მომაწოდოს, მშიერს პური არავინ მომიტანოს, მოკვეთილ ვიქნე!“.

ნუთუ ამ ფიცის დამდები სარბაზები დაგინდობენ შენ, გრიბოედოვ?!

მირზა იაკუბმა ფანჯრიდან გახედა ბრბოს და მოახლოებული საფრთხე იგრძნო.

ანგარიშმიუცემლად გავარდა კარში და კაზაკებს უყვირა:

— ცეცხლი! ცეცხლი! ცეცხლი!

— Огонь! — იქუხა პასუხად ვილაცამ და თოფების ბათქაბუთქი ატყდა.

— ვინ ისვრის? რატომ ისვრიან? — იკითხა გრიბოედოვმა, მაგრამ უკვე გვიანღა იყო.

ხელჩართული ომი დაიწყო.

— დაიმალეთ, ალექსანდრ სერგეიჩ! — თქვა შაჰნაზარმა.

— არა, ჰაფიზის ხალხი ისე არ დაეცემა, რომ სხვა ხალხის პოეტი მოკლას! — თქვა გრიბოედოვმა.

— ამ ხალხს ჰაფიზი არ წაუკითხავს. ამათ ყურანიც არ წაუკითხავთ. ესენი უწიგნურები არიან! — ყვიროდა შაჰნაზარი.

ალექსანდრემ წაუყრუა.

გრიბოედოვის უკან როსტომ-ბეგის მაღალი, მრისხანე ფიგურა აღიმართა.

ის გრიბოედოვის მცველი იყო.

როსტომ-ბეგი ცეცხლს აფრქვევდა. სპარსელებზე მიიწევდა საომრად.

გრიბოედოვი აჩერებდა.

— არ გინდა, როსტომ-ბეგ! იქ კაზაკები მტკიცედ დგანან!

ბრბო სულ უფრო და უფრო მატულობდა. ბობოქრობდა.

ხმაური აზანზარებდა თეირანს.

მენინავენი კაზაკებს ეკინწლავებოდნენ ხმლებით.

კაზაკებს გრიბოედოვისგან ნაბრძანები ჰქონდათ: ხალხს არ ესროლოთო.

ამიტომ ისინი ხიშტების მოქნევითა და ჰაერში სროლით აშინებდნენ ფანატიკოსთა ბრბოს.

მაგრამ ბრბომ ქვების სროლით უპასუხა.

ლაწალუწით ტყდებოდნენ საელჩოს ფანჯრები...

ქვების წვიმა მოდიოდა...

გრიბოედოვმა საიდუმლო გასასვლელით სამი მალემსრბოლი გაგზავნა. ერთი შაჰინშაჰთან, კებლე-ელემში: აჯანყებაა, საელჩო საფრთხეშია, ჯარი მოგვაშველეთო!

მეორე მალემსრბოლი თეირანის ბეგლარბეგთან, შაჰის ძესთან — ზილ-სულთანთან აფრინა. წესრიგის აღდგენას მოითხოვდა. მესამე მალემსრბოლი შაჰის კარის საგარეო საქმეთა მინისტრთან წავიდა. დიპლომატიური პროტოკოლით, საერთაშორისო სამართლის მიხედვით საელჩოს უსაფრთხოება პირველ რიგში საგარეო საქმეთა მინისტრს ეკისრებოდა.

კარგა ხანი გავიდა, მაგრამ ჯერჯერობით არავინ ჩანდა.

საელჩოს კი წყალდიდობასავით ემუქრებოდა ფანატიკოსთა ბრბო.

გრიბოედოვმა ფანჯრიდან ოლიმპიური სიმშვიდით გადახედა ამბოხებულ ბრბოს და თქვა:

— Вот они алчущие и страждущие мою Смерть!

— იქნებ შავი გასასვლელით გავიქცეთ, სანამ გვიან არ არის? — შესთავაზა როსტომ-ბეგმა გრიბოედოვს გამოსავალი.

გრიბოედოვმა სათვალე გაისწორა, რევოლვერი ჩახმახზე შეაყენა და როსტომ-ბეგს თვალებში ჩახედა:

— Я ль буду в роковое время позорить гражданина сан?

დეკაბრისტი პოეტი კონდრატე რილეევი გაახსენდა გრიბოედოვს.

როსტომ-ბეგმა ვერაფერი გაიგო.

— რა დროს ლექსებია, ქვეყანა იქცევა, მეორედ მოსვლაა! ვინ იცის, რა ხდება ახლა თავრიზში? — ყვიროდა გამწარებული როსტომ-ბეგი, — ვინ იცის, რა დღეშია ნინო? — გავიქცეთ!

— ეეჰ, შორია თავრიზამდე, ჩემო როსტომ-ბეგ! თუ იქ რამე ჭირს, ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ თუ რამე ჭირს, მე და შენ რაღას ვუშველით?! ერთი თვის გზაა თავრიზამდე, — თქვა გრიბოედოვმა და როსტომ-ბეგმა პირველად იგრძნო სასოწარკვეთა გრიბოედოვის ხმაში.

ნინოზე ფიქრი ტანჯავდა პოეტს.

ვერ დააბრუნებ მდინარეს თავის სათავისაკენ, ვერ გაათენებ ხელახლა გუშინდელ დღეს, ვერ აქცევ სიკვდილს დაბადებად.

— მოხდეს, რაც მოსახდენია, — თქვა გრიბოედოვმა, — ვაჟკაცურად გავუმკლავდეთ განსაცდელს, როსტომ-ბეგ!

ეზოდან სროლის ხმა მოისმა. ვილაცამ მწარედ დაიგმინა. შემდეგ მეორედ გავარდა თოფი და ბრბომ უსაშველო ღრიალი მორთო.

— კაზაკები ისვრიან! ცუდადაა საქმე! — კივილით შემოვარდა საშკა გრიბოვი, რომელიც აქამდე მირზა-იაკუბსა და ალაჰ-იარ-ხანის ცოლებს იცავდა კაზაკებთან ერთად საელჩოს ქვედა სართულზე.

— როსტომ-ბეგ! შავი გასასვლელით დატოვე საელჩო და თავრიზს წადი. შენ ნინოს უფრო სჭირდები ახლა, ვიდრე მე. საცაა შაჰის ჯარი მოვა და ამ ბრბოს დაშლის. იქ კი, ვინ იცის, რა ხდება?!

— აბა, ჩქარა თავრიზისაკენ! — ამბობდა გრიბოედოვი.

როსტომ-ბეგი ადგილიდან არ იძვროდა.

— რა იყო, რატომ არ ასრულებ ჩემს ბრძანებას? — გაოცდა გრიბოედოვი.

— ნაბრძანები მაქვს, ერთი ნაბიჯით არ მოგცილდე. შენთან ერთად უნდა ვიყო. ან სიკვდილი ან სიცოცხლე! — გაჯიუტდა როსტომ-ბეგი.

— ვინ ბედავს აქ კიდევ ბრძანების გაცემას? — გაოცდა გრიბოედოვი.

— ეს ნინოს ბრძანებაა, ვაზირ-მუხტარ. მე მას ჯვარზე შევფიცე და უკან დასახევი გზა არა მაქვს. ნუ გეწყინება, მაგრამ შენს განკარგულებას ვერ შევასრულებ. გინდა მომკალი, ვერ შევასრულებ! — თქვა როსტომ-ბეგმა, — ან შენთან ერთად ცოცხალი გავალ აქედან, არა და აქ... — ვერ დაამთავრა სათქმელი როსტომ-ბეგმა...

ნინოს ხსენებაზე გრიბოედოვს ცრემლი მოადგა თვალზე...

შაჰის სიძის ალაჰ-იარ-ხანისა და თეირანის მუშტეიდის მირზა-მესეხის მიერ გაბოროტებული ბრბო არბევდა რუსეთის მისიას.

— ნუთუ ფირდოუსის ერი აკეთებს ამას? — ამბობდა გაოცებული გრიბოედოვი და ხან თოფიან ადელუნგს შეჰყურებდა, ხან ხელში ხმალშემართულ საშკა გრიბოვს.

სარბაზებს ფეხებზე ეკიდათ ფირდოუსიც და ეს ქვეყანაც.

ისინი გრიბოედოვზე მოსაკლავად მიიწევდნენ.

საელჩოს ასი ათასი თეირანელი უტევდა.

მოულოდნელი თავდასხმით ერთხანს გაოგნებული გრიბოედოვი მალე გონს მოეგო.

— უსმინეთ ჩემს ბრძანებას! — პისტოლეტი ამოიღო და მთელი ხმით იყვირა გრიბოედოვმა, — კაზაკებო! ჩახერგეთ კარები და შემოსასვლელები!

— დიპლომატიურ და სამოქალაქო პერსონალს მიეცით იარაღი!

გაიჩხაკუნეს კაზაკთა შაშხანების საკეტებმა. ჯარისკაცებმა საბრძოლო პოზიცია დაიჭირეს. ფანჯრებთან, კარებთან, ეზოს სიღრმეში, საელჩოს შენობის გალავნის გასწვრივ, სახურავზე, სხვენზე ბარიკადები მოაწყვეს.

გრიბოედოვის ოთახი თავდაცვის შტაბად იქცა.

მრისხანედ უმზერდნენ რუსული შაშხანები მუსლიმანთა გაბოროტებულ ბრბოს.

გრიბოედოვი წამდაუწუმ კითხულობდა: ხომ არ ჩანსო შაჰის გვარდია, ან ზილი სულთანის სარბაზები ხომ არ მოდიანო ამბოხებული ბრბოს დასაშლელად. ან თეირანის მუშტეიდი ხომ არ გამოჩნდაო თავისი მოლებითა და ხოჯებით, რომ ქადაგებით მიმართოსო ხალხს.

მუდამ ერთი და იგივე პასუხი ისმოდა:

— არა, მუხტარ-ვაზირ, არავინ არ ჩანს!

გრიბოედოვი ცოფს ყრიდა.

მიხვდა, რომ ღალატობდა შაჰიც, შაჰზადე ზილი სულთანიც, ბეგლარბეგი თეირანისა და თეირანის მუშტეიდიც — ჰაჯი-მირზა-მესეხიც.

მუხტარ-ვაზირი გრძნობდა, რომ განწირული იყო.

თეირანის ბეგლარბეგს, შაჰზადე ზილი-სულთანს ჰქონდა წოდება „შაჰის ფარი და ხმალი“. ამიტომ ის არ შეიძლებოდა, გრიბოედოვის „ფარი და ხმალიც“ ყოფილიყო. მან იცოდა თავისი ტიტულის ფასი.

არც მალცოვი ჩანდა. ის იმ ვირთხასავით გაიქცა, რომელმაც სხვებზე ადრე იგრძნო, რომ ხომალდი იძირებოდა.

არც შაჰის სასახლეში და ზილი სულთანთან გაგზავნილი ფელდიეგერები ჩანდნენ სადმე.

— როცა მალცოვის საეჭვო გაქრობაზე ვფიქრობ, მაკნილთან მისი ხშირი შეხვედრები მაფიქრებს, — თქვა გრიბოედოვმა.

შაჰნაზარმა წაუყრუა.

აქა-იქ სამსონ-ხანის ნაძირალებიც გამოჩნდნენ. გამოჩნდნენ თუ მოელანდა, ვერ გაარკვია გრიბოედოვმა.

ჰოვდ-ზემბრაჰ-ხანის მოედანზე იყო ადრე იმპერიის ელჩიონის რეზიდენცია.

— ჰმ, სასროლ მოედანზე, მარსის ველზე, — გაიფიქრა მაშინ გრიბოედოვმა, — ქარავან-სარაის ახლოს... ან უნდა გვესროლონ, ან უნდა გაგვყიდონ! — ასეთია ამ მოედნის სიმბოლიკა, — ფიქრობდა პოეტი.

მერე აღმოჩნდა, როცა სამსონ-ხანის ნაძირალებიც ამ რუსულ კვარტალში ცხოვრობდნენ. გრიბოედოვმა პროტესტი განაცხადა, ნოტა გაუგზავნა შაჰის კარის საგარეო საქმეთა მინისტრს და ელჩიონი შაჰზადეს ერთ-ერთ სასახლეში გადაიყვანეს.

ახლა ეს სასახლე ალყაში იყო მოქცეული.

საელჩოს ეზოში სროლის ხმა გაისმა.

გავარდა თოფი, მერე მეორე, შემდეგ მესამე...

საელჩოს მცველმა კაზაკებმა ცეცხლი ამჯერად გრიბოედოვის ბრძანების გარეშე გახსნეს. ეტყობა, სხვა გზა არ იყო.

კიდევ დაიქუხა თოფმა.

აგერ დაეცა ვიღაც დერვიში.

— ვა, ფატმა!

ეგერ მუცელში მოარტყეს ტყვია მოლას.

— ვო, მუჰამედ!

იქუხა ისევ თოფმა და ახლა ვიღაც ხოჯა აბღავლდა:

— ჰოი, ალაჰ!

ნამით შეკრთა ხანჯლებით, დანებით, ხმლებით, კეტებით, ქვებით შეიარაღებული მუსლიმან ფანატიკოსთა ბრბო. თითქოს გაქვავდა წამით საშიში ტალღა. მაგრამ მალე გონს მოეგო და ისევ შეუტია იმპერიის საელჩოს შენობას.

სულ ახლოს ლაწალუწი მოისმა, სადღაც შორს ჩაილეწა ფანჯრის მინები, საელჩოს სახურავზე, აივნებსა და კარებზე აბრახუნდა ქვები. იწივლა სპარსული შამხანის ტყვიამ, შემდეგ მეორემ, მესამემ...

ისევ იქუხა ბრბომ და მოაწვა საელჩოს კარებს. მოაწვა და გადათელა ირგვლივ ყველა და ყველაფერი...

დალეწა ჭიშკარი და ეზოში შეიჭრა...

ეზოდან ისმოდა სროლა, ყვირილი, კვნესა, ლოცვა, წყევლა, მუქარა...

გრიბოედოვს ხელში პისტოლეტი ეჭირა და საელჩოს ეზოს მთავარსარდალივით დასცქეროდა.

— მუხტარ-ვაზირ, მირზა-იაკუბი მოკლეს! — იკივლა საშკა გრიბოვმა.

გრიბოედოვმა თვალი ჰკიდა, თუ როგორ დაესია ბრბო უბედური მირზა-იაკუბის გვამს. ვიღაცამ ხანჯლით თავი მოჭრა მკვდრის ტანს, ვიღაცამ ხელი, ვიღაცამ ფეხი.

და მერე ვინ საით გარბოდა მკვდრის თავით, ხელით თუ ფეხით, კაცი ვერ გაიგებდა.

— სად გარბიან? — იკითხა გრიბოედოვმა.

— შაჰთან გარბიან. შაჰი ათას ოქროს დაჰპირდა თურმე იმას, ვინც მირზა-იაკუბის თავს მიართმევს!

შემდეგ ამბოხებულმა მუსლიმანებმა მირზა-იაკუბის ტანს გრძელი თოკი გამოაბეს და საელჩოს ეზოს გარეთ გადაათრიეს.

მალე ისევ მოირბინა ფელდიეგერმა.

— მუხტარ-ვაზირ! ალაჰ-იარ-ხანის სარბაზები მოვარდნენ, დაცვა ამოხოცეს, ბრძოლით აიღეს ის ოთახი, სადაც მისი ორი ცოლი იყო და ორივე გაიტაცეს!

გრიბოედოვს დანა პირს არ უხსნიდა.

შაჰის გვარდია კი არა და არ ჩანდა.

მერე, როგორც იქნა, გამოჩნდა სარბაზების ოცეული.

მათ დანახვაზე გრიბოედოვი მთლად გადაირია.

— ეს დაცინვაა! ნუთუ ეს ოცეული დააშოშმინებს ამბოხებულ თეირანს?! — იყვირა გრიბოედოვმა.

გრიბოედოვმა საიდუმლო გზით დერვიშად გადაცმული მალემსრბოლი აფრინა ზილი-სულთანთან.

მალე პასუხი მოვიდა:

— სარბაზებს ჯერჯერობით ვერ გამოვგზავნით, — იუწყებოდა თეირანის ცბიერი ბეგლარბეგი, შაჰზადე ზილი-სულთანი, — რადგანაც გვეშინია ამბოხებულმა ბრბომ არ დაარბიოს შაჰის სასახლე-კებლე-ელემი. თეირანის ჯარები შაჰინშაჰს იცავენ. ველოდებით დამხმარე ჯარებს. როცა ისინი მოაღწევენ თეირანს, აჯანყებულ ბრბოს დავშლით.

ახლა კი იგრძნო გრიბოედოვმა, რომ აღსასრული დამდგარიყო.

უკვე გაქცევასაც აზრი არ ჰქონდა.

ბრბო ქარიშხალივით ანგრევდა ირგვლივ ყველაფერს.

ირყეოდა საელჩოს შენობა.

სულ ახლოს იმართებოდა ხელჩართული ბრძოლები.

გრიბოედოვი ხედავდა, თუ როგორ აცვამდნენ ხიშტზე უკანასკნელი კაზაკები ამბოხებულ მუსლიმანებს.

როგორ ჩეხავდნენ სპარსელები ხმლებითა და ნაჯახებით კაზაკებს, საელჩოს კამერდინერებს, მსახურებს...

საელჩოში ქრისტეს ტირილი იდგა.

დამდგარიყო ჟამი მეორედ მოსვლისა.

არა!

ჟამი ჯვარის ტვირთვისა, გოლგოთზე მძიმე ჯვარის ატანისა...

გრიბოედოვი ქრისტეს ასაკში იყო...

არც იცის შაჰმა, არც ალაჰ-იარ-ხანმა, არც მუშტეიდმა ჰაჯი-მირზა მესიხმა, რომ აქ თეირანში კვდება დღეს ახალი მუჰამედი, რომელმაც ვერ მოასწრო ღმერთკაცად მოვლენოდა სამუსლიმანოს.

იმ ახალ მუჰამედს მუხტარ-ვაზირი ისკანდერ გრიბოედოვი ჰქვია.

მეტად ჩაითრია ამქვეყნიურმა კაცის საქმეებმა და ღმერთკაცად გახდომა ვერ მოასწრო.

შეუნდოს უფალმა!

სულ ახლოს ისმის ამბოხებული ბრბოს ხმაური. ფანატიკოსი მუსლიმანები „შაითან ისკანდერის“ ძახილით ამტვრევენ ფანჯრებს და კარებს, ჭერიდან, სხვენიდან ეშვებიან საელჩოს ოთახებში, დარბაზებში, დერეფნებში, ისმის თოფების, დამბაჩების, პისტოლეტების სროლა, წივილი, კივილი, კვნესა, დაჭრილთა მუდარა: — „წყალი, წყალი!“.

საელჩოს შიდა და გარე ეზო სავსეა გვამებით და დაჭრილებით, დამსხვრეული ავეჯით, ძირს დაყრილი იარაღით.

ნამდვილ ბრძოლის ველსა ჰგავს საელჩოს ეზო: მიედინებიან სისხლის ნაკადულები...

— ნუთუ ამ სისხლისღვრად ღირდა მირზა-იაკუბი და ის ორი ქალი?! — იკითხა საშკა გრიბოვმა.

მუხტარ-ვაზირს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ამ დროს საშკამ იკივლა და გრიბოედოვის ძუძუმტე და ერთგული მსახური საშკა გრიბოვი დაეცა, ისე დაეცა ძირს, რომ ამოკვნესაც ვერ მოასწრო. მისი მკერდიდან იფეთქა თბილმა სისხლმა.

გრიბოედოვს თვალზე ცრემლი მოადგა. მან იცოდა, რომ საშკა მისი ნახევარძმა იყო.

— უბედური საშკა! — თქვა გრიბოედოვმა და გულში ჩაიკრა მკვდარი ნახევარძმის თბილი გვამი.

როგორ აუხსნას, როგორ გააგებინოს საშკას გრიბოედოვმა, ლანდთა ქვეყანაში გადასულ ნახევარძმას ის, რაც აქ სააქაოში ვერ აუხსნა. როგორ მიაწვდინოს მას ხმა, როგორ გააგებინოს, რომ ეს დარბევა მარტო მირზა-იაკუბისა და ალაჰ-იარ-ხანის ქართველი და სომეხი ცოლების გამო არ მოხდარა.

აქ თურქმენჩაის ტრაქტატის ყოფნა არ ყოფნის, ადამიანის უფლებისა და ღირსების დაცვისათვის იბრძოდა გრიბოედოვი.

ეჰ, გრიბოედოვ, გრიბოედოვ, შენ გინდოდა, შაჰი კანონსა და ტრაქტატს დამორჩილებოდა?! სად გაგონილა ეს? როდის ყოფილა ტირანები, დიქტატორები, შაჰინშაჰები, იმპერატორები, მეფეები და მათი მსგავსნი კანონს იცავდნენ? ისინი კანონს მხოლოდ სხვებისათვის წერენ. კანონი მათ ხელში მხოლოდ სხვისი დამონების იარაღია. შენ კი გინდოდა, შაჰიც და იმპერატორიც კანონგამგონე ყოფილიყო?!

ეს არასოდეს არ ყოფილა და არც მოხდება!

კანონით ისინი ისევე თამაშობენ, როგორც ბანქოთი.

ყომარბაზები არიან ეგ შენი შაჰები და მეფეები, ძალაუფლებით გარყვნილი და გათახსირებული ყომარბაზები. ადამიანები მათ ხელში სათამაშო ტიკინებია მხოლოდ.

მეფეებს ადამიანები თოჯინებივით უპყრიათ ხელთ და ისე ათამაშებენ, როგორც მოეპრიანებათ.

გესმის, გრიბოედოვ, ინგრევა ჭერი და სახურავი შენს თავს ზემოთ.

და ვაი მას, ვინც წინ გადაუდგება ამ ძალაუფლების გათავხედებულ ტირანებსა და დიქტატორებს. ისინი მისი სისხლით არ გაძღებიან.

ეს ფრაკიანი, ჩალმიანი თუ გვირგვინიანი ორფეხა ცხოველები ბოლოს მაინც ღორები არიან.

ირგვლივ მეორედ მოსვლა და წარღვნა იდგა. ინგრეოდა სამყარო.

რაც უფრო ახლოვდებოდა მტერი, მით უფრო ზიზღით ივსებოდა გრიბოედოვი. რაც უფრო ემატებოდა ზიზღი, მით უფრო ვაჟკაცდებოდა მისი გული.

როცა დაინახა, რომ ყველამ უღალატა: შაჰინშაჰმა, ალაჰ-იარ-ხანმა, თეირანის მუშტეიდმა, თეირანის ბეგლარბეგმა ზილი-სულთანმა, შაჰის საგარეო საქმეთა მინისტრმა, საელჩოს პირველმა მდივანმა მალცოვმა, ხოლო მისი ერთგული ხალხი ამოწყვეტილი იყო, გრიბოედოვმა ხელში შამხანა აიღო და დიდხანს იგერიებდა მომხვდურ ბრბოს.

ბოლოს, როცა ტყვია გამოელია, ხმალი აიღო ხელში.

და ებრძოდა ხმალდახმალ გრიბოედოვი სპარსელებს, რომელთა მოღუნულ ხორასნულ მახვილზე ყურანის სურები იყო ამოკვეთილი...

მის გვერდით ლომივით იბრძოდა როსტომბეგი.

— ჰკა მაგას! — ჰკიოდა მამაპაპურად კახელი ბუმბერაზი და მუსრს ავლებდა სპარსელებს.

ლომივით იბრძოდა გამეხებული გრიბოედოვიც, მაგრამ უცებ უმტყუნა თვალმა.

ქოსა სპარსის მიერ მოქნეული ხმალი აიცილა, მაგრამ წითური სპარსელის ხმლის წვერი მის სათვალეს სწვდა და შუშა ჩაუმსხვრია.

სათვალე ცხვირზე ჩამოუვარდა გრიბოედოვს. სამყარო გაორდა, გასამდა, გაოთხდა... ერთი მტერი ხუთად ჩანდა... უნებლიეთ სათვალეზე წაივლო ხელი გრიბოედოვმა და ამ დროს დაბნელდა...

სპარსის მახვილი საფეთქელში მოხვდა გრიბოედოვს და პოეტმა გონი დაკარგა.

როცა წამით თვალი გაახილა, გრიბოედოვმა დაინახა, რომ ოცამდე ხმალშემართული, სახებანჯგვლიანი, კბილებნაფოტა, ცხვირა, ტუჩა და კუზიანი სპარსელი ადგა თავს. ისინი ერთმანეთს არ აცლიდნენ ხმლის დარტყმას!

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ყველას მისი სისხლი სწყუროდა.

ყველას სურდა, პირველს მოეკლა გრიბოედოვი.

— Вот они алчущие и жаждущие мою смерть! — ოლიმპიური სიმშვიდით თქვა გრიბოედოვმა.

გრძნობდა, რომ ეს იყო ჯვარცმა, მაგრამ არ ჩანდა ეკლის გვირგვინი.

უკვირდა, რატომ არ კლავდნენ ამდენ ხანს?

უცებ ხმა მოესმა:

— საით, ქსანდრ? — შეეკითხა თითქოს საშკა.

გრიბოედოვმა ვერც გაიგო, როგორ გაჩნდა მის გვერდით საშკა. იგი ხომ მოკლეს.

— Пойду искать по свету,

Где оскорбленному есть чувству уголок!

— უპასუხა გრიბოედოვმა.

— აა, ჩაცკი? — გაიღიმა საშკამ.

— Карету, господину Грибоедову, Карету! — ყვიროდა საშკა გრიბოვი შუა თეირანში და ეტლს ეძებდა. გრიბოედოვს ვერ გაეგო, რად უნდოდა საშკა გრიბოვს ეტლი?!

Коня! Коня! Полцарства за коня! — ყვიროდა ვილაც.

მერე ნინოს სახე მოელანდა მომაკვდავს.

ნინოს ხმა ჩაესმა:

— სანდრ! — ეძახდა ნინო.

„სიკვდილს ნუ მექადით, იგი მიჩანს არად“.

ეს ნინოს მამის ალექსანდრე ჭავჭავაძის სტრიქონები იყო.

სპარსელებმა ვერ გაიგეს, რა თქვა მან.

ყველაზე გრძელხმლიანმა სპარსმა ჰკრა მაზვილი პოეტს.

— ღმერთო, ნუთუ ეს იყო ყველაფერი! — სინანულით აღმოხდა გრიბოედოვს და თვალი დახუჭა.

სპარსელები მაინც გაშმაგებით ურტყამდნენ და ურტყამდნენ ხმლებს, ხანჯლებს, ნაჯახებს, კეტებს მკვდარი პოეტის სხეულს.

ყასბებივით ჭრიდნენ ნაწილ-ნაწილ უსულო მგოსანს, იტაცებდნენ მისი სხეულის ნაწილებს და ქურდებივით სხვადასხვა მხარეს გარბოდნენ.

— ისკანდერი მოვკალით! — სიხარულით ყვიროდნენ და ხორხოცებდნენ ფანატიკოსი მუსლიმანები.

ერთი ბანჯგვლიანი სარბაზი დაიხარა და ბაგე შეახო გრიბოედოვის თბილ სისხლს...

ეამა. ტუჩები მოილოკა. მერე ისევ დააცხრა ადამიანის სისხლს.

ყმუოდა ძაღლივით ის ბანჯგვლიანი, სახენახმლევი სპარსი სარბაზი და რიტუალურ ცეკვას უვლიდა ვაზირ-მუხტარის გვამის გარშემო, დაძუნძულებდა და ტუჩებს ილოკავდა...

ბოლოს სისხლიანი დრუნჩი შაჰის სასახლისაკენ ჰქნა და ძაღლივით აყმუვლდა...

წამოდგა უცებ ერთი ვეება ტანის დაჭრილი ვაჟკაცი, მოუქნია ხმალი და სისხლისმსმელ სპარსს თავი გააგდებინა... შუაზე გააწყვეტინა ძაღლური ყმუილი...

მერე იქვე უხმოდ ჩაიკეცა.

ეს დაჭრილი როსტომ-ბეგი იყო...

ის არავის დაუნახავს, რადგანაც იმ წუთს ყველა სპარსი საელჩოს ძარცვა-გლეჯით იყო გართული.

როსტომ-ბეგი თითქოს საიქიოდან დაბრუნდა ერთი წამით, რომ ნინოსათვის მიცემული ფიცი აღესრულებინა:

მკვდარსაც კი შური ეძია გრიბოედოვის მტრებზე.

ასე დაიფიცა მან ნინოს ჯვარზე...

და აღასრულა კიდეც...

ვიდრე კვლავ მიწაზე დაეცემოდა, როსტომ-ბეგმა ისიც მოასწრო, რომ ნინოს ნაჩუქარი ხმალი იატაკში ჩაასო გრიბოედოვის ცხედრის ახლოს... იმ ქართული ხმლის თავი საოცრად ჰგავდა ქრისტეს ჯვარს...

დასასრული





## რუსუდან ფეტვიაშვილის ნახატები

ქართველი საზოგადოება დიდი ხანია იცნობს თბილისელ მოსწავლეს რუსუდან ფეტვიაშვილს. შვიდი წლის იყო რუსუდანი, როცა ბავშვთა ნამუშევრების გალერეა მის ნახატებს დაეთმო. მას შემდეგ ნორჩი მხატვრის გამოფენა რამდენჯერმე მოეწყო მოსკოვში და მნახველთა დიდი მოწონებაც დაიმსახურა.

ამ ზაფხულს რუსუდან ფეტვიაშვილის ნამუშევართა ექსპოზიცია ნაჩვენები იქნება პარიზსა და საფრანგეთის სხვა ქალაქებში.

ფოტო ვლადიმერ გულიძისა

## მესხეთის საუნჯე

ზაფხულო რეზიდენცია. აქვეა მონასტრის აღმშენებლის ბექა ჯაყელის (XIII საუკ. დასასრული) ფრესკა, საფარის მაკეტით ხელში და საფარის მონასტრის კანკელის ფრაგმენტისა და სვეტის თავის ასლები, რომლებიც იშვიათი ორნამენტებით არის შემკული (ორიგინალები დღეს ამშვენებენ საქართველოს ხელოვნების მუზეუმს).

აგერ კოხტას ციხე. აქ მოეწყო შეთქმულება სამცხის დიდებულთა მიერ მონღოლთა წინააღმდეგ 1246 წელს, ცოტნე დადიანის მონაწილეობით.

განცვიფრებას იწვევს „ყაურმის“ ხიდი ბოგდანოვკის რაიონში, მდ. თავფარავანზე, სტრატეგიული დანიშნულებისა. გადმოცემით იგი XII საუკუნეშია აშენებული თამარ მეფის განკარგულებით.

ვიტრინებში მოთავსებულია სპილენძის შუასაუკუნეების ჭურჭელი და საომარი იარაღები, რომლებითაც მოსახლეობა შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდა თურქთა და სპარსთა ურდოებს.

XVI საუკუნის საქართველოს რუკაზე გამოკვეთილად ჩანს დიდი სამცხე-საათაბაგოს ტერიტორია (საქართველოს ტერიტორიის მესამედზე მეტი), რომელიც 250 წლის განმავლობაში თურქ მტარვალთა უღელქვეშ გმინავდა გამაჰმადიანებულ ჯაყელთა დახმარებით.

ფეოდალური ხანის მეორე დარბაზი იწყება ერეკლესა და რუსეთის მეფის ელჩის პოტიომკინის — „გეორგიევსკის ტრაქტატის“ სურათით, ტრაქტატისა, რომლითაც დაიწყო ახალი ხანა საქართველოს ცხოვრებაში.

მუზეუმში ინახება ფოტოსურათი, რომელზეც ასახულია ახალციხის აღებისათვის (1828 წ. 15 აგვისტო) დაღუპულ ჯარისკაცთა პატივსაცემად აღმართული ობელისკი (1861 წ.). მის წარწერაზე რუს მებრძოლთა გვა-



ფეტვიაშვილის ოჯახი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



შეხვედრა



ჯვრისწერა



ნატვრა

რებთან ერთად ამოკვეთილი იყო ქართული გვარებიც. ობელისკი 1919 წლის 22 ივლისს ოსმალებმა დაანგრიეს. ხუთი წლის წინ შემთხვევით აღმოჩნდა ობელისკის თუჯის დაფა წარწერით, რომელიც ამჟამად მუზეუმში ინახება.

ფოტოსურათი: კათოლიკე მისიონერის პეტრე ხარისჭირაშვილის მიერ დაარსებული ქართული სკოლა კონსტანტინოპოლში 1859 წ. (ხარისჭირაშვილი თავისსავე მოსწავლეებთან) ნათლად აჩვენებს მესხეთის კათოლიკეთა ღვაწლს მხარის ქართველობის სწავლა-განათლების საქმეში.

ცალკე ვიტრინა აქვს დათმობილი ჩვენი სასიქადულო მამულიშვილების ივ. გვარამაძისა და მ. თამარაშვილის ხელნაწერებს, წიგნებსა და ივ. გვარამაძის პირად ნივთებს.

ფეოდალური ხანის დარბაზიდან გადავდივართ საბჭოთა პერიოდის საგამოფენო დარბაზში. გასასვლელში წარმოდგენილია მხარის ნიაღისეული სიმდიდრეები.

როგორც ცნობილია, XX საუკუნის დასაწყისიდან რევოლუციურმა ცენტრმა ევროპიდან რუსეთში გადაინაცვლა. რევოლუციურმა მოძრაობამ თავისებური აქტიური გამოხმაურება ჰპოვა საქართველოს პატარა კუთხეში —მესხეთშიც. რევოლუციის დიდი ბელადის, სსრ კავშირის შემქმნის თაოსნის — ვ. ი. ლენინის პორტრეტით იწყება ახალი ეპოქის პირველი წლების ამსახველი დარბაზი.

წარმოდგენილია 1928 წლის მოსახლეობისა და სოფლის მეურნეობის მონაცემები, მესხეთის თანამედროვე დარაიონებული რუკა, სადაც აღნიშნულია მცირედი დასახლებული პუნქტიც კი, ხოლო მის მოპირდაპირე კედელზე გაპარტახებული სამცხე-ჯავახეთის ნასოფლარების რუკას იხილავთ.

დამთვალიერებელი ეცნობა სამცხე-ჯავახეთში გოელროს გეგმის განხორციელებისა და კოლექტივიზაციის ამსახველ ფოტოებს, დიდი სამამულო ომის მასალებს...

ბოლო დარბაზი გვაცნობს მხარის სახალხო მეურნეობის განვითარებულ დარგებს, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების პროცენტულ მონაცემებს, სამცხე-ჯავახეთის დღევანდელობას...

სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის სიმდიდრე მარტო საექსპოზიციო დარბაზებში გამოფენილი ექსპონატებით როდი ამოიწურება.

ფონდებში თავმოყრილია 17000-მდე სამუზეუმო ექსპონატი. მათ შორისაა უნიკალური კოლექციები, მხარის კულტურის, ხელოვნებისა და ისტორიის იშვიათი ძეგლები.

მუზეუმს აქვს თანამედროვე სტილზე მოწყობილი სალექციო დარბაზი. აქ ჩატარებულ მრავალ მნიშვნელოვან ღონისძიებას შორის გამოვყოფთ საფარის სახალხო უნივერსიტეტის მეცადინეობებს (ხელმძღვანელი აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე).

სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის მუშაობას ენერგიულად ხელმძღვანელობენ მუზეუმის დირექტორი, გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი გ. კაპანაძე და სწავლული მდივანი კ. თორდია.

45 წელია, რაც ახალციხეში საფუძველი ჩაეყარა „მესხეთის საუნჯეს“, რომელიც ემსახურება ეროვნული ისტორიული მეცნიერების განვითარებას.

**ნაზი სუდაძე,**
ახალციხე.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



# ბიჭვინთა. მწერალთა სახლი...

როცა კურორტ ბიჭვინთას უახლოვდებით, შორიდანვე თვალში მოგხვდებათ თხუთმეტსართულიანი შენობა—სსრკ მწერალთა კავშირის დიმიტრი გულიას სახელობის შემოქმედებითი სახლი (დირექტორი გუგუშა ბაღათურია). მომავალ შემოდგომაზე მხოლოდ ხუთი წელი შესრულდება, რაც იგი გაიხსნა, მაგრამ ეს სახლი უკვე შეიყვარეს არა მარტო საბჭოთა, არამედ უცხოელმა მწერლებმაც.

აქ ყოველწლიურად ხუთი ათასამდე კაცი ისვენებს.

ბიჭვინთის შემოქმედებით სახლში ისვენებდნენ ჩეხი, ინგლისელი, ეთიოპელი, ამერიკელი, შვედი, ავღანელი მწერლები.

შარშან ბიჭვინთას ეწვივნენ საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივნები, ლენინური პრემიის ლაურეატები, პოეტები ნიკოლოზ გრიბაჩოვი და ეგორ ისაევი, რსფსრ მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ლენინური პრემიის ლაურეატი, პროზაიკოსი იური ბონდარევი, გამოჩენილი საბჭოთა მწერლები — თევდორე აბრამოვი, იური რიტხეუ, ნიკოლოზ დორიზო, ნიკოლოზ კოსტარევი, ჟურნალისტი ანატოლი აგრანოვსკი, სომხეთის სსრ კულტურის მინისტრი გურგენ არაქელიანი...

ცნობილ ქართველ მწერლებთან ერთად შარშან აქ დაისვენა ჩვენმა სახელოვანმა თანამემამულემ, გაზეთ „იზვესტიის" საკუთარმა კორესპონდენტმა ამერიკის შეერთებულ შტატებში — მელორ სტურუამ.

აქ შექმნილია ყველა პირობა დასვენებისა და ნაყოფიერი მუშაობისათვის: 350 კაცისათვის განკუთვნილი საუცხოო სასადილო, ფოსტა, ტელეფონი-ავტომატი, დიდი სააქტო დარბაზი, ბარი, საბილიარდო, საცურაო აუზი, კეთილმოწყობილი პლაჟი...

შემოქმედებით სახლში არის უნიკალური ბიბლიოთეკა; ძვირფას სტუმრებს მუდამ გულლიად ხვდება მისი ხელმძღვანელი ნინო მანაგაძე. ბიბლიოთეკაში თხუთმეტი ათასზე მეტი წიგნია (მათ შორის აქ დამსვენებელ ავტორთა წარწერებით).

თანამედროვე სტილში არის გაფორმებული შემოქმედებითი სახლის ფოიე, ყველა ჰოლი, ორ და სამოთახიან ნომრებში დგას ფერადი ტელევიზორი, მაცივარი, კომფორტაბელური ავეჯი.

დამსვენებელთათვის ხშირად ეწყობა ექსკურსიები ქალაქ სოხუმში, ახალი ათონის მღვიმეში, რიწის ტბაზე; იმართება ლიტერატურული საღამოები. საღამოებზე ტრადიციისამებრ განიხილავენ თანამედროვე საბჭოთა და უცხოური ლიტერატურის აქტუალურ საკითხებს.

დ. გულიას სახელობის შემოქმედებით სახლში კონცერტებს მართავენ სოხუმის ფილარმონიის მსახიობები, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქის ვოკალურ-ინსტრუმენტალური ანსამბლები.

მადლიერი დამსვენებლების უამრავ წერილს იღებს მწერალთა კეთილი მასპინძელი გუგუშა ბაღათურია.

— წლევანდელი სეზონისათვის განსაკუთრებული მონდომებით მოვემზადეთ, — ამბობს იგი, — ველით ძვირფასი სტუმრების მობრძანებას!

**სულთან აჟიბა,**

გაგრის საქალაქო გაზეთ „ავანგარდის"
კორესპონდენტი.



მანქანა მეთექვსმეტე ქუჩისა და რომელილაც მიყრუებული შესახვევის გასაყართან გაჩერდა. ქალი გადავიდა, კაცი და გოგონა კი მანქანაში დარჩნენ.

— ვეტყვი, რომ ოც დოლარზე მეტი შეუძლებელია ღირდეს! — თქვა ქალმა.

— კარგი. ნახაზი მიგაქვს?

— ჰო, მართლა! — ქალი უკანა ჩავარძლისკენ გადაიხარა, ხელჩანთას დასწვდა, — კინაღამ დამავიწყდა!

— უთხარი, [illegible] მაგარს ნუ გააკეთე-თქო, არც ძვირფასი ხის მასალაა საჭირო! — უთხრა ფრანგულად კაცმა.

— კარგი.

— ნეტავი ფრანგულად არ ლაპარაკობდეთ! — თქვა გოგონამ.

— მერფებმა რომ გააკეთებინეს, იმ სიმაღლისა იყოს! — კაცმა მიწიდან ხუთი ფუტის სიმაღლეზე ასწია ხელი.

ქალი იმ კარში შევიდა, რომელსაც „მეავეჯედურგალი" ეწერა; პატარა კიბეს აუყვა და თვალს მიეფარა.

გოგონამ და კაცმა გულგრილი მზერა მოავლეს იქაურობას. სახლები წითელი აგურით იყო ნაგები, ირგვლივ ერთფეროვნება და სიწყნარე გამეფებულიყო. ქუჩაში მხოლოდ რამდენიმე ზანგი საქმიანობდა, იშვიათად თუ ჩაივლიდა მანქანა...

— მისმინე, — სიჩუმე დაარღვია კაცმა, — ძალიან მიყვარხარ!

— მეც მიყვარხარ! — ძალდაუტანებლად მიუგო გოგონამ და თავაზიანად გაუღიმა.

— მოიხედე, — განაგრძო კაცმა, — სახელოსნოს უკან სახლს ხომ ხედავ?

გოგონამ სახლს გახედა. სახელოსნოს უკანა ფანჯრებს თითქმის მთლიანად ფარავდა ფარდები, მაგრამ მათ მიღმა რაღაც ფუსფუსი შეიმჩნეოდა. ერთ სარკმელს დროდადრო დარაბა ეხეთქებოდა. აქამდე არც კაცს და არც გოგონას არ ენახათ ეს ადგილი.

— იმ ფარდებს მიღმა ზღაპრული მეფის ასული ცხოვრობს, — თქვა კაცმა, — შენ ვერ ხედავ, მაგრამ იგი იქ არის, კაციჭამია გოლიათს ჰყავს გამომწყვდეული. იცი, რა არის კაციჭამია გოლიათი?

— ჰო!

— ჰოდა, მეფის ასული ძალიან ლამაზია და გრძელი, ოქროსფერი თმა აქვს. ორივენი სახლს გაჰყურებდნენ. ფანჯარაში ყვითელმა კაბამ გაიელვა.

— ის არის, — თქვა კაცმა, — იმ სახლის ბინადარნი მეფის ასულს კაციჭამია გოლიათის ბრძანებით დარაჯობენ. მეფე-დედოფალი კი თვითონ გოლიათს მიწისქვეშეთში ათი ათასი მილის სიღრმეზე ჰყავს გამომწყვდეული. მეფის ასული მანამდე ვერ განთავისუფლდება, სანამ უფლისწული... — კაცი შეყოყმანდა.

— რა, მამიკო? რა უფლისწული?..

— სანამ უფლისწული... შეხედე! აი მეფის ასული ისევ გამოჩნდა!

— რა უფლისწული? — ისევ გაუმეორა კითხვა გოგონამ.

— სანამ უფლისწული სამ ქვას არ იპოვის და მეფე-დედოფალს არ გაანთავისუფლებს! — მთქნარებით თქვა კაცმა.

— მერე, მერე?

— მერე უფლისწული მოვა აქ, ყველა სარკმელზე სამჯერ დააკაკუნებს და მეფის ასულს დაიხსნის.

სახელოსნოს ზედა სართულის ფანჯრიდან ქალმა გადმოიხედა.

— არა სცალია! — დაიძახა მან, — ღმერთო, რა მშვენიერი დღეა!

— მერე, მამიკო? — ჰკითხა გოგონამ, — რატომ ჰყავს კაციჭამია გოლიათს აქ მეფის ასული?

— იმიტომ, რომ გოლიათი ნათლობაზე არ



მხატვარი თენგიზ სამსონაძე

# მეავეჯის სახელოსნოსთან

**ფრენსის სკოტ ფიტცჯერალდი**

უცხოური ნოველა

დაპატიჟეს: უფლისწულმა უკვე იპოვა ერთი ქვა პრეზიდენტ კულიჯის (კულიჯი — ჯონ — კალვინი. 1872-1933 წწ. აშშ ოცდამეათე პრეზიდენტი) საყელოების ყუთში. ახლა ისლანდიაში მეორეს საძებრად გაემგზავრა; როგორც კი ქვას იპოვის, ოთახი, რომელშიც მეფის ასული ჰყავთ გამომწყვდეული, გალურჯდება. შეხედე!

— რა, მამიკო?

— სწორედ ახლა, შენ რომ შებრუნდი, დავინახე, როგორ გალურჯდა ოთახი; ესე იგი, უფლისწულმა მეორე ქვაც იპოვა.

— აუჰ, მამიკო, შეხედე! — შესძახა გოგონამ, — ოთახი ისევ გალურჯდა, ეტყობა, უფლისწულმა მესამე ქვაც იპოვა, არა?!

ეშხში შესულმა კაცმა იქაურობას ფრთხილი მზერა მოავლო. ახლა მის ხმაში დაძაბულობა გამოკრთა.

— ხედავ? — ჰკითხა, — ქუჩას რომ მოუყვება, კაციჭამია გოლიათია, ოღონდ შენიღბულ-შეცვლილი, როგორც მომბი (ზღაპრის პერსონაჟი) „ოზის მიწიდან“.

— ვიცი!

ორივემ დაინახა, გრძელი ნაბიჯებით როგორ მიუახლოვდა სახლს უჩვეულოდ პატარა ბიჭი და კარზე დააკაკუნა. არავინ უპასუხა; მაგრამ ბიჭმა, რომელიც თითქოს არც ელოდა პასუხს და არც იმით ჩანდა გულდაწყვეტილი, კარი რომ არ გაუღეს, ჯიბიდან ცარცი ამოიღო და კარზე, ზარის ქვეშ რაღაცეები დახატა.

— ჯადოსნური ნიშნები გამოჰყავს, — დაიჩურჩულა კაცმა, — თავი უნდა დააჯეროს, მეფის ასული რომ ვერ გამოვა ამ კარიდან. ალბათ, უკვე შეიტყო, უფლისწულმა მეფე-დედოფალი რომ გაათავისუფლა და ახლა მეფის ასულის დასახსნელად აქეთკენ მოიჩქარის!

ბიჭმა წამით შეიცადა, მერე ფანჯარას მიუახლოვდა და შეიგინა. ცოტა ხნის შემდეგ ვილაც ქალმა ფანჯარა გამოაღო და ბიჭს დაუტატანა, ქალის სიტყვები სიომ გაიტაცა.

— ქალმა თქვა, მეფის ასული ისევ დამწყვდეული მყავსო! — აუხსნა კაცმა გოგონას.

— კაციჭამიას შეხედე, — უთხრა გოგონამ, ჯადოსნური ნიშნები გამოჰყავს ფანჯრის ქვეშ და ტროტუარზეც. ნეტავი, რატომ?

— ცხადია, უნდა მეფის ასულმა ტყვეობას ვერ დააღწიოს თავი, ამიტომაც ცეკვავს ასე. ეს ცეკვაც ჯადოსნურია!

გოლიათი წავიდა, გამალებით მიაბიჯებდა. მანქანის წინ ორმა კაცმა გადაჭრა ქუჩა და თვალს მიეფარა.

— ესენი ვინ არიან, მამიკო?

— მეფის ჯარისკაცები! ეტყობა, დანარჩენები მარკეტ სტრიტზე გროვდებიან, მალე აქაც მოვლენ და სახლს ალყას შემოარტყამენ, იცი ალყის შემორტყმა რას ნიშნავს?

— კი. ისინიც ჯარისკაცები არიან?

— კი, ისინიც. ის მოხუცი, უკან რომ მოდის, მგონი, მეფეა. ასე იმიტომ მოხრილა, გოლიათის კაცებმა რომ ვერ იცნონ!

— ეს ქალი ვილაა?

— ჯადოქარია, კაციჭამიას დობილი!

დარაბა ხმაურით მიეხეთქა სარკმელს და ისევ გაიღო.

— ამას კი კეთილი და ბოროტი ფერიები სჩადიან, — აუხსნა კაცმა, — ისინი უჩინარნი არიან. ბოროტები ცდილობენ, დარაბები დახურონ, შიგ რომ ვერავინ შეიხედოს, კეთილ ფერიებს კი, პირიქით, გაღება უნდათ!

— ახლა კეთილმა ფერიებმა გაიმარჯვეს!

— კი. — კაცმა გოგონას შეხედა, — შენა ხარ ჩემი კეთილი ფერია, არა?!

— კი. შეხე, მამიკო, ეს კაცი ვილაა?

— ესეც მეფის ჯარისკაცია!

ოქრომჭედელ მისტერ მილერის კლერკს, მათ რომ ჩაუარა, ვერაფრით უწოდებდით ჯარისკაცს, ისეთი ბეჩავი შესახედაობა ჰქონდა.

— სასტვენის ხმა გესმის? — განაგრძობდა მამა, — ეს ნიშნავს, რომ ჯარი გროვდება. უხმინე, დაფდაფებს დასცხეს!

— აგერ, დედოფალი, მამიკო, იქით გაიხედე, ხომ დედოფალია?!

— არა. ამ ქალიშვილს მისს ტელევიზიას ეძახიან! — კაცმა დაამთქნარა. წინა დღეს მომხდარი რაღაც სასიამოვნო ამბავი გაახსენდა და ფიქრებში ჩაიძირა. შემდეგ თავის ასულს შეხედა. ბავშვს სახეზე ბედნიერი ღიმილი აღბეჭდოდა. ექვსი წლის გოგონა საამო შესახედავი იყო. მამამ ფრთხილად აკოცა.

— ეს კაციც, ნაყინი რომ მიაქვს, მეფის ჯარისკაცია! — თქვა მან, — გოლიათს თავზე ყინული უნდა დაადოს და ტვინი გაუყინოს, ვერავის რომ ველარ ავნოს იმ ბოროტმა!

გოგონამ თვალი გააყოლა ქუჩაში მიმავალ კაცს. სხვებმაც ჩაიარეს. გამოჩნდა ურიკიანი ზანგი; ყვითელი პალტო ეცვა, ისეთი, ზანგებს რომ აცვიათ ხოლმე. ურიკაზე ეწერა „დელის მომფარდაგებელი კომპანია“.

დარაბა ისევ ხმაურით მიიხურა და მერე ნელა გაიღო.

— შეხედე, მამიკო, ისევ გაიმარჯვეს კეთილმა ფერიებმა.

კაცი ახალგაზრდა აღარ იყო და მიხვდა, უკან რომ უნდა მიეხედა.

მშვენიერი ამინდი იდგა. თითქოს ამინდმა და წყნარმა ქუჩამ შთააგონეს ის ამბავი, ასე რომ გაიტაცა ბავშვი. ამბავი, რომელიც მან შეთხზა, და რომლის ზღაპრული მდინარებითაც აღარ ძალუძდა მოხიბვლა. გოგონას ხელი მოუთათუნა და კიდევ ვილაც ბიჭი და კოჭლი კაცი მოურგო თავის ამბავს.

— მიყვარხარ! — თქვა მან.

— ვიცი, მამიკო! — დაბნეულად მიუგო გოგონამ, ისე, რომ ყვითელი ფარდებისთვის თვალი არ მოუცილებია. კაცმა წამით თვალები დახუჭა და შეეცადა, ბავშვის თვალით შეეხედა იქაურობისათვის. ვერ შეძლო — ჯვალოს ფარდები სამუდამოდ ჩამოეფარებინათ მის ცხვირწინ. მხოლოდ შემთხვევით გამვლელი ზანგები, პატარა ბიჭები და ამინდიღა თუ აგონებდა წარსულის მომხიბვლელ დღეებს.

ქალი სახელოსნოდან გამოვიდა.

— რაო, როგორ არი საქმე? — ჰკითხა კაცმა.

— კარგად. დიუპონებისთვისაც გაუკეთებია თოჯინის სახლები. გავაკეთებო.

— რამდენად?

— ოცდახუთად. როგორ შემაგვიანდა!

— შეხე, მამი, კიდევ რამდენი ჯარისკაცი მოდის!

მანქანა დაიძრა. რამდენიმე მილი რომ გაიარეს, კაცი ქალს მიუბრუნდა და უთხრა:

— სანამ შენ იქ იყავი, საკვირველი რამ ვნახეთ!

და მოკლედ უამბო ყველაფერი.

— ცუდია, დასასრულს რომ ვერ შევესწარით!

— როგორ არა, — შესძახა ბავშვმა, — გადამწყვეტი ბრძოლა მეზობელ ქუჩაზე მოხდა და იქ, ეზოში, კაციჭამია გოლიათი მკვდარი გდია. მეფეც, დედოფალიც და უფლისწულიც მოკლეს და ახლა დედოფალი მეფის ასულია!

კაცს უკვე უყვარდა თავისი მეფე-დედოფალი. დაენანა, ისინი ასე ადვილად რომ გაიმეტეს.

— გმირი ცოცხალი უნდა დარჩეს! — ველარ მოითმინა მან.

— არა უშავს, მეფის ასული ვინმეს გაყვება და უფლისწულად აქცევს!

უბრად მიდიოდნენ. ქალი თოჯინის სახლზე ფიქრობდა. იგი ღარიბი ოჯახიდან იყო და ბავშვობაში არასოდეს ჰქონია თოჯინის სახლი.

კაცი ფიქრობდა, თუ როგორ იშოვიდა მილიონ დოლარს...

გოგონას ფიქრი კი ისევ იმ მიყრუებულ ქუჩაზე „მომხდარ“ საოცარ ამბებს დასტრიალებდა.

ინგლისურიდან თარგმნა
გიორგი ოდიშარიამ.



საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტები — ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი.

# რეპეტიცია

## ქართლოს კასრაძე

ფილარმონიის საზაფხულო ბაღის წალკოტში დგას ორსართულიანი სასახლე — საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური დამსახურებული ანსამბლის სარეპეტიციო დარბაზებით.

ამ სასახლეში მიმდინარეობს ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის რეპეტიციები. დილიდან ორი საათი ილიკო სუხიშვილმა დაუთმო ანსამბლის ინდივიდუალურ წვრთნას, შემდეგ მეცადინეობა თენგიზ სუხიშვილმა განაგრძო.

ანსამბლის ბალეტმაისტერმა თენგიზ სუხიშვილმა დაამთავრა რეპეტიცია. ახლა იგი მთლად გაოფლილი, სველი ახალუხით ზის უზარმაზარ სარეპეტიციო სარკესთან, დაქანცული, გაოგნებული. მზერას არ აშორებს მოცეკვავეებს. ასეთი სურათი შეიძლება კაცმა მხოლოდ დიდი სპორტის სავარჯიშო დარბაზში იხილოს.

ვეებერთელა, ნათელი დარბაზის ცენტრში ქალბატონი ნინო დგას. ამაყი, ყურადღებიანი და ღვთაებრივია იგი ახლა, უხილავი ღვედებით ხელთ რომ უპყრია სასწაულებრივი ქართული ცეკვის რიტმი.

ნინო, თვითონაც ღვედივით მოქნილი, ცეცხლოვან თვალებს აკვესებს გოროზი მზერით.

რაც ამ დარბაზში ხდება, მის მზერას არაფერი გამოეპარება.

ქალიშვილებს არასოდეს უყვირის, მიდის მათთან და ჩურჩულით აძლევს შენიშვნას. აი, ჭაბუკებს კი „ტყავს აძრობს“.

— დავდგეთ მეოთხე პოზიციაზე, ცერები ირიბად, ხელები დაუშვით, მოხარეთ ცალი მკლავი, განზე გამართეთ მეორე, დაჭიმეთ ფეხის ტერფი!..

ილიკო სავარძელში ზის, დაძაბულია, ცდილობს, ტელეფონით დაუკავშირდეს პირველ სართულზე ადმინისტრაციულ კაბინეტში პეტრე დგვეფაძეს.

ნინო ხელით აჩვენებს მოცეკვავეებს: აი აქედან, თეთრი ჩოხებით, მკლავგაშლილები, ცეკვა-ცეკვით შემოფრინდებიან სოლისტები.

ვრიალებს დოლი.

— ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, ჰე!!!

ისმის ყიჟინა, დარდიმანდული ცეკვა-ცეკვით ერთმწკრივად შემოსრიალდა დარბაზის შუაგულში „სუხიშვილის გვარდია“...

ასეთი ზღაპრული ცეკვა ვისაც არ უხილავს, იმას არც უცხოვრია ამქვეყნად!

რაოდენ საყვარელია ქართული ცეკვები!

ნინო აჩერებს რეპეტიციას.

იგი მაინც უკმაყოფილოა, ფიქრობს, შემოქმედებით ძიებაშია. მისი დაძაბული ფანტაზია ეძიებს ხელოვნების მიღმა საოცარ, ზღაპრულ წერტილებს, მიუღწეველ მიჯნებს, რათა მეტი ელვარება, მეტი ცეცხლი შესძინოს ამ უსაზღვრო მშვენიერებას.

ნინო მარად მწყალობელია და არ იცის, რაა დაზოგვა.

უდრეკია მისი სული და ნათელია მისი იმედები.

— სვლა ადგილზე, ვიმეორებთ „ხორუმის“ ჩოქმალულა ილეთებს და ბუქნურს. მაჩვენეთ წაწოლა, ცალფეხ-გასმურა და მუხლურა. გაუსწორდით ერთმანეთს. ახლა გეკითხებით მე თქვენ: იცეკვებთ, ნამდვილად იცეკვებთ? შეხედე, ბიჭო, მე ამხელა ქუსლებზე ვდგავარ და მაინც ვასრულებ მაგ ილეთს! თქვენ რა მოგივიდათ?!

— თქვენ ნინო რამიშვილი ხართ!

— ხუთი, ექვსი, შვიდი, ჰე! მოდი აქ, შემომხედე, ხომ ხედავ, გარდა იმისა, რომ ჰდომილ გასმაში ვცვლი ტერფებს, მთელი არსებით ვეცეკვები მზეს. აი ასე! შემომხედე, აი ასე! რაც მთავარია, უნდა გიხაროდეს! მოცეკვავეს თუ არ უხარია ცეკვა, არავის უნდა მისი ცეკვის მზერა... დავდგეთ წრეზე, მარჯვენა მკლავი გაშალეთ განზე, მარცხენა ხელით დოინჯი!

ილიკო ფეხაკრეფით გადის დარბაზიდან, პირველი სართულისკენ მიეშურება. კიბეზე შეშფოთებული ამორბის პეტრე დგვეფაძე — ანსამბლის ადმინისტრატორი, ტექნიკური პერსონალის „მამა“, ილიკოს მარჯვენა ხელი.

— ბატონო ილიკო, მეშვიდე საათია, დილიდან გატანჯა ბიჭები... რა გვეშველება?!

— რას იზამ, ჩემო პეტრე, არ იცი ნინოს ხასიათი?!

— დახოცა, გელაპარაკები, ყველა დახოცა... თანაც, დღეს ხომ იცი, რა დღეა?! დიდი ფეხბურთია! „დინამო“ თამაშობს! ცოდონი არიან ბიჭები. ყველას ბილეთი აქვს!

მეორე სართულიდან ნინოს ხმა ისმის:

— გააკეთეთ ისე, როგორც გეუბნებით! დოლი!

იწელება გარმონი...

მთელი ანსამბლი ცეკვავს, ირხევა, ტორტმანებს, ფეთქავს...

აღარ ივსება ნინოს ხელოვნების საწყაული.

— არ ვარგა! თავიდან!

ისევ იწელება გარმონი.

ცეკვავს, ირწევა აკადემიური ანსამბლი.

რა დიდებული სანახაობაა...

ასე „იბადება“ დიდი „ქართული ხალხური ბალეტი“...

სცენაზე ამას ემატება სოლიკო ვირსალაძის მზიური ფერთა მთელი ფეიერვერკი!

— ქალბატონო ნინო, აღარ შემიძლია, ცერები მტკივა.

— არასწორად აკეთებ იმას, რასაც მე გაჩვენებ და იმიტომ.

— ვერ ვასწრებ, ახლა ძალიან ჩქარია.

დარბაზის კუთხეში ვიღაც უკმაყოფილოდ ბუზღუნებს.

ნინომ ძუ ვეფხვივით იქუხა:

— ვინაა ეს, ამდენს რომ ლაპარაკობს?! რა ამბავია?! ნება რომ მოგცეთ, ერთ კვირაში ამ ანსამბლიდან აღარაფერი დარჩება! ფეხის მესამე პოზიცია, მალე, მალე, დრო იკარგება; ასწიეთ ნიკაპი, გაიშალეთ წელში, ნუ იღუნებით ბეჭებში. შენ, ბიჭო, რატომ არ მიყურებ! აღარ შემიძლია, ილიკო, შეხედე როგორ დგას მეექვსე მწკრივი, შვიდი, რვა, დოლი!

ყველაფერი მეორდება და ყველაფერი ჩერდება.

ნინო წყვეტს ცეკვას:

— არ დავასახელებ ვაჟებიდან სამოთხ მოცეკვავეს, რომლებიც დამძიმდნენ სიმსუქნისგან. მე ავწონი მათ და თუ საკუთარ სიმაღლესთან შეფარდებით მეტი გამოვლენ წონაში, ასკინკილით, ცალ ფეხზე ხტუნვით ასჯერ ავლენ და ჩამოვლენ იმ კიბეებზე... გასაგებია?!

ზოგიერთები მალულად იხედებიან საათებზე.

— შვიდი, რვა, დოლი!

ცეკვავს ანსამბლი.

აკადემიური, მსოფლიოს დამპყრობი „სასწაულმოქმედი“ ანსამბლი.

— არ ვარგა! თავიდან!

პირველ სართულზე ნამდვილი პანიკაა...

ილიკო ბევრჯერ ყოფილა ამ დღეში, რაღა არ გადახდომია თავს, რამდენი ფათერაკი, რამდენი განსაცდელი და ხიფათი გადაუტანია მსოფლიოს გზებზე, მაგრამ აი აქ, ახლა, ყველაფერი უიმედოა!

სადაცაა დაიწყება მატჩი...

— პეტრე!

— ბატონო!

— დღეს ვინ დაიგვიანა?

— როგორ გეკადრებათ, ბატონო ილიკო, ვის, სად, როდის დაუგვიანია?

— ამომიწერეთ შვიდი გვარი მაინცა... სულ ერთია, ვინც იქნება.

სასწრაფოდ ამოწერეს გვარები. ილიკომ აიღო ფურცელი, რომელზედაც მოცეკვავეთა გვარები ეწერა და სარეპეტიციო დარბაზისკენ გაემართა.

მცირე პაუზით ისარგებლა:

— ყურადღება! დღეს ვინ დაიგვიანა?!

— არავინ, ბატონო ილიკო!

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

— მე მაქვს იმათი სია, რომლებმაც დაიგვიანეს ათი-თხუთმეტი წუთით რატომ არღვევთ დისციპლინას?! ჰა? რატომ?! სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით. სწორეა, ნინო?!

— აბა რა! ნამდვილად ასეა!

— რატომ არ აკეთებთ ისე, როგორც ნინო გეუბნებათ, ჰა?! მოწყდით ახლა, გასწით აქედან სუყველამ! ჩემმა თვალებმა არ დაგინახოთ!

ანსამბლმა ფარული აღტაცებით იგრიალა და გასასვლელს მიაწყდა.

ნინო კმაყოფილია:

— ასე უნდა, ილიკო, აბა, როგორ? მაგრამ... ამ ორ ტაიმს ხვალ დავუმატებ!

# ნიანგი

ნაწილი პირველი

(ძველი, ძველი, ძველზე ძველი ზღაპარი)

1.

— ყოფილა... ყოფილა...,
— რა ყოფილა?
— ერთი ნიანგი ყოფილა:
ქუჩებში დააბიჯებდა,
პაპიროსს ეწაჩებოდა,
ენებში თურქულს ირჩევდა,
ერთადერთობას ჩემობდა
ნიანგი ნიანგაშვილი.

2.

მნახველები ხარხარებდნენ:
— რა სახე აქვს, რა ცხვირიო,
ურჩხულია ნამდვილიო,
უჩინეთში გაზრდილიო,
არ გვინახავს მახინჯიო ამგვარი.

3.

და ნიანგს მტრობდა,
ანაწყენებდა,
შეურაცხჰყოფდა,
არ ასვენებდა
მეცეცხლური თუ გიმნაზიელი.

4.

ბრანწი უჩვენა ყმაწვილმა,
ცხვირზე უკბინა ნაგაზმა,
ჰოდა, გაბრაზდა ნიანგი,
ოი, რარიგად გაბრაზდა!
და გადასანსლა ნაგაზი,
ლამაზი საყელურით.

5.

ხალხი აყვირდა:
დაიჭირეთო,
ხალხი აკივლდა:
დააკავეთო
და პოლიციას ჩააბარეთო.

6.

თავს როცა გესხმიან —
თავს უნდა შველა და
ნიანგიც ტრამვაის
ვაგონში შევარდა.
მგზავრები აწივლდნენ
და გარეთ გაცვივდნენ:
გვიხსენით!
გვიშველეთ!
გადაგვარჩინეთო.

7.

დაუძახეს პოლიციელს,
მან იგრგვინა: — რასა ჰგავსო,
როგორ ბედავ აქ ყოფნას და
თან თურქულად ლაპარაკსო,
ნიანგისთვის არ მგონიო,
კაცს აეგოს ვაგონიო,
შენთვის აქო არა გვაქვსო ადგილი.

8.

ჩაეცინა სახეცბეირს,
უცბად ეცა პოლიციელს
და ჩასანსლა
ხმლიან-ჩექმებიანად.

## კორნეი ჩუკოვსკი

„ალიარებისა და პოპულარობის უტყუარი მაჩვენებელია გვარი რომ წინ არც სახელს საჭიროებს და არც განმარტებას. მაგრამ კორნეი ივანეს ძე ჩუკოვსკი თითქმის მიუღწეველ ამ მიჯნასაც გასცდა. გვარიც რომ არ ვახსენოთ და უბრალოდ ვთქვათ „კორნეი ივანეს ძე", არავინ იკითხავს ვისზეაო საუბარი".

დიდი პოეტის, ფსიქოლოგის, ლიტერატურის ისტორიკოსის, პუბლიცისტისა და კრიტიკოსის ასწლოვანი იუბილე საბავშვო პოეზიის მოყვარულმა მთელმა მსოფლიომ იზეიმა მიმდინარე წლის 31 მარტს.

9.

ყველა ცახცახებს,
ყველა კანკალებს,
გარდა ვანია ვასილჩიკოვის,
ვანია ელდას
გულს არ აკარებს,
გაბედული კი მარად იპოვის
გზას, გადამრჩენელს გადურჩენელის!

10.

ერჩის ძალი,
უჭრის თვალი,
ჯომარდია
უშიშარი,
უგამდელოდ დასეირნობს ქუჩებში.

11.

ჰოდა, შეჰყვირა ნიანგს ვანიამ:
— იმდენი ვინმე შეგიჭამია,
რომ სული ტანჯვით უნდა დალიო,
არ ხარ, უძლებო, შესაბრალიო...
და სათამაშო შემართა ხმალი.

12.

აცრემლდა ხვითქი: — კარგი, გნებდები,
არც მე ვარ ასე გასამეტები,
მარადის შენი მონა ვიქნები,
არ დააობლო ჩემი ხვითქი
ჯერ ნორჩებია, ცურვას სწავლობენ,
ნილოსის წყლებში ჭყუმპალაობენ...
და თუ გამიშვებ, ბევრზე ბევრსაო
გამოგიგზავნი თაფლის კვერსაო.

13.

— იმდენი ვინმე შეგიჭამია,
ვერ გაგიშვებო, — უთხრა ვანიამ, —
მებრალებიან, თუმცა, ბავშვები,
არ მაქვს უფლება შენი გაშვების,
ცრემლი არ შველის ნამხდარ ხაქმესო.



14.

ტირის ნიანგი: — ყველას უკლებლივ,
ვინც ჩამიყლაპავს, დაგიბრუნებო,
მხოლოდ, ვანია,
გთხოვო ძალიან,
ნუ დამღუპავო.

15.

და დააბრუნა პოლიციელი,
სალსალამათი და უვნებელი,
არც მთლად დიდი და
არც მთლად ძლიერი,
არც მთლად ყმაწვილი
და არც ბებერი.

16.

აგერ ნაგაზიც,
ხტუნვა-ხტუნვითა,
ყელზე ლამაზი
საყელურითა,
მირბის ვანია ვასილჩიკოვთან
და გმირს ფუნთუშა ლოყას ულოკავს.

17.

საყვირის ხმა ცამდე ადის,
ხარობს მთელი პეტროგრადი,
ყველა ცეკვავს,
ყველა მღერის,
ვასილჩიკოვს ტაშით ელის.
ისმის „ვაშა",
დროშებს გაშლილს
ველარ იტევს ძველი დედაქალაქი.

18.

გაუმარჯოს ივანესო,
ქალაქის და ხალხის მხსნელსო —
ავი ნიანგისგანო!

19.

ასი გირვანქა მარმელადიო,
ასი გირვანქა შოკოლადიო
და ნაყინიო ასიათასი ულუფა
ჯილდოდ მივაჩთვათ,
რაღა თქმა უნდა, თუ უყვარს.

20.

ხოლო ნერვებაშლილიო,
ურჩი ნიანგაშვილიო
გავაძევოთ დღესვე ქალაქიდანო.

21.

და იმ წუთსვე
და იმ წამსვე,
თვითმფრინავში მოათავსეს,
თვითმფრინავში —
არავის რომ არ მიჰყავს!
მოიკრიბეს ძალი, ღონე,
ისარივით გაისროლეს
და მსუნაგი
დაუბრუნეს აფრიკას.

22.

თვითმფრინავიდან გადმომხტარს,
ნილოსის შლამში ჩამხტარს,
შვილების მარწყულებელი,
შვილების დამპურებელი,
ბებერი და არც ბებერი,
სახლში მეუღლე დახვდა.

თარგმნა ვაჟა ჟუჟუნიძემ.

# ლანდი

იუმორისტული მოთხრობა

**ავთანდილ ადეიშვილი**



მხატვარი თემიხრი ძრისთავი

ვართალა შერქმეული სახელია. სინამდვილეში რას ეძახდნენ, თვითონაც აღარ ახსოვდა. კახეთში ხალხისაგან შერქმეული სახელი უფრო დიდხანს დაატარებს ადამიანს, ვიდრე მრავალჟამიერით, ღვინით, ნათლობითა და მმაჩის ბიუროთი დამტკიცებული მეტრიკა.

ვართალას ღვინო რომ მოერევა, ეკალწვერიანი ლოყები ებერება ვართალალოს ღრიალით. ამიტომაც შეარქვეს ვართალა.

ბავშვობაში ვართალას ტვინის შესაძლებლობანი მიზომ-მოზომა მამამისმა და შვილს იმედი გადაუწურა: „შენგან მეცნიერი არ გამოვა! ხელობა, ხელობა უნდა ისწავლო!"

ვართალას მამა ხელოსანი კაცი იყო. თლიდა ურმის ღერძებს, მართავდა დაბალ სკამებს, ამზადებდა შიბაქებს. მერე ადგა და თავისი ცოდნა შვილს გადაულოცა.

ატროყებულ ვართალას ჯერ კი ეთაკილებოდა შიბაქების გათლა, მაგრამ როცა ცოლად ლამაზი მარიამი დაუსვეს, თანაც შეასმინეს: „კარგად გაუფრთხილდი, არ გაგიფრინდესო!" გაგიხარია, შიბაქების ხელობას ხარაზობა დაუმატა, მეწვრილმანე ვაჭრის ქუდშიც შეყო თავი: ყიდდა ვანილს, პილპილს, ნართის ძაფს, საპნის ნემსებს, ჭრაქებს... ყიდდა და მარიამის გალიახთან ყუათიან საკენკს ყრიდა.

„დუქანი" ჩვენი ქალაქის ხევის მარჯვენა სანაპიროზე, ყორნისფერ ქვაზე მოაწყო. ვართალას სავაჭრო ერთი პატარა ჩემოდანი იყო. ადრიანად იწყებდა მის გახსნას: ამოალაგებდა შიბაქებს, ათასგვარ ნივთსა და მივიწყებულ საქონელს, რომელთა ხსენებაც კი ღიმილს იწვევდა მაღაზიებში; პატარა ჩემოდანში არაყი ლიტრიან ბოთლში დაყურყურებდა. ვართალა დილით გადაჰკრავდა ასს, მერე, მზე რომ გაშეეულდებოდა, მეორე ასს გადაუძახებდა ყანყრატოში, მესამეს „დუქნის" დახურვისას გადახუხავდა და ღიღინ-ღიღინით აუყვებოდა ოღროჩოღრო გზას.

მილიციის უფროსი არ დევნიდა ვართალას მეწვრილმანეობას, უბნის რწმუნებულებს ნამუსის სარკეში ახედებდა: „დაეხსენით, მეტს ვერაფერს ხედავთ?! ეგ კაცი ჩვენი ქალაქის პანანკინტელა მუზეუმია!"

ეს სიტყვები ვართალას ნისქვილის დოლაბის ოდენა ყურებით ჰქონდა მოსმენილი, როცა დათვრებოდა, ტოლ-სწორებს თავს აბეზრებდა: „ოთარა უფროსმა ჩემზე თქვა: მუზეინიაო!"

როცა ვართალა სარფიანად ივაჭრებდა, ენას ოხუნჯობით ილესავდა ხოლმე: სოფლიდან ჩამოსულ, ქალაქის ღრიანცელით დამფრთხალ დედაკაცს ძველდარბაისლური ყოფაქცევით თავისთან მოუხმობდა, დააშოშმინებდა და მერე ეტყოდა:

— ქალო, ხუთთუმნიანი ჩამოგვარდა!

სოფლელი დედაკაცი აწრიალდებოდა: აქეთ ეცემოდა, იქით იკითხავდა, რაკილა ფულს ვერ იპოვიდა, ვართალას შეევედრებოდა:

— სად ჩამომვარდა?

მაშინ ვართალა ჩამოიხსნიდა ნილაბს და როხროხს ატეხავდა:

— დედაკაცო, გქონდა რო?!

გაცეტებული ქალი ერთს ლაზათიანად მიაწყევლიდა და, ყოველი შემთხვევისათვის, გზას თვალმოპარული ცქერით გააგრძელებდა.

ვართალა მუშტრებით მაშინ აივსო, როცა ჩვენი ქალაქის თავში, კორნოხზე ააშენეს ტურბაზის დიდი შენობა. ჩამოსული სტუმრები ვართალას ნახელავს სუვენირებად ყიდულობდნენ. შიბაქებზე კვიროდნენ: „ორიგინალნაია ტრუბკა!" ვართალა პირველად ვერ ხვდებოდა ტურისტების შიბაქებით დაინტერესებას, ისე კი, თავისთვის დუდუნებდა: „ვაა, ბლომად ვასაღებ!" ერთხელაც, ვართალას გასაკვირად, ვილაც ტურისტმა შიბაქში თუთუნი ჩატენა, ცეცხლი მოუკიდა და გააბოლა. ამის დანახვაზე ვართალას თვალები გადმოეკარკლა, ყბა აუთახთახდა:

— ნეტ! ეტო ნე ტამ!.. გიჟია ეს ოხერი! არ გამეგუდოს!

— ა გდე? — ეკითხებოდა ტურისტი.

— ნეტ, ნე ტამ!..

— სტარიკ, ა გდე? — არ ეშვებოდა ცნობისმოყვარე ტურისტი.

ვართალამ იწრიალა, იწრიალა, მერე მეზობელი მაღაზიის ფარდულიდან მოზრდილი ქერათმიანი თოჯინა გამოიტანა, ტურისტს ტუჩებიდან ახრჩოლებული ჩიბუხი გამოგლიჯა და თოჯინას ფეხებშუა ჩაუდო.

— ვოტ ტაკ!

ტურისტებს სიცილი ნასკდათ, ვართალაც აროხროხდა. იმ დღის მოსაგონრად, შემოჯარულმა ტურისტებმა ერთბაშად დაიტაცეს ვართალას „ჩიბუხები".

ვართალამ თოჯინა თავისთან დაიტოვა: „რა ვიცი?!, სად ვეძებო, ამ შიბაქებს რუსულად ან სხვა ენაზე რა ჰქვია?"

ამ ბოლო დროს ვართალას ქალაქის საბჭოში ხშირ-ხშირად იბარებდნენ:

— ანონიმკას წერენ შენზე, არაჰიგიენურ სუვენირებს ყიდისო!

— ვინ დაწერა? უმაგისოდ არ იცით, რო ვყიდი?! — იღიმებოდა ვართალა.

— კი, მაგრამ..

— რა მაგრამ?

— ის, რომ აღარ უნდა გაყიდო!..

ვართალას გაეცინა, გამოიხურა კარი, ისევ იმ ყორნისფერ ქვაზე გახსნა თავისი „დუქანი". გამვლელ-გამომვლელს შესჩიოდა: „გაიგეთ, მიჩივიან, შიბაქებს, ვანილს, პილპილს, ნართის ძაფს ჰყიდისო... ვაა, ქალაქის პატიოსნებას არცხვენსო... მე ვარცხვენ ქალაქს?! ისემც რა ვუთხრა! არამი იყოს ჩემი შიბაქები, თქვე ქვემაფსიებო, თქვენა!

ბევრს ელიმებოდა ვართალას განქიქებაზე. ვართალას ბოლმა აუმღვრევდა, შიგ ჩაყურყუმელავდა, იწვალ-იწვალა და „სალვინეს ბიჭის" სარდაფში „საფერავში" თავი ჩაიხრჩო. ვართალა თავის ეზო-კართან ბარბაც-ბარბაცით მიიყვანეს.

— ახლა მე შევალ, — ვართალა მიბრაცუნდა აივნის ქვეშ მიხუხულავებულ სახელოსნოში, კარებს მიეხარა, — მიჩივიან!... მეც უნდა დავწერო რაიკომის მდივანთან, მაშა!

— მარუს! ჩამოდი, კალამი და ქაღალდი ჩამომიტანე!

— ქა, რაში გჭირდება? უი მე... რამეს ხომ არ აპირებ?! ღმერთო, მიშველე! — აწრიალდა მარიამი.

— დაიწყე წერა! ძვირფასო!.. არა... პატივცემულო!.. არა...

— ამხანაგო! — ცოლმა ვართალას სიტყვა მიაშველა.

— ამხ. მდივანო! მე ჩემი დღენი და მოსწრება შიბაქებს (ამ სიტყვაზე ბოდიში!) ვყიდი, ახლა კი ვილაცამ უსახელო ენა დაატრიალა — ვაჭრობსო! დამიბარეს, მითხრეს: აღარ გაყიდოო! ახლა მე ყმაწვილი კაცი არა ვარ, ოთხმოცი წელი მისრულდება, სხვა ხელობის სწავლის დღე უკვე ჩამომიღამდა. განა მშიერი ვკვდები, განა შვილები ლუკმას არ მიწილადებენ და იმიტომ... იგრე ვერ გავძლებ! აბა, შენ აგიკრძალონ გარჯა-საქმიანობა?! დამეხსნან ეს რწმუნებულები.

პასუხად მალე მილიციის რწმუნებული გამოეცხადა:

— შენ დაწერე ეს წერილი?

— ჰო, — უპასუხა ვართალამ.

— მეორედ აღარ დაწერო! სად სცალია შენთვის იმას!.. რა მაზალო ხალხი ხართ! მაშ არ უნდა გითხრათ: ნუ ჰყიდიო?!

— მმმ!

— ვართალ, გეყოფა შიბაქების და სხვა რამერუმეების გაყიდვა!

— ეჰ! შენ რა იცი, მეყოფა თუ არა?!

— დაგიჭერ!

— შენც აი, დიდ საქმეში ჩაგეთვლება?! ჰო, მართლა, „ბოლმას" ქვევრში ფული ვერ უპოვეთ?

— შენ რასაც გეუბნებიან, ის გაიგე!

მილიციის რწმუნებული სულ იმის მეცადინეობაში იყო, როგორმე გამოესწორებინა ოთხმოცი წლის მეწვრილმანე; რამდენჯერმე დაუკეტა „დუქანი", მაგრამ ვართალა ისევ ვართალალობდა.

* * *

შემოდგომის პირი იდგა. მილიციის რწმუნებული თავის უბანს ათვალიერებდა. თვალებში ყორნისფერი, მარტოდ დარჩენილი ქვა შეეფეთა. „ნეტავი სად არის ვართალა? ვითომ გამოსწორდა?!" მის ფიქრებში ფართლით მოვაჭრე, „სალმისლირსოდ" მონათლული ჩაეკვეხა:

— შენც დაგასვენა და თავისი თავიც!

— კაცო, მოკვდა?! — ყვრიმალები დაეფითრა მილიციის რწმუნებულს.

— ჩვენი ჭირი წაიღო! — ხმა ჩაეხლიჩა სალმისლირსოს.

„დაისვენეთ, ანონიმშჩიკებო, აღარ ჰყიდის შიბაქებს! ნეტავ რად ვუკრძალავდი, ეყიდა, რა მოხდებოდა?!" ფიქრებმა მილიციის რწმუნებულს თავისი სამსახური დაავიწყა.

ყოველ დილით შიბაქებით ჩამოივლის ვართალა,

გაყიდული შიბაქებით შვილს დაუდგა მანქანა!..

ყორნისფერ ქვას ჩაუქროლა ველოსიპედზე აჩონჩხილმა ბიჭმა. ხევის პირას ჩამწკრივებული ფარდულებიდან თავები გამოყვეს ნოქრებმა, სევდიანი ღიმილით დაადევნეს ანც ბიჭს:

— ალბათ, არ იცის!

* * *

პატარა ქალაქის ძველი ლანდები აღარსად დაძრწოდნენ.

# ოჩამჩირელი ფეხბურთელები

მზიური აფხაზეთის წარმტაცი ქალაქი ოჩამჩირე საქართველოს ფეხბურთელთა კადრების სამჭედლოს ერთ-ერთი საიმედო დასაყრდენია.

პირველი მერცხლები, რომლებმაც თავიანთ გარშემო შემოიკრიბეს ფეხბურთის მოყვარულები, იყვნენ ფოთის და სოხუმის სასულიერო სასწავლებლების მოსწავლეები — ნ. მარშანია, ბ. აჯიბა, ვ. კოხიძე, გ. ნარმანია, შ. გაბუნია და სხვები.

ოჩამჩირის ფეხბურთის ისტორიაში ღირსსახსოვარი იყო 1919 წლის გაზაფხული.

ნავსადგურში სისხამ დილით შემოვიდა გერმანული სატრანსპორტო გემი „მარმორი". საღამო ხანს, როცა მეზღვაურებმა გემში თუთუნის ჩატვირთვა დაამთავრეს და უსაქმობით შეზეზრდნენ, ოჩამჩირელებს სთხოვეს — მოდით, ფეხბურთი ვითამაშოთო.

უარს რატომ ეტყოდნენ. ოჩამჩირელმა ფეხბურთის მოყვარულებმა სახელდახელოდ შეაკოწიწეს გუნდი, დანიშნეს კაპიტანი და დამსწრეთა ტაშის გრიალში გავიდნენ მინდორზე.

პირველ „საერთაშორისო" შეხვედრას მთელი ოჩამჩირე დაესწრო. მატჩს არც ბავშვები და მოხუცები დაჰკლებიან.

თამაში პირველად კორექტულად და მეგობრულად მიმდინარეობდა. როცა გერმანელმა მეზღვაურებმა ზედიზედ ოთხი ბურთი გაიტანეს, მდგომარეობა დაიძაბა. ატყდა სტვენა და ყიჟინა. ოჩამჩირელი ფეხბურთელები და მათი ქომაგები მწვავედ განიცდიდნენ კარში მიღებულ თითოეულ გოლს.

სხვა გზა არ იყო: სერიოზული აყალმაყალის თავიდან აცილების მიზნით, მსაჯი იძულებული გახდა, თამაში შეეწყვიტა.

ამ წაგებამ ბევრი რამ ასწავლა ოჩამჩირელებს: მათთვის ნათელი გახდა, რომ უსისტემო თამაშით ფონს ვერ გავიდოდნენ, ფეხბურთი დიდ შრომას და ძიებას მოითხოვდა; საჭირო იყო გამუდმებული წვრთნა, სხეულის გაკაჟება, ტექნიკის დაუფლება, დახვეწა და სრულყოფა.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გახდა შესაძლებელი სპორტის მასობრიობა. მისი ყველა სახეობის სწრაფი და თანმიმდევრული განვითარება.

ოჩამჩირეში, ზღვისპირას საგანგებოდ შერჩეულ მიმყუდროვებულ ადგილზე, სწრაფი ტემპით აშენდა კეთილმოწყობილი სტადიონი, რომელიც ფეხბურთის და სპორტის სხვა სახეობათა კადრების სამჭედლოდ გადაიქცა.

1938 წელს ოჩამჩირის ფეხბურთის გუნდმა „სტრელამ", რომლის შემადგენლობაში თამაშობდნენ გ. ტყებუჩავა, ძმები კუხალეიშვილები, ძმები მინჯიები, ჰაჯი-ოღლი, წითლიძე და სხვები, მონაწილეობა მიიღო გზათა პროფკავშირების ცენტრალური საბჭოს საკავშირო პირველობაში.

ოჩამჩირე — სოხუმი 2:0, ოჩამჩირე — ქუთაისი 2:0, ოჩამჩირე — თბილისი 3:1, ოჩამჩირე — კალუგა 2:0, ოჩამჩირე — ხარკოვი 3:1 — აი, ასეთი შედეგებით გავიდა ოჩამჩირის „სტრელა" ფინალში.

ფინალი მოსკოვში შედგა. გადამწყვეტი მატჩი ოჩამჩირის „სტრელასა" და მოსკოვის „მეტროპოლიტენს" შორის ოჩამჩირელთა გამარჯვებით დამთავრდა — 2:1.

1960 წელს ოჩამჩირეში აშენდა ახალი, 5.000 კაცისათვის გათვალისწინებული კეთილმოწყობილი სტადიონი. პირველი და უმაღლესი ლიგის გუნდები ოჩამჩირელთა ხშირი სტუმრები გახდნენ.

რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ოჩამჩირეში ფეხბურთის დანერგვის და განვითარების ისტორია, მხედველობაში მიიღო ახალგაზრდა საფეხბურთო კადრების აღზრდის კარგი ტრადიცია და სახალხო განათლების ოჩამჩირის განყოფილებაში კომპლექსური სპორტული სკოლა და ფეხბურთის განყოფილება გახსნა.

საქმე წინ წავიდა. ოჩამჩირელ ახალგაზრდებს ახლა საუკეთესო პირობები აქვთ შექმნილი, გაიკაჟონ ფიზიკური მომზადება, დაეუფლონ ბურთის ფლობის ტექნიკას, აიმაღლონ ოსტატობა.

ვფიქრობთ, ჟურნალის მკითხველთათვის ინტერესს მოკლებული არ იქნება ჩამოვთვალოთ ის ფეხბურთელები, რომლებმაც ოჩამჩირეში დაიწყეს თამაში, შემდეგ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა გუნდებში თამაშობდნენ და ჩვენი პატარა ქალაქი ასახელეს.

აი, მათი სია:

ნ. კორსანტია — ლენინგრადის „კრასნაია ზარია" (1936 წ.);

ა. ტყებუჩავა — სოხუმის „დინამო" (1936 წ.), თბილისის „დინამო" (1937-1944 წწ.);

ა. მინჯია — თბილისის „დინამო" (1937-1939 წწ.), მოსკოვის „სპარტაკი" (1939-1940 წწ.), კიევის „დინამო" (1940-1941 წწ.). სპორტის ოსტატი;

ვ. სანაია — სოხუმის „დინამო" (1943 წ.), თბილისის „დინამო" (1944-1947 წწ.). მოსკოვის „დინამო" (1947-1954 წწ.) სპორტის ოსტატი;

ვ. მარღანია — სოხუმის „დინამო" (1945 წ.), დონეცკის „შახტიორი" (1946 წ.), თბილისის „დინამო" (1947-1957 წწ.), სპორტის დამსახურებული ოსტატი;

ნ. ძიაპშიპა — სოხუმის „დინამო" (1945 წ.), თბილისის „დინამო" (1946-1957 წწ.). სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი;

ა. მინჯია — სოხუმის „დინამო" (1944-1945 წწ.), ერევნის „სპარტაკი" (1945-1946 წწ.), პერმის „კრილია სოვეტოვი" (1947-1953 წწ.);

ა. ნორაკიძე — სოხუმის „დინამო" (1948-1949 წწ.), თბილისის „სპარტაკი" (1950-1952 წწ.), თბილისის „ოდო" (1953-1959 წწ.). სპორტის ოსტატი, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი;

ნ. ბერლიზოვი — თბილისის „სპარტაკი" (1949 წ.), მოსკოვის „ტორპედო" (1950-1952 წწ.). სპორტის ოსტატი.

ი. კურტანიძე — ოდესის „მეტალურგი" (1950 წ.), სოხუმის „დინამო" (1951-1953 წწ.), თბილისის „ოდო" (1954-1960 წწ.), თბილისის „დინამო" (1961 წ.). სპორტის ოსტატი;

გ. სორდია — სოხუმის „დინამო" (1954-55 წწ.), ქუთაისის „ტორპედო" (1956-1960 წწ.). სპორტის ოსტატი;

ტ. ნორაკიძე — როსტოვის „სკა" (1957-1959 წწ.), სპორტის ოსტატი;

ვ. დელბა — სოხუმის „დინამო" (1959-1963 წწ.), ქუთაისის „ტორპედო" (1964 წ.);

გ. დოჩია — თბილისის „დინამო" (1970 წ.);

ვ. დარასელია — თბილისის „დინამო" (1975 წლიდან). სპორტის დამსახურებული ოსტატი.

ოჩამჩირეში მიიღეს პირველი საფეხბურთო ნათლობა სპორტის ოსტატებმა ა. ჭითანავამ, შ. რიგვავამ, საქართველოს სსრ დამსახურებულმა მწვრთნელმა, სპორტის ოსტატმა გ. სორდიამ, საქართველოს სსრ დამსახურებულმა მწვრთნელებმა ბ. კაკუბავამ, ვ. გვასალიამ.

ოჩამჩირეში უყვართ ფეხბურთი. ყველა საინტერესო მატჩი ქალაქის დღესასწაულია. ტრიბუნები გულშემატკივრებს ვერ იტევს. სახელოვანი ტრადიციების მქონე ოჩამჩირე, გვჯერა, კვლავაც გაახარებს გულშემატკივრებს და მრავალ სახელოვან ფეხბურთელს აღუზრდის ქართულ სპორტს.

**ვ. გვასალია**

საქ. სსრ დამსახურებული მწვრთნელი.

## ბულგარელი მეგობრების ღიმილი

— ჩემი პალტო ისე გაიცრიცა, რომ ღილებიც დაუძველდა.

— დღესვე გიყიდი ახალს.

— პალტოს?

— არა, ღილებს.

— ჩემი საქმრო შეიშალა და საგიჟეთში მოვათავსეთ.

— ახლა გამომყვებით ცოლად?

— მე კი არა, ჩემი საქმრო შეიშალა.

— რასაც გონებაში ჩავიდებ, ყველაფერი მახსოვს.

— ჩემი ასი ლევიც გახსოვს?

— არა. შენი ასი ლევი ჯიბეში ჩავიდე.

— ქუჩაში მოვრბოდი და ერთი ლევი ვიპოვე. რა ვქნა ახლა?

— სირბილი გააგრძელე.

— რატომ აკაკუნებ ფეხით?

— მასპინძელი იფიქრებს, ხელები საჩუქრებით მაქვს დაკავებული და კარს გამიღებს.

— როგორი პურ-მარილი იყო?

— ღვინო რომ ისეთი ძველი ყოფილიყო, როგორც ხორცი და ხორცი ისეთი ახალი, როგორც ღვინო, — კარგი პურ-მარილი იქნებოდა.

— რა ღირს ყავა?

— თუ დაბრძანდებით, ორი ლევი ღირს, თუ ფეხზე დადგებით — ერთი ლევი.

— თუ ცალ ფეხზე დავდგები?

— სად მიდიხარ?

— საქორწინო მოგზაურობაში.

— ცოლი?

— ცოლი პირველ ქმართან უკვე ნამყოფია საქორწინო მოგზაურობაში.

— კბილის ექიმი გამოვიდე თუ გულისა?

— კბილის ექიმი.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ადამიანს ერთი გული აქვს და ოცდათორმეტი კბილი.

— ჩემმა ქმარმა ხორცის საკეპი მანქანა დაშალა და კოსმოსურ ხომალდს აკეთებს.

— გააფრინა?

— არა. ერთად უნდა ჩავსხდეთ და ისე გავაფრინოთ.

თარგმნა **ოთარ ქავთარაძემ.**

## ცამეტი წლის სტუდენტი

ექვსი წლის წინათ იური ლებედევი მოსკოვის მეორე სამედიცინო ინსტიტუტის ბიოქიმიის ფაკულტეტზე მოეწყო. დედაქალაქის ამ ერთ-ერთ უძველეს უმაღლეს სასწავლებელში ის იყო ყველაზე ახალგაზრდა ფაკულტეტი, იური ლებედევი კი ამ ფაკულტეტის ყველაზე ახალგაზრდა სტუდენტი გახლდათ. ფაკულტეტს და სტუდენტს მაშინ ცამეტ-ცამეტი წელი შეუსრულდათ.

მოვუსმინოთ მეორე სამედიცინო ინსტიტუტის ფრიადოსან სტუდენტს იური ლებედევს:

— ახლა მე საშუალო სტუდენტი ვარ. მთელი ჩემი უპირატესობა — კარგად ნავარჯიშევი მეხსიერება — უკანა პლანზე გადავიდა. დამრჩა უპირატესობა მხოლოდ დროის წინაშე — მე მას ოთხი წლით გავუსწარი.

იური ოთხი წლის იყო, როცა წერა-კითხვა ისწავლა, მერე მშობლები აიძულა, რომ იგი მუსიკალურ სასწავლებელში მიეყვანათ. იური ბავშვობიდანვე იქექებოდა ბუკინისტურ მაღაზიებში, არჩევდა და ყიდულობდა ათასნაირ წიგნებს. როცა ათი წელი შეუსრულდა, ლვოვის უნივერსიტეტში ქიმიის ლექციების მოსმენა დაიწყო.

იური ლებედევი [illegible] ძნელად ითვისებდა მათემატიკას. ნიჭმა, მონდომებამ, შეუპოვრობამ თავისი გაიტანა და მან ეს დაბრკოლებაც წარმატებით დასძლია.

იური ლებედევში ბავშვობიდანვე ცოცხლობს დაუოკებელი მოთხოვნილება: გაიგოს რისი შემძლეა, რისი გაკეთება შეუძლია, როგორ უნდა დაძლიოს დაბრკოლება. მას ყოველთვის შეუპოვარი, დაუსრულებელი შეჯიბრი აქვს საკუთარ თავთან.

იურის ბიოგრაფიიდან ნათლად ჩანს — ადამიანის ნებისყოფის სამაგალითო დაძაბვა, საკუთარი თავისადმი მკაცრი მომთხოვნელობა, ადრეული ასაკიდან დასახული მიზანსწრაფვა.

იური ლებედევის თანატოლები ჯერ კიდევ ფიქრობენ, როგორი გზა აირჩიონ ცხოვრებაში, იური კი იმუნოლოგიაში უკვე ამთავრებს თავის სადიპლომო ნაშრომს.

**ნ. გოლდობენკო**

## ესპანური იუმორი

მოგზაურობიდან დაბრუნებულმა ჩრდილოამერიკელმა საცოლეს აჩვენა მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში გადაღებული ფოტოსურათები. ერთ-ერთ სურათზე აღბეჭდილი იყო გადახრილი პიზის კოშკი. ქალმა საყვედურით ახედა საქმროს:

„ეჰ, ჯო, ჩანს, ამ დღეს კარგა ნაყლაპი იყავი...“

მატარებლის ვაგონში ერთმანეთის პირისპირ ისხდნენ მოკლეკაბიანი ქალიშვილი და სახეალაყლაყებული მამაკაცი. ქალიშვილი ცდილობდა, დაეფარა სიშიშვლე და ამაოდ ექაჩებოდა კაბას დაბლა. მამაკაცმა ქალიშვილს გულგრილად უთხრა:

— ამაოდ ირჯებით, სენიორიტა, ჩემი სისუსტე მხოლოდ ალკოჰოლია...

— ძლიერ ვღელავ, ენრიკო, კოკისპირულად წვიმს და ჩემი მეუღლე უქოლგოდ გავიდა სახლიდან.

— დამშვიდდი, სერაპიო, შენი მეუღლე ალბათ მზა ტანსაცმლის მაღაზიას შეაფარებს თავს.

— სწორედ ეგ მაღელვებს, — მიუგო დადარდიანებულმა სერაპიომ.

თარგმნა **მარინე მელაძემ.**

### სწორი პასუხები

მეორე ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანა — „შამათი ოთხ სვლაში“ სწორად ამოხსნეს და პასუხები დროულად გამოგზავნეს „დროშის“ მკითხველებმა: **თეიმურაზ ზვიადაურმა** (რუსთავი), **ივანე ბერიძემ** (ქობულეთი), **ბორის კუკავამ** (ზუგდიდი), **რევაზ ნანავამ** (გულრიფშის რაიონი), **ზურაბ შურღაიამ** (ხობის რაიონი).

ქონტაჟი მ. ლობჟანიძისა

გარეკანის პირველ გვერდზე: საქართველოს კომკავშირის XXXII ყრილობის დელეგატი, ახალგაზრდა მხატვარი ქეთევან ოქროპირიძე, ფოტო თარხან არჩვაძისა. მეოთხე გვერდზე: „აპრილი მთაში“ ფოტო არსენ ჩარკვიანისა.

გადაეცა წარმოებას 5. IV. 82 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 17. IV. 82 წ., უე 01230, ქაღალდის ზომა $70 \times 108^1/_8$. იბეჭდება: გარეკანი და ჩანართი — მაღალი ბეჭდვით, ტექსტი — ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 3, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2 სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,93, ტირაჟი 51000, შეკვ. № 928, ფასი 35 კაპ.

380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии.

Адрес редакции: 380008, Тбилиси, 8, пр. Руставели, 42.

რედაქციის მისამართი:
380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელ. — მთავარი რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებათა გამგეების — 93-28-42, 99-01-39, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მანუჩარი, ანზორი, ავთანდილი



ქუთაისელი ახალგაზრდა ინჟინერ-ტექნოლოგის ბეჟან კაჭახიძის ოჯახში სამი წლის წინ დაიბადნენ მანუჩარი, ანზორი და ავთანდილი — ტყუპი ძმები. მათ შესახებ მოგვითხრობს ცნობილი ფოტოკორესპონდენტის არსენ ჩარკვიანის ფოტოეტიუდები.





ინდექსი 76056

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# დროშა